

საქართველოს სსრ ცოდნის მთანეობის სამინისტრო  
საქართველოს სსრ მთნისტრობა საგზოსტან არსებული  
სატემო გეზარეობის, ნაძრძაღლის გიცა და სამონაფილო  
გეზარეობის გთავარი სამართველო



## პირითაღი მითითებანი

სახელმწიფო დაცვითი გყის ზოლების  
დაკარცებებისათვის და კაროვითითებანი  
საკოლეგიანო და საგზოო მაურნეობის  
დაცვითი გყის ზოლების  
გამონაბა-მოვლისათვის

## აგრძელებითი ერანი

ხისა და გაჩენარი ჯიშების სარგავი  
მასალის აღზრდისათვის

საქართველოს სსრ სოცლის მთანეობის სამინისტრო  
სამართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
საზოგადო მთანეობის, ნაკრძალვისა და სამონაზორო  
მთანეობის მთავრის სამართველო



## ქირითაღი მითითებანი

სახელმწიფო დაცვითი გყის ზოლების  
დაკრიეპიგინისათვის და აგრძითითებაზე  
საკოლეგიარეო და საბჭოთა მთანეობის  
დაცვითი გყის ზოლების  
გამონა-მოვლისათვის



## აგრძითითებანი

ხისა და გუჩნარი ჯიშების საჩვავი  
მასალის კლირისათვის

თბილისი—1960



პირითაღი მითითებანი  
სახელმწიფო დაზვითი გყის  
ზოლების დაკრიაგებისათვის და  
აგრძილითითებანი საკოლეჯერნეო და საჭროა  
მარნეულებების დაზვითი გყის ზოლების  
გამანება-მოვლისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ურილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად საქმაოდ დიდი აღგილი აქვს დაომობილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის საკითხს.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში თვალსაჩინო აღგილი უკავია ტყის დაცვითს ზოლებს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საქართველოს უტყეო და მცირე ტყიან რაიონებზე, სადაც გვალვა და ძლიერი ქარები საგრძნობ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას. ძლიერი ქარები აშრობენ დამუშავებულ ნიადაგს, იტაცებენ და გადააქვთ ზორს მანძილზე ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენა, თვით მარცვლეული კულტურის თესლიც და აღმონაცენიც — კი. ხეხილის ნარგავებში ძლიერი ქარების შედეგად ცვივა ფოთოლი, ყვავილი, ნასკეი და ნაყოფი, ზიანდება ხის ვარჯი.

მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დაცვითი ტყის ზოლები დიდათ უწყობენ ხელს მ.ისავლიანობის გაზრდას და მყარი და მაღალი მოსავლის მიღებას. დაცვითი ტყის ზოლი ანელებს ქარის სიძლიერეს და მის მავნე მოქმედებას, აღიდებს ნიადაგისა და პაერის ტენიანობას, აწესრიგებს წყლის რეზიმს, ამცირებს ნიადაგიდან ტენის აორთქლებას, ხელს უწყობს თოვლის დაგროვებასა და ნიადაგში გამდნარი თოვლის წყლის თანდათანობით ჩაეონვას.

ბუნების დაცვის საკითხებზე 1958 წლის 28 ნოემბერს შემდგარმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მექენიზმების სესიამ, მიიღო რა მხედველობაში დაცვითი ტყის ზოლების ეს დიდი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის, დაავალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოში დაცვითი ტყის ზოლების გაშენების გეგმის დამტკიცება და ამ გეგმის განხორციელების წესებისა და გადების შემუშავება.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ დავალების შესაბამისად მიიღეს დადგენილებები საქართველოს სს რესპუბლიკაში 1959 — 1965 წლებში 23 ათას ჰექტარზე სახელმწიფო, საკოლმეურნეო და საბორი მეურნეობის დაცვითი ტყის ზოლების გაშენების შესახებ.

ამასთან ერთად მათ დაავალეს საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სა-  
მონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს და საქართველოს  
სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეც-  
ნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეო-  
ბის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეიმუშაონ, დაამტკიცონ და  
გამოსცენ საქართველოს სსრ სპუბლიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ  
რაიონებში სახელმწიფო, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეო-  
ბების დაცვითი ტყის ზოლების დაპროექტება-გაშენების, მათი  
მოვლის და აგრეთვე სარგავი მასალის აღზრდის ძირითადი მითი-  
თებანი.

ამ დავალების შესასრულებლად შედგენილი და გამოცემულია  
დაცვითი ტყის ზოლების დაპროექტება-გაშენების და მათი მოვლის  
წინამდებარე ძირითადი მითითებანი და აგრომითითებანი ხისა და  
ბუჩქნარი ჯიშების სარგავი მასალის აღზრდისათვის.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ხშირი გვალვები და ხორშაკები საქართველოს იღმოსაფლე-  
თისა და დასაფლეთის რაიონებში საგრძნობ ზიანს აყენებენ ამ  
რაიონების სოფლის მეურნეობას.

დასაფლეთის მძლავრ ქარებს ადრე გაზაფხულზე მოაქვთ ჰაე-  
რის ცივი მასები, რომლებიც იწვევენ ხეხილის კვირტების დაღუ-  
ვას მათი გაშლისა და ყვავილობის პერიოდში, და აგრეთვე მექა-  
ნიკურ დაზიანებას—ხეხილის ტოტებისა და შტოების დამტკრევას,  
საანეულო კულტურების ნაოვების გამოქარვას და ნიადაგის ქა-  
რულ ეროვნიას.

მეცნიერებამ დაამტკიცა, ხოლო მოწინავე კოლმეურნეობებმა  
და საბჭოთა მეურნეობებმა დაადასტურეს, რომ მიწათმოქმედების  
სწორად წარმოებისას არსებობს სასოფლო-სამეურნეო კულტურე-  
ბის მაღალი და მყარი მოსაფლის მიღების ყველა შესაძლებლობანი.

დაცვითი ტყის გაშენება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო  
კულტურების მოსაფლის გაზრდის მძლავრ ფაქტორს და ერთ-ერთ  
მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც უზრუნველპყოფს მაღალი  
და მყარი მოსაფლის მიღებას. იგი არის მავნე ქარებთან და ხშირ  
ხორშაკებთან ბრძოლის, ნიადაგის გამოქარვისაგან დაცვის, სა-  
ქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებში წყლის რეკი-  
მისა და კლიმატური პირობების გაუმჯობესების საუკეთესო სა-  
შუალება.

დაცვითი ტყის გაშენების მეთოდები შედგება შემდეგი ღო-  
ნისძიებისაგან:

- მსხვილი სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების შექმნა;
- მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნა;
- ხრამისა და ღელისპირა, წყლის მარეგულირებელი და  
ეროვნისათვის საწინააღმდევო სხვა ნარგაობების შექმნა;
- მდინარეთა ნაპირების გატყიანება, მათი დამაგრების,  
წყალდიდობითა და მთიან დასერილ ჩელიეფში არსებული მდინა-  
რებისათვის დამხასიათებელი სწრაფი დინებით გამოშვეული  
ნგრევისაგან დაცვის მიზნით.

ყველა ეს ღონისძიება ჩატარებული უნდა იქნეს კომპლექსურ-  
რად, რადგან სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები საქართველოს  
აღმოსავლეთი და დასავლეთი რაიონებისათვის წარმოადგენენ სა-  
სოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის შემდგომე გაზრდის  
საშუალებას მხოლოდ მინდორსაცავ ტყის ზოლებთან და ეროზიის  
საჭინააღმდეგო ნარგაობებთან ერთად.

სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები აღმოსავლეთ და და-  
სავლეთ რაიონებში მოწოდებული არიან მძლავრი მაორგანიზებე-  
ლი, და ხელმძღვანელი როლი ითამაშონ დაცვითი ტყის ნარგაობე-  
ბის გაშენების მნიშვნელოვან საქმეში.

ისინი ასრულებენ მთავარი ჩინჩხის ფუნქციას, რომელსაც  
უნდა გადაებას საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მინ-  
დორსაცავი და ბალსაცავი ტყის ზოლები.

საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების დაცვითი ტყის  
ზოლებისა და ეროზიის საჭინააღმდეგო ნარგაობების განლაგება  
უნდა მოხდეს ნარგაობის თითოეულ სახის მიერ მისი ძირითადი  
დანიშნულების შესრულების, მთელ ტერიტორიაზე ყველა სახის  
ტყის ნარგაობების კომპლექსური გავლენისა და მეურნეობის მო-  
თხოვნილების მხედველობაში მიღებით.

ვინაიდან ტყის დაცვითი ნარგაობების მინდორსაცავ და  
ეროზიის საჭინააღმდეგო ნარგაობებად დაყოფა პირობითია, იმის  
გამო, რომ მინდორსაცავი ნარგაობები ეროზიულ რაიონებში იმავე  
დროს წარმოადგენენ ეროზიის საჭინააღმდეგო ნარგაობებს (წყლი-  
ერი და ქართული ეროზიის წინააღმდეგ), ხოლო ეროზიის საჭი-  
ნააღმდეგო—იმავე დროს მინდორსაცავს, რადგან ისინი იცავენ  
მინდვრებს არა მარტო ეროზიისაგან, არამედ მავნე ქარებისაგანაც,  
ქვემოდ ამ ორივე კატეგორიის ზოლებს დაცვითი ტყის ზოლები  
ეწოდება.

## I. ზოგადი დებულებანი სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოგადის გასაზღვრებლად უასთობების გამოყოფის შესახებ

1. სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების გაშენებისათვის მიწის ფართობების გამოყოფას აწარმოებენ ბრიგადები, რომლებიც ორი მიწათმომწყვობის, მეტყველისა და ნიაღაგმცოდნესაგან შედგება.

შენიშვნა: ბრიგადის მუშაობაში მონაწილეობას იღებს აგრესუვე კლიმატოლოგი.

2. ბრიგადას ხელმძღვანელობს მიწათმომწყვობთა ბრიგადის უფროსი, ინჟინერ-მიწათმომწყვობი, რომელსაც ევალება აგრეთვე კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებებზე ფართობების გამოყოფის გაფორმების იურიდიული მხარე და რაიალმასკომებში დასამტკიცებლად გატანა.

3. საველე სამუშაოებზე გასელამდე ბრიგადები ეცნობიან და აგროებენ სათანადო საგეგმო-კარტოგრაფიულს, ნიაღაგების, ჰიდრო-მელიორაციული გამოკვლევების მასალებს და დაიტანენ გეგმებზე (პლანშეტებზე) ზოლების საპროექტო მიმართულებას, აზუსტებენ მიწათმოსარგებლებს, რომელთა ხარჯზეც უნდა მოხდეს ამ დანიშნულებისათვის მიწების გამოყოფა.

4. რაიონში ჩასვლისთანავე ბრიგადები უთანხმებენ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლებისათვის მიწების გამოყოფის სამუშაო გეგმას. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები უზრუნველყოფენ აღნიშნული მუშაობის ჩატარების დროს სათანადო მიწათმოსარგებლებთა (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვ.) წარმომადგენლის დასწრებას.

5. ბრიგადა მუშაობას იწყებს ტყის ზოლის საწყისი წერტიალიდან, რისთვისაც გამოსაყოფი ზოლის ორივე ბოლოში სვამს სამიჯნე ბოძებს.

შემდეგ ბრიგადა აწარმოებს დაცვითი ზოლის ტრასის რეკოგნისცირებას და დაზუსტებას, რის შემდეგ გამოუძახებს ტრასაზე მიწათმოსარგებლებს ნათი თანადასწრებით გამოსაყოფი მიწების რაოდენობისა და საფარგულების დაზუსტებას მიზნით.

6. მუშაობის პროცესში ბრიგადა გამოსაყოფი ზოლის ორივე მხარეზე ასობს სათანადო სამიჯნე ბოძებს იმ ანგარიშით, რომ

მანძილი ბოძებს შორის 500 მეტრს არ აღემატებოდეს. ყოველი ბოძიდან უნდა ჩანდეს წინა და უკანა სამიჯნე ბოძი. ტყით დაფარულ აღგილებში, სადაც გაივლის დაცვითი ტყის ზოლის საზღვრები, სახლვრების ორივე მხარეზე გაყვანილი უნდა იქნეს ორი მეტრის სიგანის სირონი.

7. სამიჯნე ნიშანი წარმოადგენს 1,5 მეტრი სიგრძისა და 15—20 სანტიმეტრი დიამეტრის ხის ბოძს, რომლის ზედა წვერი კონუსისებრ წაიწვეტება, ხოლო ქვედა წვერზე გაუკეთდება ჯვარა მისი მიწიდან ამოძრობის გაძნელების მიზნით.

სამიჯნე ხის ბოძი მიწაში ჩაისობა 0,75 მეტრის სილრმეზე და მის ირგვლივ 1 მეტრის დაშორებით გაკეთდება 0,3 მეტრის სილრმის თხრილი, რის შემდეგ თხრილიდან ამოღებული მიწა მიეყრება ბოძს 0,5 მეტრის სიმაღლეზე.

სამიჯნე ბოძებით სამუშაოებს უზრუნველჰყოფს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამინადირეო-მეურნეობის მთავარი სამმართველო.

8. სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები დაწესებულია შემდეგი სიგანის: აღმოსავლეთ საქართველოსათვის—40, 50 და 60 მეტრის სიგანის და დასავლეთ საქართველოსათვის—50, 100 და 200 მეტრის სიგანის.

მოცემული სიგანის ტრასაზე მიწების გამოყოფა უნდა მოხდეს იმ ანგარიშით, რომ ზოლისათვის გამოსაყოფა ფართობებში არ მოხვდეს სახლები, ბაღები და სხვა მრავალწლიანი ნარგაობები.

ზემოაღნიშნული დანიშნულებისათვის საცხოვრებელი სახლების და სხვა ნაგებობათა და აგრეთვე მრავალწლიანი ნარგაობების აღება აკრძალულია და აქედან გამომდინარე ფულადი ანაზღაურება რაიმე ზარალისა მიწათმოსარგებლებზე არ მოხდება.

9. დასახლებული ადგილებისა და მრავალწლიანი ნარგავების შემოვლის მიზნით ტრასა გადატანილი უნდა იქნეს ერთ ან მეორე მხარეზე, ძირითადი მიმართულების პარალელურად 2 კილომეტრის ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის მდგომარეობა, რომ გადატანილი ტრასის სიგრძე არ იყოს 500 მეტრზე ნაკლები; გარდა ამისა, ტრასის გადატანის დროს ტრასა არ უნდა წყდებოდეს, იგი უნდა გრძელდებოდეს იმ ანგარიშით, რომ ძირითადი ტრასის შემაერთებელი ნაკვეთების კუთხე 30°-ს არ აღემატებოდეს.

10. როდესაც შეუძლებელია ტრასის ძირითადი შიმართულე-

შის პარალელურად ერთ ან მეორე მხარეს გადატანა, გადახრა დასაშვებია 30°-ის ფარგლებში.

11. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრასის მიმართულებით შარი ლობები და ქედები შეგვხდება, ტრასამ უნდა გაიაროს წყალგამყოფის გაყოლებით.

12. როდესაც ტრასა მსხვილ დასახლებულ პუნქტს ებჯინება და არ არის მისი ერთ ან მეორე მხარეს 2 კილომეტრის ფარგლებში გადატანის საშუალება, ამ შემთხვევები იგი უნდა შეწყდეს და წყვეტილი შეივსოს თვით დასახლებული პუნქტის გამწვანებით.

13. როდესაც ტრასის მიმართულებით ჭაობი და ჭაობიანი ადგილები შეგვხდება და არ იქნება მათი ერთ ან მეორე მხარეს 2 კილომეტრის ფარგლებში შემოვლის საშუალება, ასეთი ფართობები არ გამოირიცხება, ტრასის დაჭაობებული მონაკვეთები გაიზომება და შეიტანება, როგორც სამელიორაციო ფართობი.

14. როდესაც ტრასის მიმართულებით გვხდება კლდოვანი ადგილები მთლიანად ჩამორეცხილი ნიადაგის ფენებით, სადაც შეუძლებელია ტყის ნარგაობების გაშენება და ასეთი ფართობები საგრძნობლად დიდია, ამ შემთხვევაში ტრასა გადატანილი უნდა იქნეს ერთ ან მეორე მხარეს.

15. სამდინარო, შოსე და რკინიგზების გასხვისების ზოლებით დაქავებული ფართობები, და აგრეთვე გაშენებული ჭარსაფარი ზოლები გამოსაყოფ მიწების ფართობში არ შეიტანება.

16. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრასაზე გვხდება ცალქეული დიდი ხეები ან მინტორსაცავი ტყის ზოლის სახით დარგული მცირე რაოდენობის ნაძვი, აკაცია და სხვა ჯიშები, ისინი შეიტანება ზოლის ფართობში; მათი მოჭრა მასალად გამოყენების მიზნით ძველი მოსარგებლების (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლწევრების, მუშა-მოსამსახურების და ან ორგანიზაცია-დაწესებულებების) მიერ სასტიკად აკრძალულია.

17. მეტყველე ნიადაგმცოდნესა და მიწათმომწყობთან ერთად ადგილზე აზუსტებს სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლის მიმართულებას ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (რელიეფი, ნიადაგი, დასახლებული ადგილები, მრავალწლიანი ნარგავები და სხვ.); ამასთან ერთად, მეტყველე და ნიადაგმცოდნე არყვევენ ტყის ნარგაობების გაშენების პირობებს და ამა თუ იმ ჯიშის ვარგისიანობას გამოყოფილ ფართობზე დარგვისათვის.

18. ნიადაგმცოდნე აწარმოებს ტრასაზე გამოყოფილ ფართობზე ნიადაგების დეტალურ გამოკვლევას იმ ანგარიშით, რომ 1 ჰექტარ ფართობზე გააკეთოს 2—3 ამონათხარი (ორმო), ხოლო 8—10

ჰექტარ ფართობზე—1 მეტრი სიღრმის შურფი ნიადაგების სათა-  
ნადო შრეებად აღწერით.

19. მიწათმომწყვიბმა ტრასაზე გავლის დროს უნდა აჭარ-  
მონან არსებული საგეგმო მასალების კორექტირება გამოყოფილი  
ზოლის ფარგლებში და ზუსტად დაიტანონ გეგმაზე, როგორც  
გამოსაყოფი ფართობების საზღვრები, ისე მიწის სავარგულები.

20. ბრიგადებს ევალებათ სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლე-  
ბის გასაშენებლად მიწის ფართობების გამოყოფის საქმეები გაა-  
ფორმონ შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის  
22 ივნისის № 1240 დადგენილებისა—„სახელმწიფო, საზოგადოებ-  
რივი და სხვა დანიშნულებისათვის მიწის გამოყოფის საკითხების  
განხილვის წესის შესახებ“.

21. საჭართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სახელმწიფო  
დაცვითი ტყის ზოლების გაშენების საჭიროებისათვის მიწის ფარ-  
თობების გამოყოფის პროექტის დამტკიცების შემდეგ საჭართვე-  
ლოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადასცემს საჭართ-  
ველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის,  
ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამიართვე-  
ლოს მიწების საბოლოო გამოყოფის გეგმების თითო ცალ ზოლე-  
ბისა და რაიონების მიხედვით.

22. შიდასამეურნეო მიწათმოწყვიბის დროს, კოლმეურნეო-  
ბებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაცვითი ტყის ზოლების და-  
პროექტების პროცესში, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობე-  
ბის დაცვითი ტყის ზოლები უნდა დაუკავშირდეს სახელმწიფო  
დაცვითი ტყის ზოლებს.

იმ შემთხვევაში თუ ეს სამუშაო არ არის ჩატარებული შიდა-  
სამეურნეო მიწათმოწყვიბის დროს, საკოლმეურნეო და საბჭოთა  
მეურნეობების დაკავშირება სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლებთან  
უნდა მოხდეს განმეორებითი შიგასამეურნეო მიწათმოწყვიბის ჩა-  
ტარების დროს.

## II. ზოგადი დეპულებანი საძალოების დასავლეთ და აღმოსავლეთ აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ტყის ზოლების პროექტების შედეგების

### პროექტის შედგენილობა

23. მოცემული ზოლის მიზნობრივი დანიშნულება.

თითოეული ზოლის ბუნებრივ-ისტორიული პირობების დეტა-  
ლური აღწერილობა.

სახელმწიფო ზოლის მიწის ფონდის დახასიათება მიწათმო-  
სარგებლეთა კატეგორიებისა და საფარგულების შედგენილობის მი-  
ჟღვით.

ტყის დარგვის სამუშაოების მოცულობა.

ტყის დარგვის სამუშაოების პერსევერიული გეგმა დარგვის  
7 წლის პერიოდისათვის (1959—1965 წ.წ.) წლების მიხედვით,  
შემდეგი წლებისათვის კი—ტყის დარგვის ყველა ღონისძიების  
შეჯამებულად დაგეგმარებით არსებული სატყეო მეურნეობების  
მიხედვით. პროექტები შედგება თითოეულ ზოლზე მთლიანად რაი-  
ონების მიხედვით.

შენიშვნა: დარგვის სამუშაოების ვადები სახელმწიფო დაცვი-  
თი ტყის ზოლების ტრ ხაჭე შეთანხმებული უნდა იქნეს საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძა-  
ლებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან.

ხის ჯიშების ასორტიმენტი და ტყის კულტურების ტიპები,  
შეფარდებული ნიადაგობრივისა და კლიმატურ ზონებთან, და ზო-  
ნების ფარგლებში ნიადაგისა და გრუნტის პირობებთან.

ნიადაგის მომზადებისა და ტყის კულტურების მოვლის აგრო-  
ტექნიკა სატრაქტორო, ცხენისა და ხელის სამუშაოებად დაყოფით.

საჭირო სარგავი მასალის რაოდენობა სამუშაოების წარმოე-  
ბის წლებისა და პერიოდების მიხედვით.

მოთხოვნილება ხისა და ბუჩქნარი ჯიშების თესლებზე სახელ-  
მწიფო ზოლებში დასათესად იგივე პერიოდებისათვის.

სამელიორაციო-დასაშრობი და მორწყვის ღონისძიებები ზო-  
ლებში იმ ნაკვეთებზე, რომლებიც უკვე უზრუნველყოფილია და-  
საშრობი ან სარწყავი ქსელით კოლხიდმშენის ან საქართველოს  
სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ, ანდა, რომლებიც  
შეიძლება დაშრობილი იქნეს მთლიანი მასივების დაშრობისგან  
დამოუკიდებლად.

იმ ფართობების გამოვლინება, რომლებიც დაშრობილი ან  
მორწყული უნდა იქნეს მთელი რაიონის დაშრობის ან მორწყვის  
ღონისძიებების სისტემის მიხედვით.

ზოლების გაშენებისა და მოელის სამუშაოების მომსახურები-  
სათვის საჭირო საგზაო ქსელის განვითარება (მიმართულება და  
გზების ტიპები, მათი დეტალური დაპროექტების გარეშე).

მოთხოვნილება განვითარების მინისტრის მიერ გამჭე-  
რავაზე.

კაპიტალური დაბანდებანი დაცვითი ტყის ზოლების გაშენე-

ბისათვის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის (გზები-სა და ნაგებობათა მშენებლობა და სხვ.).

24. დაპროექტება წარმოებს ორ სტადიად: საპროექტო და-ვალება, სამუშაო ნახაზები.

საპროექტო დავალების სტადიაში ყველა ზემოდდასახელებული საკითხები წყდება იმდენად, რომ განსაზღვრული იქნეს ზოგადი მიმართულება და დაპროექტებული ღონისძიებების მიზანშეწონი-ლობა სოფლის მეურნეობის მშენებლობის ობიექტების დაპროექ-ტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის. ინსტრუქციის შესაბა-მისად.

სამუშაო ნახაზების სტადიაში წარმოებს ამ საკითხების და-ზუსტება მათი კონკრეტულ ნაკვეთებზე მიმდინარეობის ნატუ-რაში გაღატანისა და მისი განხორციელებისათვის.

სამუშაო ნახაზები მუშავდება დამტკიცებული საპროექტო დავალების საფუძველზე.

### ოროგრაფიული დახასიათება

25. ოროგრაფიული დახასიათება მოცემული უნდა იქნეს ტრასის ნაკვეთის ცალკე სახეების აღწერილობის სახით, მოყვანი-ლი უნდა იქნეს აგრეთვე სიმაღლეები, დაქანებები, ლელებისა და ხევების სახის აღწერილობა მათი ზოგადი მორფოლოგიური და-ხასიათებით.

ტრასაზე ნაკვეთები გამოიყოფა დაქანების მიხედვით: 15°-მდე, 15-დან  $25^{\circ}$ -მდე და  $25^{\circ}$ -ზე ზევით; იმ ტრასებისთვის, რომლებიც ბორცვებიან და დასერილ აღგილმდებარეობაში გადიან, შედგება შემოკლებული პროფილები შემდეგი მასშტაბით: პორიზონტალუ-რი 1:50000 და ვერტიკალური 1:1000.

### კლიმატური დახასიათება

26. კლიმატური დახასიათება სდგება ძირითადად ჰიდრომეტ-სამსახურის მთავარი სამმართველოს მასალებისა და საპროექტო ორგანიზაციის მიერ შეგროვილი მასალების შიხედვით.

დახასიათება უნდა შესდგეს:

ა) კლიმატური ცხრილებისგან ნიადაგობრივ-კლიმატური რაი-ონების მიხედვით;

- ბ) კლიმატური გრაფიკებისგან და რუკებისგან სახელმწიფო ზოლების ტრასაზე;
- გ) ცხრილებისგან, რომლებიც დახასიათებენ ცალჭმული ჭლების ძირითადი კლიმატური მაჩვენებლების აღბათობას;
- დ) მონაცემებისგან, რომლებიც დახასიათებენ ადგილობრივი პირობების გავლენას ჰავაზე.

### ჰიდროგრაფიული დახასიათება

27. ჰიდროგრაფიული დახასიათება მოცემული უნდა იქნეს იმ ადგილებისათვის, სადაც ტყის ზოლები გადაჭრიან მსხვილ მდინარეებს: რიონს, ცხენისწყალს, ინგურს, აბაშას, ტეხურას, ცივს, ხობს, ფრონას, მტკვარს, იორს, არაგვს, ლიახვს და სხვ., ძირითადად კოლხიდმშენის, წყალთა მეურნეობის სამინისტროს, ჰიდრომეტსამსახურის მთავარი სამმართველოს მასალებისა და საველე სამუშაოების დროს შეგროვებული მასალების მიხედვით.

ჰიდროგრაფიული დახასიათება უნდა შეიცავდეს:

ა) ხეობის, მდინარის ჭილისა და კალაპოტის მორფოლოგიურ და მორფომეტრიულ თავისებურებებს. ნაპირების გაღრეცვა;

ბ) წყლის აღიდების უმაღლეს დონეს და წყლით დაფარვის საზღვრებს;

გ) წყლის აღიდების დროს:

დ) სახელმწიფო ზოლის ცალჭმული რაიონების მიხედვით ხევებისა და ლელეების აღწერილობას.

### ჰიდროგეოლოგიური დახასიათება

28. თითოეული ზოლის ჰიდროგეოლოგიური დახასიათება მოცემული უნდა იქნეს ტრასის გავლის რაიონის ზოგად ჰიდროგეოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით სპეციალური ბარათის—ანგარიშის სახით ლიტოლოგიური რუკისა და გრუნტის წყლების განლაგების სილრმის რუკების თანდართვით. ლიტოლოგიური რუკა მოცემული უნდა იქნეს დამფარავი გრუნტებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ნიაღავის წარმომქმნელ ქანებს დაახლოებით 1 მეტრის სიღრმეზე ზედაპირიდან. ჰიდროგეოლოგიურ ანგარიშში მოყვანილი უნდა იქნეს ძირითადი ჰიდრომელიორაციული დასკვნები და რეკომენდაციები.

29. საველე გამოყოფევების მასალათა საფუძველზე და ლიტერატურული მონაცემების გამოყენებით სდგება ზოლის საბოლოო ნიადაგობრივი რუქა და ნიადაგების მიმოხილვა.

ნიადაგების მიმოხილვაში მოცემული უნდა იქნეს ტრასაზე ნიადაგების წარმოქმნის პირობები მათი მაკრო და მიკრორელიფფ-თან დაკავშირებით, მათი დანაწილება დამახასიათებელ ზონებად და ბოტანიკური საფარის დახასიათება.

რუკაზე გამოყოფილი ნიადაგის თითოეული სხვაობა დახა-სიათებული უნდა იქნეს ერთი ან რამოდენიმე ჭრილის მორფო-ლოგიური აღწერით, რომლებიც შეეფარდება მოცემული ნიადაგის სხვაობის საშუალო პირობებს, აგრეთვე არსებული ქიმიური ანა-ლიზების მონაცემებით რ.H, ჰუმურის, აზოტის, ფოსფორის, CO<sub>2</sub>-ს ჩვენებით და მექანიკური ანალიზებით მათი ფრაქციებად დანაწილებით %-%-ში (ანალიზისათვის სპეციალური ნიმუშების აღება წარმოებს მხოლოდ იმ ნიადაგებისათვის, რომლებიც, გამოკვლევების ინსტრუმენტის შესაბამისად, საეჭვოა ტყის გაშენებისათვის ვარგისიანობის თვალსაზრისით).

აღნიშნული მონაცემები მოყვანილი უნდა იქნეს ექსპლიკა-ციაში ნიადაგების რუკაზე.

ნიადაგის თითოეული სხვაობისათვის ან ერთნაირი ჯგუფებისათვის მოცემული უნდა იქნეს დახასიათება მათი ტყის გაშენებისათვის ვარგისიანობის შესახებ, აგრო და პიდრომელიორაციის ჩატარების საჭიროება.

### მოკლე ეკონომიკური დახახიათება

30. ეკონომიკური დახასიათება მოცემული უნდა იქნეს მოკლედ იმ აღმინისტრაციული რაიონების მიხედვით, რომლის ფარგლებშიაც გაივლის სახელმწიფო ზოლი.

მოცემული უნდა იქნეს რაიონი სოფლის მეურნეობის ძირი-თადი მიმართულება, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, სახელმწიფო ზოლებზე სამუშაოდ მუშახელის მიღების შესაძლებლობა.

### კარტოგრაფიული მასალების შედგენა

31. კარტოგრაფიული მასალა შედგება 1 : 10000 მასშტაბით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობისა და ოესლბრუნვის შემოღების საშმართველოს ბრიგადების

მიერ შესრულებული მიწის გამოყოფისა და სიტუაციის აგეგმვის  
პლანშეტებიდან გადალებული ამონახაზების საფუძველზე.

გეგმებზე დაიტანება რელიეფი ჰირიზონტალებში მისი კოლ  
ხიდმშენის მიერ 1 : 10000 მასშტაბით შედგენილი პლანშეტებიდან  
გადატანით, ხოლო თუ ასეთები არ არსებობს — 1 : 25000 მასშტა-  
ბით ტოპოგრაფიული რუკებიდან პანტოგრაფიული წესით გადა-  
ტანით. ზოლის იმ ნაკვეთებზე, რომლებზედაც არ არსებობს  
1 : 25000 ან უფრო მსხვილი მასშტაბის რუკები — რელიეფი არ  
დაიტანება. რელიეფი დაიტანება როგორც თვით ზოლის გამოყო-  
ფილ ნაკვეთზე, ისე საშუალოდ 500 მეტრზე თითოეულ მხარეზე.

სიტუაცია იმავე წესით დაიტანება წყვეტის აღვილებში და.  
აგრეთვე, ზოლისთვის გამოყოფილ ნაკვეთის გვერდებზე, საჭირო  
შემთხვევებში საველე ჩანაწერების მონაცემების მიხედვით შესწო-  
რებით.

შენიშვნა: იმ ნაკვეთებზე, რომლებიც რთულ ბუნებრივ პირო-  
ბებში მდებარეობენ, სამუშაო ნახაზების სტადიაში წარმოებს სპეცია-  
ლური ტოპოგრაფიული აგეგმვა და სხვა სახის გამოკვლევები.

### სქემები და რუკები

32. თითოეულ სახელმწიფო ზოლზე შედგება 1 : 10000 მას-  
შტაბის რუკა, რომელზედაც 5—კილომეტრიან ზოლზე ალინიშნება  
ტყის ნაკვეთები, მდინარეები, ტბები, ლელები, რეინიგზა, გზა-  
ტეტეცილები და ძირითადი ყამირგზები, დასახლებული პუნქტები,  
აღმინისტრაციული რაიონების საზღვრები, სატყეო მეურნეობებისა  
და სატყეობის საზღვრები, სატყეო მეურნეობებისა და სატყეობის  
კანტორების აღილმდებარეობა.

### სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლის დანიშნულება და მისი ტერიტორიალური დაყოფა

33. საერთო დანიშნულების შესაბამისად სახელმწიფო დაცვი-  
თი ტყის ზოლს დახასიათება ებლევა ცალკეული დახასიათებე-  
ლი მონაკვეთების მიხედვით და გამოვლინდება ამ მონაკვეთების  
მნიშვნელოვანი სამეურნეო თავისებურებანი.

მოცუმული უნდა იქნეს სახელმწიფო ზოლის აღმინისტრაციუ-  
ლისა და სატყეო სამეურნეო მხრივ (სატყეო მეურნეობები) დანაწი-  
ლების დახასიათება.

ჩამოთვლილი უნდა იქნეს სახელმწიფო ზოლის განლაგების  
რაიონში მოთავსებული სატყეო მეურნეობები და მათი საქმიანო-  
ბის მოცულობა.

ღონისძიებების ზოგადი და პერსპერტიული გეგმა  
სახლმაჭიცო დაცვითი ტყის ზოლზე

ტყის ნარგავთა ტიპები

34. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო  
ინსტიტუტის მიერ რეკომენდებულ სქემებთან შეფარდებით და-  
პროექტების დავალებით გათვალისწინებული ტყის ნარგაობების  
ტიპები ზუსტდება სამუშაო დაპროექტების სტადიის დროს ჩატა-  
რებულ გამოკვლევათა მონაცემების საფუძველზე.

ნიადაგის, პილოგეოლოგიური და კლიმატური მასალების  
შესწავლის, აგრეთვე, სატყეო-სამეურნეო გამოკვლევებისა და  
შეტყევე-გამომკვლევების წინასწარი რეკომენდაციების საფუძველზე:  
საპროექტო დავალების სტადიაზე შეიძლება ნარგაობათა ტიპი.

ტიპიური ნარგაობათა სქემები დამუშავდება ცხრილებისა და  
გრაფიკული სქემების სახით, სადაც ნაჩენები უნდა იქნეს ის ბუ-  
ნებრივი პირობები, რომლებშიაც ეს სქემები გამოიყენება.

სამუშაო ნახაზების სტადიაში თითოეული სახელმწიფო ზო-  
ლისათვისა და ნიადაგისა და კლიმატური პირობების მხრივ დამა-  
ხასიათებელი ნაკვეთისათვის შედგება ცალკე ცხრილი.

ცხრილში ჩამოითვლება ის სატყეო მეურნეობები, რომლე-  
ბისთვისაც რეკომენდებულია ეს სქემები; მოცემული უნდა იქნეს  
ნარგაობათა სქემების ნუმერაცია (რომაული ციფრებით), რომე-  
ლიც საერთოა მთელ ზოლისათვის თანამიმდევრულად ყველა ზო-  
ნებზე; მოკლედ უნდა იქნეს მოყვანილი დარგვისათვის ნიადაგის  
მომზადების რეკომენდებული აგროტექნიკა (პირველადი მზრალად  
ხვნა, ან ადრე გაზაფხულზე ხვნა, ანეულად დატოვება, თესვისწინა  
დამუშავება, ხვნის სიღრმე და სხვ.).

ერთნაირი აგროტექნიკა შეიძლება გავრცელებული იქნეს  
ნიადაგის რამოდენიმე სხვაობაზე, ან ტყის ნარგაობის ტიპზე;  
მოყვანილი უნდა იქნეს რეკომენდებულ ჯიშთა ასორტიმენტი, მათი  
ა) მთავარ, ბ) თანამგზავრ და გ) ბუჩქნარ ჯიშებად დაყოფით.

შერევის სქემებში ნაჩვენები უნდა იქნეს ცალკე ჯიშების რი-  
გები, აგრეთვე რიგთა და ჯიშთა მორიგეობა.

ნიადაგის თითოეული სხვაობისათვის შეიძლება მოცემული

იქნეს სქემების 2—3 ვარიანტი. ნაჩვენები უნდა იქნეს, რომელი ნომერი სქემა არის ძირითადი, ანდა რომელ რაიონებში, ნიადაგის რუსული რეკომენდებულია ესა თუ ის ვარიანტი. სქემების კონკრეტული მიზანი ნაკვეთებზე წარმოებს სამუშაო ნახაზების სტადიაში დამუშავების დროს.

სარგავი ან სათესი ადგილების განლაგება სწყდება კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების მიხედვით ნარგაობების მოვლის მაქსიმალური მექანიზაციის მხედველობაში მიღებით.

### ტყის დარგვის სამუშაოების საერთო მოცულობა

35. თითოეული განაყოფისათვის რეკომენდებული სქემა (ნარგაობათა ტიპები) შეტანილი უნდა იქნეს საინვენტარიზაციო უწყისში. უწყისში შეტანილი უნდა იქნეს ის ღონისძიებები, რომლებიც წინ უნდა უძლოდეს დარგვას, და ნიადაგის მომზადების წარმოების შეთვალები.

ტყის დარგვის სამუშაოების საერთო მოცულობის გაანგარიშებისათვის სარაიონო საინვენტარიზაციო უწყისების საფუძველზე შედგება გასატყიანებელი ფართობების ნაკრები სარაიონო უწყისები.

ამავე ფორმით შედგება ნაკრები უწყისები მთელ ზოლზე, სატყეო მეურნეობებზე დაყოფით.

ნაკრებ უწყისებში ჯამდება ფართობები ტყის ნარგაობათა ერთი ტიპით, ნიადაგის მომზადების ერთნაირი მეთოდებით და წინამავალი ღონისძიებებით.

ტყით ან ბუჩქნარით დაფარული ნაკვეთები, რომლებზედაც უნდა ჩატარდეს ამოძირება, არ უნდა შეჯამდეს სხვა კატეგორიის განაყოფებთან.

უწყისში შეაქვთ აგრეთვე ტყის ზოლების ისეთი ნაკვეთები, რომლებზედაც ამჯამად დარგვისათვის გამოუყენებელი ნიადაგებია, რომელთა გამოყენება შეიძლება მხოლოდ მათი ხანგრძლივი, ძვირად ღირებული მელიორაციის შემდეგ, თუნდაც მათი ათვისების შესაძლებლობის ვადები სცილდებოდეს მოცემული სახელმწიფო ზოლის გაშენების ვადების საზღვრებს. ამ ფართობებზე შენიშვნაში ნაჩვენები უნდა იქნეს მელიორაციის სახე.

ტყის ზოლების ნაკვეთების ფართობთა საერთო ჯამების გაანგარიშების შემდეგ, ცალკე დაჯამდება ტყის დასარგავად უვარ-

გისი ფართობები და დაიწერება საერთო ჯამის ქვეშ შემდეგი  
სახით: „მათ შორის ტყის გამნებისათვის გამოუყენებელი“.

მოცემულ ზოლზე ჩასატარებელი ტყის დარგის სამუშაოების  
საერთო მოცულობა განისაზღვრება ფართობების საერთო ჯამით,  
რომელსაც გამოაკლდება:

- ა) ტყით დაფარული, დასატოვებელი ფართობები,
- ბ) ტყის დარგისათვის გამოუყენებელი ფართობები.

### ტყის დარგის პერსპექტიული გეგმა

36. ტყის დარგის წარმოების პერიოდი განისაზღვრება სა-  
ჭართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და საპროექ-  
ტო დავალებით.

ტყის დარგის საერთო მოცულობა უნდა განაწილდეს წლე-  
ბის მიხედვით.

პირველ რიგში უნდა გატყიანდეს ტყის დარგისათვის ვარ-  
გისი, მაღალი მწარმოებლურობის ნიადაგები, საღაც სულ მოქლე  
სანში შეიძლება მივაღწიოთ მდგრად, სწრაფზრდად და ეფექტურ  
ნარგაობათა მიღებას.

ამრიგად შედგენილი ტყის დარგის პერსპექტიული გეგმა  
შეთანხმებული უნდა იქნეს საჭართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან  
არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მე-  
ურნეობის მთავარ სამმართველოსთან საპროექტო დავალების  
სტადიაში.

### მოთხოვნილება ტყის დარგისათვის საჭირო სარგავ მასალაზე და თესლებზე

37. საპროექტო დავალებაში მოთხოვნილება სარგავ მასალაზე  
და თესლებზე გაანგარიშებული უნდა იქნეს გამსხვილებულად, ხო-  
ლო სამუშაო ნახაზების სტადიაში მისი გაანგარიშება ხდება ცალკე  
წლებისა და სატყეო მეურნეობის მიხედვით.

ტყის დარგისათვის საჭირო სარგავ მასალას უნდა მიემატოს  
კულტურების შევსებისათვის საჭირო სარგავი მასალის რაოდენობა.

შევსებისათვის საჭირო სარგავი მასალის რაოდენობა გაანგა-  
რიშებული უნდა იქნეს წინა ორ წელიწადში გაშენებული ნარგაო-  
ბების ფართობისათვის; ანგარიშს საფუძვლად უნდა დაედოს ტყის  
კულტურების გაცდენის სიღიდე თანახმად საჭართველოს სს რეს-  
პუბლიკაში არსებული პრაქტიკისა.

კულტურების გაცდენის პროცენტი უნდა დაზუსტდეს სახელ-

მწიფო ზოლზე საველე სამუშაოებისას ჩატარებული ტყის კულტურების შემოწმების დროს.

შესავსებად დაიგეგმება უპირატესად მთავარი ჯიშები, ხოლო თანამგზავრ და ბუჩქნარი ჯიშებიდან, მათი დიდი პროცენტით დაღუპვის შემთხვევაში, შეირჩევა ყველაზე სწრაფზრდადი.

შენი შვია: მოთხოვნილება სარგავ მასალაზე გაანგარიშებული უნდა იქნეს 1959—1965 წლებისთვის.

სატყეო მეურნეობების მიხედვით სარგავი მასალის მოთხოვნილების შეჯამებით გაიანგარიშება მოთხოვნილება მთელი ზოლისათვის.

ტყის დარგვის სამუშაოების აგროტექნიკა, საჭირო მუშახელის, ნაწილისა-იარაღებისა და სამუშაოების ღირებულების  
გაანგარიშება (ძირითადი შრომითი ხარჯები)

38. გაანგარიშების საფუტელად მიღებული უნდა იქნეს საჭართველოს სსრ მეცნიერებათა ოკადების მიერ დამუშავებული დაცვითი ნარგაობების აღზრდის აგროტექნიკა.

აგროტექნიკა და სათანადო ნორმატივები საჭირო მუშახელის, მანქანებისა და იარაღების მოთხოვნილების გაანგარიშებისათვის, შეიძლება შეიცვალოს ტყის დარგვის სამუშაოების ვადების, მოცემული რაონის ნიადაგის მდგომარეობის, ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების და სხვ. მიხედვით. ყველა გადახრა მიღებული აგროტექნიკიდან, ან ცვლილება დასაბუთებული და გაშუქებული უნდა იქნეს სამუშაო ნახატებზე დართულ ახსნა-განმარტებითს ბარათში.

39. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან ერთად წარმოებს ტრაქტორებზე, მანქანა-იარაღებზე, ტყის საკულტურო ხელის ინვენტარზე მოთხოვნილების გაანგარიშება სამუშაოების დაწყების წლისათვის და ტყის დარგვის სამუშაოების უდიდესი მოცულობის წლისათვის.

მოწყობილობაზე გაანგარიშებულ მოთხოვნილებას უდარებენ სატყეო მეურნეობებში არსებულ მოწყობილობას, რის შემდეგ სდგება დასაბუთებული წინადაღებები სატყეო მეურნეობების მოწყობილობის დამატების ან შემცირების შესახებ.

### სამელიორაციო ღონისძიებები

40. ნიადაგობრივი და ჰიდრომელიორაციული ანგარიშების საფუძველზე თითოეულ ზოლზე გამოიყოფა ნაკვეთები, რომლებიც ამა თუ იმ მოცულობაით მოითხოვს სამელიორაციო სამუშაოებს.

იმ ნაკვეთებზე, რომლების დაშრობა არ შეიძლება ჩატარდეს მის ირგვლივ მდებარე დაჭაობებული მასივების დაშრობის გრტეშე, თუ არსებობს კოლხიდმშენის ან წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ დამუშავებული პროექტები, მოყვანილი უნდა იქნეს ღონისძიებათა მოქლე დახასიათება მათი საფარაუდო შესრულების წლის ჩევნებით. კოლხიდმშენის ან წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ დაგვეგმილ დასაშრობ ღონისძიებათა საფუძველზე დასახული უნდა იქნეს დამატებითი სამელიორაციო ღონისძიებები, რომლებიც უნდა ჩატარდეს თვით ზოლზე.

იმ ნაკვეთებისთვის, რომლებიც შეიძლება დაშრობილი იქნეს მეზობელი მიწებისგან დამოუკიდებლად, ან მათ გვერდზე მდებარე მცირე ტერიტორიის ჩაბმით, აგრეთვე, უკვე დაშრობილ ნაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვენ უშუალოდ ზოლზე წყლის გადაგდების დამატებით ღონისძიებებს—დაშრობის სქემა იმ მოცულობით დამუშავდება, რაც საქმარისია დასახული ღონისძიებების ღირებულებისა და საჭირო. მუშახელის, ტრანსპორტისა და მასალების გაანგარიშებისათვის. ეს ღონისძიებები დაკავშირებული უნდა იქნეს აგრეთვე კოლხიდმშენის ან წყალთა მეურნეობის სამინისტროს პროექტებთან ან დასაშრობ სისტემებთან. საჭიროების შემთხვევაში დაშრობის დეტალური პროექტების დამუშავება წარმოებს ტყის კულტურების გაშენებამდე ერთი წლით ადრე ზოლის სათანადო ნაკვეთზე.

გათვალისწინებული უნდა იქნეს მორწყვის წყაროები და მეთოდები, თუ ასეთი საჭიროა.

განისაზღვრება სამელიორაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

### გზებით უზრუნველყოფა

41. არსებული დიდმასშტაბიანი რუკების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამართველოს საგზაო რუკებისა და საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე გამოირკვევა ზოლების ცალკეულ ნაკვეთებზე მისვლის შესაძლებლობა არსებული გზებით.

ზოლის იმ ნაკვეთებისათვის, რომლებიც დაშორებულია არსებული გზებიდან, დამატებითი მისასვლელი ყამირ-გზები დაიგეგმება მოცულული კარტოგრაფიული მასალების საშუალებით.

ამ დამატებითი გზებისათვის შემუშავდება ტიბური პროფი-

ლები, შედგება მარტივი ტექნიკური პირობები მათი დამხმარე და  
დროებითი ხასიათის მხედველობაში მიღებით და განისაზღვრება.  
შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო მოცულობა.  
განისაზღვრება საგზაო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ლი-  
რებულება.

### სატყეო მეურნეობების აღმინისტრაციული დაყოფა და დაცვის მოწყობა

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის  
მთავარ სამმართველოსთან ერთად განისაზღვრება სატყეოს მიერ  
მოსავლელი ზოლის ზონა, სახელმწიფო ზოლზე ჩასატარებელ ყველა  
საწარმოო სამუშაოების ტექნიკური ხელმძღვანელობით უკეთ მომ-  
სახურების მხედველობაში მიღებით.

დაცვის უზრუნველსაყოფად სატყეო მეურნეობის მთავარ სამ-  
მართველოსთან ერთად განისაზღვრება სახელმწიფო ზოლების  
ტრასებზე სატყეო კორდონების რიცხვი და ადგილსამყოფელი;  
მომსახურების რადიუსი არ უნდა აღემატებოდეს 5 კმ 200 მეტრი  
სიგანის ზოლებზე; 60 და 100 მეტრი სიგანის ზოლებისათვის კორ-  
დონთა რიცხვი განისაზღვრება საშუალოდ, იმ ანგარიშით, რომ  
ერთი უმცროსი ტყის მცველი მოემსახურება 10 კმ ტრასას (5 კმ  
მანძილზე კორდონის თითოეულ მხარეზე). პროექტებში გათვალის-  
წინებული უნდა იქნეს ღონისძიება ზოლის პირუტყვისაგან დაზია-  
ნების წინააღმდეგ.

კორდონების ყველა საჭირო სამეურნეო ნაგებობიანად აგები-  
სათვის, არსებული ტიპური პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების  
დახმარებით განისაზღვრება კორდონების მშენებლობის ღირებუ-  
ლება და საჭირო კაპიტალდაბანდებათა ოდენობა.

### სივრცეები სახელმწიფო ზოლებში არსებულ წევეტილებში

43. იმ ნაკვეთებზე, რომლებიც მოთავსებულია სახელმწიფო  
ზოლების წყვეტილებში (სოფლები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა).  
დასახული უნდა იქნეს ამ წყვეტილებების შექსების ღონისძიებათა  
ძირითადი მიმართულება.

ახსნა-განმარტებითს ბარათში გაშუქებული უნდა იქნეს ის  
ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა ჩატარდეს წყვეტილებში და,  
საჭირო შემთხვევებში, მოსაზღვრე ზოლებზეც.

იმ ნაკვეთებიდან, რომლებიც ეკვრიან სახელმწიფო ზოლების  
საზღვრებს, თანამიმდევრულად, ტრასის მიმართულებით ამოირჩევა

ის ნაკვეთები, რომლებზედაც ჩატარებული უნდა იქნეს გატყიანების ესა თუ ის ღონისძიება, რომელიც გააძლიერებს სახელმწიფო ზოლის დაცვითს გავლენას სახელმწიფო ზოლის ქლიმატური თვალსაზრისით ყველაზე კრიტიკულ ნაკვეთებზე.

44. საქართველოს დასავლეთისა და აღმოსავლეთ რაიონების სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების ტყის ნარგაობათა პროექტი შედგება თითოეულ ცალკე სახელმწიფო ზოლზე.

გარდა ამისა, დამუშავებული უნდა იქნეს პროექტის ნაკრები ნაწილი, რომელიც შეიცავს გამსხვილებულად ყველა ზოლებს ხარჯების ნაკრებითა და საჭირო სარგავი და სათესი მასალებითა და სხვ. ნაკრებ გამსხვილებულ უწყისებს, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებისათვის ცალ-ცალკე.

### III. კოლეგიალნორგებული და საგაოთა გენერალური დაცვითი ტყის ნარგაობების განლაგების პროექტების შედგენის, გაფორმებისა და ნატურალური გადატანის შესები

45. კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ყველა სახის დაცვითი ნარგაობათა განლაგების პროექტი შეადგენს შიდა-სამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის შემადგენელ ნაწილს და მუშავდება მასთან ერთად.

მიწათმოწყობილ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც არ არის შედგენილი დაცვითი ტყის ნარგაობათა განლაგების პროექტები, ისინი უნდა შედგეს ამ მითითებათა და ტერიტორიის სწორი ორგანიზაციის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მიწათმოწყობის დროს ადრე დამუშავებული დაცვითი ტყის ნარგაობათა განლაგების პროექტები იმ ნაწილში, რომელიც არაა განხორციელებული, შეფარდებული უნდა იქნეს ამ აგრომითითებათა მოთხოვნებთან.

46. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მიწებზე გასაშენებელი დაცვითი ტყის ნარგაობების განლაგების პროექტების დამუშავება წარმოებს შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტების შედგენასთან ერთდროულად; ამ დამუშავებაში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის და სათანადო ტრესტის მუშაქმა, ხოლო იმ რაიონებში, სადაც წარმოებს მორწყვა, აგრეთვე წყალთა მეურნეობის ორგანიზაციის სათანადო სპეციალისტებმა.

47. დაცვითი ტყის ნარგაობათა განლაგების პროექტის შედგენამდე, კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის სავარგულების აგროსამეურნეო გამოკვლევასთან ერთდღროულად, რომელიც ტარდება შიდასამეურნეო მიწათმოწყობის მიზნებისათვის, სატყეო მეურნეობის მუშაკებმა ტექნიკური დაბმარების სახით უნდა ჩატარონ საჭირო სატყეო აგრომელიორაციული გამოკვლევები (რელაციული ტყის გამოკვლევა და მოქმედი ღელეებისა და ჩამორჩეცხილი ნაკვეთების გამოვლინება, იმ ფართობების გამოყოფა, რომლებზეც ხდება ნიადაგის გამოქარევა და მოძრავი სილებია, აგრეთვე, არსებული ტყის ნარგაობათა გამოკვლევა). გამოკვლევის შედეგები დაიტანება აგროსამეურნეო გამოკვლევის ნახაზზე, რომელიც შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის შედგენისათვის გამოიყენება.

48. მრავალწლიან კულტურათა ნარგაობების (ჩაის, ციტრუსების, ბალების, ვენახების და სხვ.) გაშენებისათვის ფართობების გამოყოფის დროს დაინიშნება დაცვითი ტყის ზოლების გაშენების აღგილები, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს მოცემული მეურნეობის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტში.

შენიშვნა: გამოკვლევები ნატურაში წარმოებს იმ უმთხვევებზე. როდესაც დაცვითი ტყის ნარგაობათა განლაგების პროექტებს აღვენენ ადრე მიწათმოწყობილ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში და, აგრეთვე, როდესაც საჭიროა შესწორებების შეტანა მინდორსაცავი ტყის ნარგაობათა გაშენების პროექტის განხორციელებელ ნაწილში.

49. კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის მიწებზე ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის შედგენასთან ერთდღროულად, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, დამუშავდება დაცვითი ტყის ნარგაობების განლაგებაც არსებული ტყის ნარგაობების განლაგების მხედველობაში მიღებით. ეს პროექტი დატანილი უნდა იქნეს შიდასამეურნეო მიწათმოწყობის გეგმაზე და მას დაერთვის დაცვითი ტყის ნარგაობების განლაგების სისწორის დასაბუთება.

50. დაცვითი ტყის ნარგაობების განლაგების პროექტი მტკიც-დება დადგენილი წესით შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტთან ერთდღროულად, რის შემდეგ გადაიტანება ნატურაში.

დაცვითი ტყის ნარგაობების გაშენებისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები ნატურაში გამოიყოფა მყარი ნიშნებით (ყრილებით, პატარა ბოქებით და ა. შ.).

შიდასამეურნეო მიწათმოწყობისა და დაცვითი ტყის ნარგაობების განლაგების საფუძველზე—კოლმეურნეობის გამგეობა, რაიო-

ნის სოფლის მეურნეობის ინსპექციისა და სატყეო მეურნეობის  
მუშაკის მონაწილეობით, შეადგენს ტყის ნარგაობების გაშენების  
პერსპექტიულ გეგმას (საბჭოთა მეურნეობებში—მეურნეობის დო-  
რექცია ტრესტის წარმომადგენლის მონაწილეობით). გეგმაში ნა-  
ჩვენები უნდა იყოს თითოეული ტყის ნარგაობის აღვილდებარეო-  
ბა და ფართობი, გაშენების სამუშაოების მოცულობა წლებზე  
განაწილებით და საჭირო მატერიალური ხარჯები (შრომის, მექა-  
ნიკური და ცოცხალი გამწევი ძალის, სარგავი მასალის, ფულადი  
სახსრებისა და ა. შ.).

51. ტყის გაშენების პერსპექტიული გეგმა კოლმეურნეობაში  
განხილული და მიღებული უნდა იქნეს კოლმეურნეობა საერთო  
კრებაზე და დამტკიცებული რაიალმასკომის მიერ. საბჭოთა მეურ-  
ნეობის ტყის გაშენების პერსპექტიული გეგმა განხილული უნდა  
იქნეს საბჭოთა მეურნეობის საწარმოო თათბირზე და დამტკიცე-  
ბული ტრესტის მიერ.

რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექცია კოლმეურნეობათა  
და საბჭოთა მეურნეობების პერსპექტიული გეგმების საფუძველზე  
ადგენს რაიონის პერსპექტიულ გეგმას, ხოლო რაიონების პერსპექ-  
ტიული გეგმების საფუძველზე სდგება ოლქის ან ავტონომიური  
რესპუბლიკის პერსპექტიული გეგმა.

#### IV. გავნე ჩაახაის მიმართულების განსაზღვრის ხელხები

52. მანამდის, ვიდრე მოცემულ მასივის ტერიტორიაზე მოხ-  
დება დაცვითი ტყის ზოლების განლაგება, უნდა დადგინდეს საი-  
დან ჰქონიან უმეტესად ყველაზე მავნე ქარები, იმ მიზნით, რომ  
მათ პერპენდიკულარულად იქნეს განლაგებული ძირითადი (გრძი-  
ვი) ზოლები. გაზაფხულისა და ზაფხულის ხორმაკების მიმართუ-  
ლების განსაზღვრასთან ერთდროულად, უნდა განისაზღვროს აგრე-  
თვე სხვა მავნე ქარების მოქმედების მიმართულება, (როგორც მაგ.,  
ქარბუქის გამომწევი, თოვლის აღმგევი, დიდი სიძლიერის ქარები,  
რომლებიც გამოქარავენ ნიადაგსა და თესლებს, აგრეთვე ზამთრის  
გამყინვანი ქარები, რომლებიც აზიანებენ მრავალწლიან კულტუ-  
რებს.), იმ მიზნით, რომ ტყის ზოლების განლაგების დროს პულ-  
ტურები დაცული იქნეს აგრეთვე ამ ქარებიდანაც.

ვიდრე არ იქნება განსაზღვრული მავნე ქარებიდან რომელია  
ყველაზე უარყოფითი და მისი მოქმედების მიმართულება, მანამდე  
საკმაოდ სწორად ვერ დაიგეგმება განლაგებული დაცვითი ტყის  
ზოლების სისტემა.

53. გამომშრობი მავნე ქარების გამოვლინებისას აღებული უნდა იქნეს მცენარეების ვეგეტაციის პერიოდი მარტიდან სექტემბრამდე ან ოქტომბრამდე, აგრეთვე მეტეოროლოგიური დაკერძებების ყოველდღიური ჩანაწერებიდან ამოლებული უნდა ჟენერალური დღების მონაცემები, რომლებშიაც ქარის სისწრაფე, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა და ტემპერატურა უფრო მაღალია წინასწარ დადგენილ ზღვარზე.

ამ მიზნისთვის აღრიცხული უნდა იქნეს ის დღეები, რომლებშიაც დღის 1 საათზე მეტეოროლოგიური ფაქტორები აღწევდნენ შემდეგ სიდიდეს: ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა—30% და ნაკლები, ჰაერის ტემპერატურა+30° და მეტი, ქარის სისწრაფე 5 მ/წ და მეტი.

54. გამომშრობი ქარების გამორჩევისათვის ყველაზე საიმედონდ უნდა ჩაითვალოს დღის განმავლობაში წყლის აორთქლების მაჩვენებლები, ხოლო თუ ამ მაჩვენებელზე არ არსებობს მასალები—ჰაერის ტენიანობის დეფიციტი. ჰაერის ტენიანობის დეფიციტი განისაზღვრება ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობაზე დაკვირვებების მონაცემების დახმარების გაანგარიშებით.

გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდის გამომშრობ ქარებში უნდა გამოიჩინოს გაზაფხულის ქარები, რომლებიც აშრობენ ნიადაგს, და ზაფხულის პერიოდისა, რომლებიც მავნე მოქმედებას ახდენენ მცენარეებზე, განსაკუთრებით, მათი განვითარების პერიოდში—თავთავის გამოღებიდან რძებამდგარი სიმწიფის დამთავრებამდე. მეორე რიგის ქარების მავნე მოქმედება მდგომარეობს მცენარის წყლის ბალანსის მქაცრ დარღვევაში, რაც გამოწვეულია მცენარის მიერ ტრანსპირაციით აორთქლებაზე ტენის გაძლიერებული ხარჯვით, იმ დროს, როდესაც ის ვერ იღებს საქმაო რაოდენობის წყალს ფესვთა სისტემის საშუალებით. ამის შედეგად კი აღვილი აქვთ მცენარის ცხოველებების პროცესების შესუსტებას და შემდეგ მათი ვეგეტაციური ორგანოების ზოგიერთი ნაწილის კვდომას.

ზამთრის მავნე ქარებს ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ ე. წ. ქარბუქის გამომწვევ ქარებს, რომლებიც იწვევენ თოვლის გადაადგილებას და, აგრეთვე, 5 მ/წ მეტი სისწრაფის ქარებს, რომელთაც თან ახლავს უარყოფითი ტემპერატურები, თეთ-5°C ტემპერატურა, და რომლებიც განსაკუთრებით აზიანებენ ციტრუსოვან კულტურებს.

55. ნიადაგისა და ნათესების გამომქარივ ქარების („შავი“ ან „მტვრიანი“ ქარიშხალი) გამორჩევისათვის იყენებენ ქარის სისწრა-

ფის მაჩვენებლებს; მათ მიაკუთვნებენ მხოლოდ მაღალი—15 გ/ჭ  
სისწრაფის ქარებს.

მაგნე ქარების შესწავლა და მათი მოქმედების მიმართულე  
ბის გამოვლინება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მეტი წლების მო-  
ნაცემების საფუძველზე.

არასწორად უნდა ჩაითვალის, როდესაც დაცვითი ტყის ზო-  
ლების განლაგების პროექტის შედგენისას იყენებენ მეტოროლო-  
გიური სადგურების მიერ გამზადებულ საერთო ნაკრებ ცნობებს,  
რომლებიც გამოსახავენ მხოლოდ ყველა ქარების გამორჩებადობას.

56. შეტეოროლოგიური ჩანაწერებიდან გამორჩეულ ქარებს,  
რომლებიც აქმაყოფილებენ აღებულ მაჩვენებლებს, შემდეგ დააჯგუ-  
ფებენ მათი მოქმედების მიმართულებებით და გადათვლიან მათ ამ  
მიმართულებით გამეორებადობის შემთხვევათა რიცხვს. ქარების  
გამეორებადობა გაიანგარიშება პროცენტებში და თვალსაჩინოების  
მიზნით გამოსახება გრაფიკულად დიაგრამის სახით (ქარების ვარ-  
დი), რომელიც დაახასიათებს მოცუმული მასივის ქარულ რეკიმს.

57. ცალკეული მიმართულების ქარების მოქმედების მაგნებ-  
ლობის დასახასიათებლად გამეორებადობის დამატებით აღებული  
უნდა იქნეს გამომშრობი ძალის მაჩვენებლები გაზაფხულ-ზაფხულის  
ხორზაკებისათვის, ან ქარის სისწრაფეები ქარბუქისა და სხვა ქა-  
რებისათვის. ქარების ცალკე მიმართულებების მიხედვით დალაგე-  
ბის, ამ ქარების მაჩვენებლების დაჯამების და მათი პროცენტებში  
გამოსახების შედევად პროექტის შემდგენლები მიიღებენ ცალკე მი-  
მართულების ქარების ხარისხის დამატებითს დახასიათებას,  
რომელიც საქმიად საგრძნობ შესწორებას შეიტანს ცალკეული  
მიმართულებების გამოსახულებაში.

#### V. ძირითადი დევილებანი საჩართველოს აღმოსავლეთ დაიოვებული დაცვითი ტრის ზოლების გაშენების ზოსახეზ

58. ვინაიდან ბუნებრივ-ისტორიული და, კერძოდ, კლიმატური  
პირობები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მკეთრად  
განსხვავდება ერთმანეთისაგან და, გარდა ამისა, აღმოსავლეთ და  
დასავლეთ რაიონებში გასაშენებელი სასოფლო-სამეურნეო კულტუ-  
რებიც განსხვავდებიან, ამიტომ ყველა დაცვითი ტყის ზოლებთან  
დაკავშირებული საკითხები გაშუქებული იქნება აღმოსავლეთ და  
დასავლეთ რაიონებისათვის ცალკეულები.

59. დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს აღმოსავლეთ  
საქართველოს ყველა რაიონში. გაბატონებული ქარების სიძლიე-

რისა და ხასიათის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონები დაიყოფა 3 ჯგუფად:

ა) პირველ ჯგუფს მიეკუთვნება რაიონები ან მათი ნაწილები შეატყობინებით, რომელებიც იწვევენ ნიადაგის გამოქარებას, სახელდობრ: ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, სიღნაღის, წითელწყაროს (აზერბაიჯანის სს ჩემპუბლიკის მოსაზღვრე ამაღლებული ნაწილი), სამგორის, მცხეთის და საგარეჯოს რაიონები;

ბ) მეორე ჯგუფს მიეკუთვნება რაიონები ძლიერი ქარებით, რომელებიც საგრძნობლად აზიანებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, სახელდობრ: სტალინირის, ზნაურის, ახალქალაქის, ბოგდანოვის, წალენის, დუშეთის, მარნეულის, ბოლნისის, ღმანისის, ყაზბეგისა და წითელწყაროს რაიონის ნაწილი (რომელიც ესაზღვრება მდ. ალაზანს);

გ) მესამე ჯგუფს მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი რაიონები, რომელნიც ხასიათდებიან ნაკლებად ძლიერი ქარებით, მაგრამ რომელთა უარყოფითი გავლენა საქმაოდ ნათლად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე; ასეთი რაიონებია: ახალქალაქის, ასპინძის, აღიგნის, ბორჯომის, ლენინგორის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ჯავის, თელავის, ახმეტის, ყვარელის, გურჯაანის და ლაგოდეხის.

60. დაცვითი ტყის ზოლები, რომლებსაც აპროექტებენ მრავალწლიან ნარგავთა დასაცავად, გაშენებული უნდა იქნეს წინასწარ, ფართობების კულტურებით ათვისებამდე ორი წლით ადრე მაინც, დანარჩენი კულტურებისათვის კი—დამტკიცებული თესლბრუნვების შესაბამისად.

61. იმ შემთხვევაში, როდესაც იმ ადგილებზე, რომლებზედაც იგეგმება დაცვითი ტყის ზოლები, არის ბუნებრივი ტყის კორომები, რომლებიც აქმაყოფილებენ დაცვითი ტყის ზოლების წინაშე წაყენებულ მოთხოვნილებებს, ეს ტყის კორომები შენარჩუნებული და ჩარიცხული უნდა იქნეს დაცვითი ტყის ზოლების საერთო სისტემაში. თუ ტყის კორომები ძლიერ მეჩერია და არ შეუძლიათ შეასრულონ დაცვითი ტყის ზოლების ფუნქციები, ისინი უნდა ამოიძირკვონ და მათ ადგილზე გაშენდეს ხელოვნური დაცვითი ტყის ზოლები.

62. მთავარი, ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლები შეძლებისამებრ განლაგებული უნდა იქნეს რაიონში გაბატონებული მავნე ქარების პერპენდიკულარულად, ხოლო დამატებითი, ანუ განივი—ძირითადი დაცვითი ტყის ზოლების პერპენდიკულარულად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ რაიონში ან მასივში გაბატონებულია ორი ერთმანეთისადმი პერპენდიკულარული

მიმართულების ქარი, განივი დაცვითი ტყის ზოლები გარდა იქნებან აგრეთვე მთავარ ზოლებად და მათ შორის მანძილი, რიგთა რაოდენობა, სიგანე და ჯიშთა შემადგენლობა დამატებითს (განივ) ზოლებში იქნება იგივე, რაც გათვალისწინებულია ძირითადი ზოლებისათვის.

63. ვინაიდან დაცვითი ტყის ზოლები შეძლებისამებრ დაკავშირებული უნდა იქნეს რელიეფის ამაღლებულ ელემენტებთან და, გარდა ამისა, გზებთან, სამელიორაციო ქსელთან და სხვ. § 62-ში ნაჩენები დაცვითი ტყის ზოლების მიმართულებები (თესლბრუნვის მინდვრების უფრო ხელსაყრელად განლაგებისა და გზებთან და სამელიორაციო ქსელთან დაკავშირების მიზნით) შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაიხაროს ამა თუ იმ მხარეს, პერპენდიკულარული მიმართულებიდან სხვადასხვა ზომით, მაგრამ არა უმეტეს  $45^{\circ}$ -ზე.

64. ძირითად დაცვით ტყის ზოლებს შორის დადგენილია შემდეგი მანძილები (მეტრებში).

### პირობები

პირველი ჯგუფის რაიონებში	ხარწყავი	ურწყავი
--------------------------	----------	---------

- |  |     |     |
|--|-----|-----|
| ა) მინდვრის, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისათვის . . . . . | 300 | 200 |
| ბ) ბალებისა და ვენახებისათვის . . . . .                      | 200 | 100 |

### მეორე ჯგუფის რაიონებში

- |  |     |     |
|--|-----|-----|
| ა) მინდვრის, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისათვის . . . . . | 350 | 250 |
| ბ) ბალებისა და ვენახებისათვის . . . . .                      | 250 | 150 |

### მესამე ჯგუფის რაიონებში

- |  |     |     |
|--|-----|-----|
| ა) მინდვრის, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისათვის . . . . . | 500 | 300 |
| ბ) ბალებისა და ვენახებისათვის . . . . .                      | 300 | 200 |

შენიშვნა: ამ მუხლში ურწყავი ადგილებისთვის ნაჩენები მანძილები ზოლებს შორის გამოიყენება აგრეთვე გვალვიან რაიონებში, სადაც ნათელი ტყეები იზრდება.

65. მანძილი დამატებითი (განივ) ზოლებს შორის სამივე რაიონში დაწესებულია ორმაგი იმისა, რაც გათვალისწინებულია ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის. იმ რაიონებში და მასივებში, სადაც მეორეხარისხოვანი მიმართულების ქარები სუსტია, დასაშვებია სამშაგი იმ მანძილისა, რაც დაწესებულია ძირითადი ზოლებისათვის.

66. იმასთან დაკავშირებით, რომ დაცვითი ტყის ზოლები შეძლებისამებრ დაკავშირებული უნდა იქნეს რელიეფის ამაღლებულ ელემენტებთან, თესლბრუნვების მინდვრების საზღვრებთან, ბრიგადების ნაკვეთებთან და აგრეთვე გზებთან, სამელიორაციი ქსელთან, ტყისა და დეკორაციულ ნარგაობებთან, სს 64 და 65-ში ნაჩვენები ზოლებშიორისი მანძილი როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლებისათვის, შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს, მაგრამ არა უმცრეს იმ მანძილების 25%-ისა, რაც მოცუმულია ზემოდასახელებული რაიონებისა და კულტურებისათვის.

67. ზოლების სახეებთან და რაიონების ჯგუფებთან შეფარდებით დაწესებულია რიგთა შემდეგი რაოდენობა დაცვითი ტყის ზოლებში:

#### პირველი ჯგუფის რაიონებში

- ა) მთავარი ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—8 რიგი;  
ბ) დამატებითი ანუ განივი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—2 რიგი.

#### მეორე ჯგუფის რაიონებში

- ა) მთავარი ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—6 რიგი;  
ბ) დამატებითი ანუ განივი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—2 რიგი;

#### მესამე ჯგუფის რაიონებში

- ა) მთავარი ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—4 რიგი;  
ბ) დამატებითი ანუ განივი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—2 რიგი.

დაცვითი ტყის ზოლების სიგანე და მათ მიერ დაკავებული ფართობი/ყოველ შემთხვევაში განისაზღვრება რიგების რაოდენობით, რიგთაშორისებისა და ზოლის თავისუფალი ნაპირის სიგანით ზოლის ორივე მხარეზე საიზოლაციო თხრილებამდე.

68. ნიადაგის უკეთესი მოვლის უზრუნველყოფის მიზნით, რიგთაშორისების სიგანე დაცვითი ტყის ზოლებში წესდება: 2,5 მეტრი—ტრაქტორებით მექანიზებული მოვლის შემთხვევაში, 1,5 მეტრი—ნიადაგის ცხენით დამუშავების დროს და 1 მეტრი—ხელით მოვლის დროს. უკანასკნელ სიგანეს იყენებენ მხოლოდ სარწყავი მეურნეობის პირობებში ფართობების ეკონომიის მიზნით.

დაცვითი ტყის ზოლების ნაპირებზე მინდვრისაკენ ტოვებენ 2 მეტრი სიგანის ზოლის თავისუფალ ნაპირებს, რომელიც ხეთა რიგებით უმუალოდ დაკავებულ ფართობთან და რიგთაშორისებთან ერთად ზოლის საერთო სიგანეს შეადგენენ.

69. შესაბამისად რიგთაშორისებისა და ზოლის თავისუფალი ნაპირებისათვის მიღებულ სიგანებისა დაცვითი ტყის ზოლების სიგანე შეადგენს:

რიგთა რაოდენობა ზოლში	ზოლის სიგანე მეტრებში, როდესაც რიგთაშორისის სიგანე		
	2,5 მეტრია	1,5 მეტრია	1 მეტრია
რვა . . . . .	21.5	14.5	11.0
ეჭვი . . . . .	16.5	11.5	9.0
ოთხი . . . . .	11.5	8.5	7.0
ორი . . . . .	6.5	5.5	5.0

რიგთაშორისების ყველა სიგანების შემთხვევაში მცენარეთა შორის მანძილი 1,5 მეტრს უდრის, გარდა იმ ზოლებისა, რომლებშიაც გაივლის ტრაქტორი (სქემა № 5).

70. როდესაც დაცვითი ტყის ზოლი განლაგებული უნდა იქნეს გზების ან სამელიორაციო არხების გასწვრივ, მას ყოფენ ორ თანაბარ ნაწილად და ერთ ნაწილს მოათავსებენ გზის ან არხის ერთ მხარეზე, მეორეს—მეორე მხარეზე (იხ. №№ 1, 2, 3, 4 და 5. სქემები).

როდესაც არხების გაშენდა იწარმოებს მექანიზმების საშუალებით, დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს არხის მხოლოდ ერთ მხარეზე, არხის იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელზედაც გაივლის არხის მშენდავი მექანიზმები.

71. ძირითადი და განვითარებული ზოლების გადაკვეთის ადგილას ისინი არ უნდა იქნეს ყრულ მიჯრილი ერთმანეთთან, მათ შორის ტოვებენ 20 მეტრის სიგანის წყვეტილს, ზოლებშორის სიგრცეებში ჰაერის მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით ერთი მხრივ და, ერთი მინდვრიდან მეორეზე სატრანსპორტო საშუალებებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დაუბრკოლებელ მოძრაობისათვის—მეორე მხრივ.

შენი შვნა: წყვეტილის სიგანეს ანგარიშობენ არა ხეების ვარჯების შეა მანძილით, არამედ მანძილით განაპირა სარგავ ადგილებს შორის.

72. ლელებში, ხრამებში და ხევებში ციფი ჰაერის დაგუბების თავიდან აცილებას მიზნით ფერდობების გასწვრივ გასაშენებელი დაცვითი ტყის ზოლები არ უნდა იქნეს დაყვანილი ლელემდე, ხრამებში ან ხევამდე; ზოლი უნდა შეწყდეს ლელის, ხევის ან ხრამის 30

ფსკერის სიგანის მიხედვით, მათი ფსკერიდან 20—30 მეტრის დაშორებით.

73. კოლმეურნეობათა ან საბჭოთა მეურნეობათა მიწებზე დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს, პირველ რიგში, კოლმეურნეობათა ან საბჭოთა მეურნეობათა მიწათსარგებლობის, სახნავ სავარგულების, თესლბრუნვათა მასივების, თესლბრუნვათა მინდვრების და ბრიგადების ნაკვეთების საზღვრებზე.

დასერილი რელიეფის პირობებში, დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს, პირველ რიგში, წყალგამყოფებზე და რელიეფის ამაღლებულ ელემენტებზე წყალგამყოფების მიმართულებისა და ამ მასივში გაბატონებული ქარების მხედველობაში მიუღებლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვითი ტყის ზოლი განლაგებულია წყალგამყოფზე, გზის ორივე მხარეზე, და ზოლის ქვედა ნაწილში გზა უხვევს გვერდზე წყალგამყოფისაგან, დაცვითი ტყის ზოლი გაგრძელებული უნდა იქნეს საჭირო მიმართულებით წყალგამყოფის გასწვრივ და ზოლის ორივე ნახევარი უნდა შეერთდეს და გაგრძელდეს წყალგამყოფზე.

74. თუ მეურნეობაში არსებული ღელეები, ხრამები და ფერდობები არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მათი ნიადაგობრივი პირობების უვარებისობის გამო, ისინი უნდა იქნეს გატყიანებული. თუ ღელის ან ხრამის მიმართულება ემთხვევა დაცვითი ტყის ზოლის მიმართულებას, მაშინ ღელის თუ ხრამის გატყიანების მიუხედავად, მათ გასწვრივ, ფერდობის ზედა ნაწილზე, ღელის ან ხრამის ორივე მხარეზე, უნდა გაშენდეს დაცვითი ტყის ზოლი სათანადო სქემის მიხედვით.

75. საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს ხუთი სქემის მიხედვით თავისი ვარიანტებით (იხ. №№ I, II, III, IV და V სქემები ვარიანტებით).

პირველი სქემის მიხედვით დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს იმ რაიონებში, სადაც გაბატონებულია ძალზე ძლიერი ქარები, როილებიც ვამოქარავენ ნიადაგს. ძირითადი ზოლები უნდა იყოს რვა რიგიანი; პირველ ვარიანტში ისინი 50%-ით წიწვანი და 50%-ით ფოთლიანი ჯიმებისგან შედგება, მეორე ვარიანტში — კი მთლიანად ფოთლიანი ჯიმებიდან. რიგ მემთხვევებში, როდესაც დაცვითი ტყის ზოლები გზების გასწვრივ შენდება, წიწვანი ჯიშეა იუნდა დაირგას ზოლის შიდა მხარეს, ფოთლიანები — კი მის ვარეთა მხარეს. ოთხი შიდა რიგი წიწვანი ჯიშესისგან შედგება. ვანაპირა კი ფოთლიანი ჯიშებისგან. ნიადაგის ვამოქარვისგან დაცვის მიზნით ვანაპირა რიგუში დაირგვება ბუჩქები. ეს ზოლები

იგეგმება სამიარუსიანი. ზოლის ორივე მხარეს ტოვებენ ორ-ორი მეტრის სიგანის თავისუფალ ნაპირებს. ოოდესაც ზოლი შეთავსებულია გზასთან, გზის მხარეზე ტოვებენ 2 მეტრის საეჭნის/თაგრ სუფალ ნაპირს ორივე მხრივ. ზოლის არხთან შეთავსების შემთხვევაში ტოვებენ 1 მეტრის სიგანის თავისუფალ ნაპირს ორივე მხარეზე.

პირველი სქემით გაშენებული 1 ჰექტარი ძირითადი ზოლი რიგთაშორისების სიგანის მიხედვით დაიკავებს შემდეგ სიგრძეს (გრძივ მეტრებში):

	რიგთაშორისების მანძილი		
	2,5 მ	1,5 მ	1,0 მ
ზოლის სიგრძე გრძივ მეტრებში	465	690	900
ერთ რიგში დაირგვება ნერგი	310	460	600
ერთ ჰექტარზე „ „			
ბუჩქების ჩაუთვლელად	2480	3680	4800
„ ჩათვლით	3920	5520	7200

76. მეორე სქემით დაცვითი ტყის ზოლები გაშენდება ისეთ რაიონებში, რომლებშიც ძლიერი ქარები საგრძნობ ზიანს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. ძირითადი ზოლები შენდება ქედებისრიგიანი. პირველ ვარიანტში ისინი შედგება ოთხ შიდა რიგებში წიწვიანი ჯიშებისგან და ორ გარეთა რიგში—ფოთლიანი ჯიშებისგან. მეორე ვარიანტშით ზოლი მთლიანად ფოთლიანი ჯიშებისგან შენდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ზოლს გზის გასწორივ აშენებენ, წიწვიან ჯიშებს რგავენ გზის ორივე მხარეს, ფოთლიანებს—მინდვრის მხარეს; ნიადაგის გამოქარვისაგან დაცვის მიზნით გარეშე რიგებში რგავენ ბუჩქებს (იხ. № II—ა და II—ბ სქემები).

მეორე სქემით გაშენებული დაცვითი ზოლის 1 ჰექტარი ფართობი იკავებს:

	რიგთაშორისების მანძილი		
	2,5 მ	1,5 მ	1,0 მ
ზოლის სიგრძე გრძივ მეტრებში	606	870	1111
ერთ რიგში დაირგვება ნერგი	404	580	740
ერთ ჰექტარზე „ „			
ბუჩქების ჩაუთვლელად	2424	3480	4440
„ ჩათვლით	3232	4640	5920

77. მესამე სქემით დაცვითი ტყის ზოლები შენდება ნაკლები სიმძლავრის ქარებიან რაიონებში. ისინი მოწყობა ოთხრიგიანი.

პირველ ვარიანტში ისინი წიწვიანი ჯიშების ორი შიდა რიგიდან და ორი ფოთლიანი გარეთა რიგისგან შედგება. მეორე ვარიანტი ზოლი მთლიანად ფოთლიანი ჯიშებისგან შენდება. იმ შემთხვევაშია როცა ზოლი გზის გასწვრივ შენდება, წიწვიანებს რგავენ გზის მხარეზე, ხოლო ფოთლიანებს მინდვრის მხარეზე. როდესაც დაცვითი ზოლები აგრეთვე ეროვნის საწინააღმდეგო ნარგაობათა ფუნქციებს ასრულებენ, გარეთა რიგებში ბუჩქებს რგავენ (იხ. №№ III—ა და III—ბ სქემები).

1 ჰექტარი მესამე სქემით გაშენებული დაცვითი ტყის ზოლი იქავებს:

	რიგთაშორისების სიგანე	2,5 მ	1,5 მ	1,0 მ
ზოლის სიგრძე გრძივ მეტრებში	870	1176	1430	
ერთ რიგში დაირგვება ნერგი	580	784	953	
ერთ ჰექტარზე „ „				
ბუჩქების ჩაუთვლელად	2320	3136	3720	
„ ჩათვლით	3480	4704	5626	

78. მეოთხე სქემით გაშენდება განივი ზოლები საქართველოს ყველა აღმოსავლეთ რაიონში. ისინი შენდება ორრიგიანი როგორც წიწვიანი, ისე ფოთლიანი ჯიშებისგან. ზოლის გზის გასწვრივ გაშენებისას, ფოთლიანი ჯიშების ნაცვლად, დეკორაციულობის მიზნით, შეიძლება წიწვიანი ჯიშები დაირგას (იხ. №№ IV—ა და IV—ბ სქემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვითი ტყის ზოლები ეროვნის საწინააღმდეგო ნარგაობების ფუნქციებსაც ასრულებენ, ორიგი რიგში დაირგვება აგრეთვე ბუჩქები.

1 ჰექტარი მეოთხე სქემით გაშენებული დაცვითი ტყის ზოლი დაიკავებს:

	რიგთაშორისების სიგანე	2,5 მ	1,5 მ	1,0 მ
ზოლის სიგრძე გრძივ მეტრებში	1540	1820	2000	
ერთ რიგში დაირგვება ნერგი	1027	1213	1333	
ერთ ჰექტარზე „ „				
ბუჩქების ჩათვლით	2054	2426	2666	
„ ჩაუთვლელად	4108	4852	5332	

დაცვითი ტყის ზოლებს ზემონაჩვენები სქემების მიხედვით აშენებენ მთლიან ზოლად მის ორ ნაწილად განუყოფელად. იმ შემთხვევაში, როდესაც ზოლი განლაგებულია გზის ან არხის განვ.

სწერივ, ის გაიყოფა შუაზე და წარმოადგენს ხელოვნურ ნარგავს (იხ. №№ 1, 2, 3 და 4 სქემები ვართანტებით).

79. მეხუთე სქემით საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში ვაკე ადგილებზე აშენებენ ე. წ. „ტრაქტორით გასაცდელი“ კან-სტრუქციის დაცვითი ტყის ზოლს, იმ შემთხვევაში, როდესაც ზოლებს შორის მანძილი არ არის 100, 150 და 200 მეტრზე მეტი, რაც ხელს უშლის ტრაქტორის მწარმოებლურ გამოყენებას.

„ტრაქტორით გასავლელი“ ზოლები შენდება ოთხრიგიანი რიგებს შორის 2,5 მეტრის მანძილით ურწყავი მეურნეობის პირობებზი, 1 მეტრი სიგანის — სარწყავ მეურნეობაში და 4—5 მეტრის მანძილით მცენარეთა შორის დასაცავი კულტურის რიგთაშორისი მანძილის მიხედვით.

იმისთვის, რომ დაბრკოლება არ შეექმნას ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გავლას ზოლებში, ხეები უნდა დაირგას არა ჭაღრაკულად, არამედ ოთხკუთხივ. დაცვითი ზოლის განივი რიგები უნდა განლაგდეს დასაცავი კულტურის რიგებთან ერთ ხაზზე (იხ. სქემა № V).

ამ კონსტრუქციის დაცვით ზოლებს აშენებენ ფართოკრონიან სწრაფზრდად პირველი სიდიდის ჯიშებისგან (ვერხვი კანადური, ვერხვი ბალზამური, ჭაღრაკული, არამედ აღმოსავლეთის — სარწყავი მეურნეობის პირობებში და გლედიჩია, აკაცია თეთრი, თელა—ურწყავი მეურნეობის პირობებში).

მეხუთე სქემით გაშენებული 1 ჰექტარი ე. წ. „ტრაქტორით გასავლელი“ დაცვითი ტყის ზოლი დაიკავებს შემდეგ სიგრძეს:

რიგთაშორისების სიგრძე	2,5 მ	1,5 მ	1,0 მ
ზოლის სიგრძე გრძივ მეტრებში	870	1176	1430
ერთ რიგში დაირგვება ნერგი	217	294	357
„ ჰექტარზე „ „ „	868	1176	1428

შენი შენი: „ტრაქტორით გასავლელ“ კონსტრუქციის დაცვითი ზოლში ბუჩქებს არ რგავენ, რომ ხელი არ შეეშალოს მანქანა-იარაღების გავლას. ამავე მიზეზის გამო ხეების დეროები გაწმენდილი უნდა იქნეს ტოტებისაგან 3—4 მეტრის სიმაღლეზე.

80. დასაცავი კულტურების ზოლებით ძლიერი დაბრდილ-ვისა და დაბაგვრის თავიდან აცილების მიზნით, დაცვითი ტყის ზოლები დაცილებული უნდა იქნეს დასაცავი კულტურის უახლოესი რიგიდან არა ნაკლებ 8 მეტრისა (ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის).

თუ დაცვითი ზოლი დასაცავი კულტურის სამხრეთით შენდება, ეს მანძილი არანაკლებ 10 მეტრისა უნდა იყოს.

81. მინდვრის მხრიდან ზოლის თავისუფალი ნაპირის გვერდით გაყვანილი უნდა იქნეს 30—40 სმ სიგანისა და 70—50 სმ სიღრმის საიზოლაციო თხრილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვითი ზოლის ხეების ფესვთა შეღწევისაგან დაცვის მიზნით. საიზოლაციო თხრილები დაფარული უნდა იქნეს მიწით, რათა ხელი არ შეეშალოს მექანიზმების მუშაობას. 4—5 წელიწადში ერთხელ თხრილები უნდა კვლავ ამოითხაროს, დაცვითი ხეების ფესვები გადაიჭრას და თხრილები ხელახლა ამოიგოს მიწით.

82. დაცვითი ტყის ზოლების შედგენილობაში შეტანილი ხისა და ბუჩქნარი ჯიშები უნდა განირჩეონ მოცემულ კლიმატურ, ნიადაგისა და გრუნტის პირობებში მდგრადობით, სწრაფი ზრდით, მაქსიმალური სიმაღლით, ხანგრძლივობით, გარჯის კომბაქტურობით; მათ არ უნდა ჰქონდეთ ფესვიდან ამოყრის უნარი და არ ჰყავდეთ დასაცავ კულტურასთან საერთო მავნებლები და დააგადები.

საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებისათვის რეკომენდებულია შემდეგი ხისა და ბუჩქნარი ჯიშები:

რაიონთა I ჯგუფი: ხაშურის, ქარელის, გორის, სტალინირის, კასპის—ქვედა სარტყელი 500 მეტრიდან 1000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

1. სარტყელი ფართობები და პირველი ტერასა მდინარეების: მტკვრის, არაგვის, ქსნის, ფრონესი და ლიახვისა.

წამყვანი ჯიშები ძირითადი ზოლებისათვის: ალვის ხე, ვერხვი კანადის, ვერხვი ტურქესტანის, ფიჭვი შავი, ფიჭვი კავკასიის, ნაძვი ევროპისა, მუხა ქართული, მუხა გრძელყუნწა, თელა, ნეკერჩხალი მინდვრის, ცაცხვი, იფანი.

განივი ზოლებისთვის, გარდა ზემოჩამოთვლილი ჯიშებისა რეკომენდებულია აგრეთვე: თუთა, კაკალი, პანტა, ხეჭეჭური.

როგორც ძირითადი, ისე დამატებითი დაცვითი ტყის ზოლებისთვის ქვეტყის ჯიშებად რეკომენდებულია: შინდი, ჯონჯოლი, ტყემალი, ხოლო განაპირა რიგებისათვის—ფშატი.

2. ურტყავი ფართობები.

წამყვანი ჯიშები ძირითადი ზოლებისათვის: მუხა ქართული, თელა, იფანი, ნეკერჩხალი მინდვრის, ფიჭვი კავკასიის, ფიჭვი შავი.

განივი ზოლებისთვის, გარდა ჩამოთვლილ ჯიშებისა: თუთა, პანტა.

ქვეტყის ჯიშებად როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლები—  
სათვის რეკომენდებულია: შინდი, ზომარტლი, ტყემალი, ნაპირებ-  
ზე—კვრინჩი.

რაიონთა II ჯგუფი: მცხეთის, სამცორის, საგარეჯოს, სიღ-  
ნალის, წითელწყაროს, მარნეულის, ბოლნისის.

1. სარწყავი ფართობი და პირველი ტერასა მდი-  
ნარების: მტკვრის, ივრის, არაგვის, ხრამის, ალგეთის, ალაზნის.

წამყვანი ჯიშები ძირითადი ზოლებისათვის: ალვის ხე, ვერხვი  
კანალის, ვერხვი ტურქესტანის, კვიპაროზი მარადმწვანე (პორი-  
ზონტალური და პირამიდული); მათ გარდა: მუხა ქართული, მუხა  
გრძელყუნწა, თელა, ნეკერჩხალი მინდვრის, ცაცხვი, იფანი, ფიჭვი  
კაგებასური, ფიჭვი შავი.

განივი ზოლებისათვის, გარდა ზემოჩამოთვლილი ჯიშებისა  
რეკომენდებულია აგრეთვე: თუთა, კაკალი, პანტა.

ქვეტყის ჯიშებად როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლები-  
სათვის რეკომენდებულია შემდეგი ჯიშები: შინდი, ჯონჯოლი,  
ტყემალი, თხილი, ხოლო ზოლის ნაპირებზე—ფშატი, ბროწეული.

2. ურწყავი ფართობი

ა) 300-დან 500 მეტრამდე ზღვის დონიდან.

წამყვანი ჯიშები ძირითადი ზოლებისათვის: ფიჭვი ელდარის,  
აკაკი, კევის ხე, ნეკერჩხალი ქართული.

განივი ზოლებისათვის, გარდა ზემოდასახელებული ჯიშებისა,  
რეკომენდებულია აგრეთვე ნუში.

ქვეტყის ჯიშებად როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლები-  
სათვის რეკომენდებულია ბროწეული და თრიმლი, რომლებიც  
ზოლის ნაპირებზე ირგვება.

ბ) 500 მეტრიდან 1000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

წამყვანი ჯიშები ძირითადი ზოლებისათვის: მუხა ქართული,  
ფიჭვი შავი, ნეკერჩხალი მინდვრის, თელა, კვიპაროზი მარადმწვანე  
(პორიზონტალური და პირამიდული), სოფორა იაპონური.

განივი ზოლებისათვის, გარდა ზემოჩამოთვლილი ჯიშებისა,  
რეკომენდებულია აგრეთვე თუთა და პანტა.

ქვეტყის ჯიშებად როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლები-  
სათვის რეკომენდებულია: შინდი, ზომარტლი, ტყემალი, ხოლო  
ნაპირებზე—ფშატი და კვრინჩი.

რაიონთა III ჯგუფი—აღმოსავლეთ საქართველოს მაღალ-  
მთიანი რაიონები: წალკის, ბოვდანოვკის, ახალქალაქის, ყაზბეგის.

1. სარწყავი ფართობი და პირველი ტერასა მდი-  
ნარების: თაფარავანის, ხრამის და სხვ.

წამყვანი ჯიშები ძირითადი ზოლებისათვის: მუხა აღმოსავალური, ვერხვი კანადის, არყი, ფიჭვი კავკასიური, ნაძვი ევროპული გერმანული, ნეკერჩხალი მაღალმთის.

განივი ზოლებისათვის, გარდა ზემოჩამოთვლილისა, რეკომენდებულია აგრეთვე პანტა (1800—1900 მეტრამდე ზღვის დონიდან).

ქვეტყის ჯიშებად როგორც ძირითად, ისე განივი ზოლებისათვის რეკომენდებულია თხილი (1800—1900 მეტრამდე ზღვის დონიდან).

## 2. ურწყავი ფართობები

წამყვანი ჯიშები ძირითადი ზოლებისათვის: მუხა აღმოსავალური, არყი, ფიჭვი კავკასიური, ნეკერჩხალი მაღალი მთის.

განივი ზოლებისათვის, გარდა ზემოდასახელებულისა, რეკომენდებულია აგრეთვე პანტა (1800—1900 მეტრამდე ზღვის დონიდან).

ქვეტყის ჯიშებად, როგორც ძირითად, ისე განივი ზოლებისათვის რეკომენდებულია თხილი (1800—1900 მეტრამდე ზღვის დონიდან).

საქართველოს აღმოსავლეთ რაიონების დამლაშებული ნიადაგებისათვის რეკომენდებულია ხისა და ბუჩქნარი შემდეგი ჯიშები.

ძირითადი ზოლებისათვის: ფიჭვი ელდარის, თელა, გლედიჩია სამეკალა, სოფორა იაპონური, აკაცია თეთრი, მელია.

განივი ზოლებისათვის, გარდა ზემოაღნიშნული ჯიშებისა, რეკომენდებულია აგრეთვე თუთა და ჭერამი.

ქვეტყის ჯიშებად, როგორც ძირითად, ისე განივი ზოლებისათვის რეკომენდებულია: ჭალაფშატა, ბროწეული, ამორფა, ხეპილბილა, ილლუნი, კურდლლის ცოცხა.

დამლაშებულ ნიადაგებზე ზემოხსენებული ჯიშები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მორწყვის შემთხვევაში. მათი დარგვა დასაშვებია მხოლოდ სუსტად და საშუალოდ დამლაშებულ ნიადაგებზე, სადაც მკერრივი ნაშთი  $1\%$ -ს არ აღემატება.

## VI. ძირითადი დაგულებანი დასავლეთ საჩართველოს რაიონებში დაცეითი ტყის ზოლების გამოხვის უსახელოება

83. დაცვითი ტყის ზოლები შენდება დასავლეთ საქართველოს ყველა იმ რაიონში, სადაც აღგილი აქვს ქარების მავნე მოქმედებას სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. გაბატონებული ქარე-

ბის სიმძლავრისა და ხასიათის მიხედვით დასავლეთ საქართველოს  
რაიონები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ა) პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის რაიონები ან მთის ნაწილი,  
ლი, საღაც გაბატონებულია ძალიან ძლიერი ქარები, რომლებიც  
ზიანს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და ნიადაგის  
გამოქარვას იწვევენ. მათ მიეკუთვნება: ქობულეთის რაიონი, ჩოხა-  
ტაურისა და ლანჩხუთის რაიონების დაბლობი ნაწილი, კახაბერის  
ველი ბათუმის რაიონში, ქ. ქუთაისი, ქ. ფოთი, წულუკიძის, სამ-  
ტრედიის, ცხაკაიას, აბაშის, ხობის, გეგეჭკორის, ზუგდიდის,  
თერჯოლისა და წყალტუბოს რაიონები;

ბ) მეორე ჯგუფს მიეკუთვნება რაიონები, რომლებშიაც ძლი-  
ერი ქარები საგრძნობ ზიანს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულ-  
ტურებს. მათ მიეკუთვნება: ბათუმის რაიონი (კახაბერის ველის  
გამოკლებით), ლანჩხუთის, ქობულეთის და ჩოხატაურის რაიონები  
(დაბლობი ნაწილის გამოკლებით), მახარაძის, ჩხოროწყუს, წალენ-  
ჯიხის, გალის, ოჩამჩირის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, განისა და  
ტყიბულის რაიონები;

გ) მესამე ჯგუფს მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოს და-  
ნარჩენი რაიონები, რომლებიც ხასიათდება ნაკლებად ძლიერი  
ქარებით, რის უარყოფითი გავლენაც საკმაოდ ნათლად მოქმედებს  
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. მათ მიეკუთვ-  
ნება: სოხუმის, გუდაუთის, გაგრის, ხულოს, შუახევის, ქედის,  
საჩხერის, ონის, ორჯონივიძის, ამბროლაურის, მესტიისა და ლენ-  
ტეხის რაიონები.

84. დაცვითი ტყის ზოლები, რომლებიც დაგეგმილია მრავალ-  
წლიანი კულტურების დასაცავად, გაშენებული უნდა იქნეს სულ  
ცოტა ორი წლით ადრე ფართობების კულტურებით ათვისებამდე,  
სხვა კულტურებისათვის კი—დამტკიცებული თესლბრუნვების შესა-  
ბამისად.

85. იმ შემთხვევაში, როდესაც იმ ადგილზე, საღაც უნდა  
დაიგეგმოს დაცვითი ზოლი, არსებობს ბუნებრივი ტყის კორომები,  
რომლებიც აქმაყოფილებენ დაცვითი ტყის ზოლების წინაშე წაყე-  
ნებულ მოთხოვნილებებს, ასეთი ტყის კორომები შენარჩუნებული  
და შეყვანილი უნდა იქნეს დაცვითი ზოლების სისტემაში. თუ ტყის  
კორომები ძლიერ მეჩხერია და ვერ შეასრულებენ დაცვითი ნარგა-  
ობების ფუნქციებს, ისინი უნდა იქნეს ამოძირებული და მათ  
ადგილზე გაშენდეს ხელოვნური დაცვითი ტყის ზოლები.

86. მთავარი ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლები განლა-  
გებული უნდა იქნეს რაიონში გაბატონებული მავნე ქარების, შეძ-  
ვების

**ლებისამებრ, პერპენდიკულარულად, დამატებითი ანუ განივი კი ძირითადი დაცვითი ტყის ზოლების პერპენდიკულარულად**

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ რაიონში ან მასივში გავრცელებულია ორი ერთმანეთის მიმართ პერპენდიკულარული მიმართულების მაქს ქარები, განივი დაცვითი ტყის ზოლები გარდა ქმნება აგრეთვე ძირითადებად, ე. ი. მანძილი ზოლებს შუა, რიგთა რაოდენობა, სიგანე და ჯიშთა შემადგენლობა დამატებითს (განივ) ზოლებში იქნება ისეთივე, როგორც გათვალისწინებულია ძირითადი ზოლებისათვის.

87. ვინაიდან დაცვითი ტყის ზოლები შეძლებისამებრ დაკავშირებული უნდა იქნეს რელიფის ამაღლებულ ელემენტებთან და, გარდა ამისა, გზებთან, სამელიორაციო ქსელთან და სხვ., № 86-ში ნაჩვენები დაცვითი ტყის ზოლების მიმართულებები, თესლბრუნვების მინდვრების უფრო ხელსაყრელად განლაგებისა და გზებთან და სამელიორაციო ქსელთან დაკავშირების მიზნით, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაიხარის ამა თუ იმ მხარეს პერპენდიკულარულ მიმართულებიდან ამა თუ იმ საზღვრებში, მაგრამ არა უმეტეს 45°-ისა;

88. ძირითად დაცვით ტყის ზოლებს შორის დაწესებულია შემდეგი მანძილები:

#### პირველი ჯგუფის რაიონებში

- ა) მინდვრის, ბოსტნეულ და ბალჩეული კულტურებისათვის—300 მ
- ბ) ჩაის, ტუნგოს და ტექნიკური კულტურებისათვის —200 მ
- გ) ციტრუსოვანი კულტურებისათვის —100 მ

#### მეორე ჯგუფის რაიონებში

- ა) მინდვრის, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისათვის—350 მ
- ბ) ჩაის, ტუნგოს და ტექნიკური კულტურებისათვის —250 მ
- გ) ციტრუსოვანი კულტურებისათვის —150 მ

#### მესამე ჯგუფის რაიონებში

- ა) მინდვრის, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისათვის—500 მ
- ბ) ჩაის, ტუნგოს და ტექნიკური კულტურებისათვის —300 მ
- გ) ციტრუსოვანი კულტურებისათვის —200 მ

89. სამივე ჯგუფის რაიონებში მანძილი განივ ზოლებს შორის უნდა უდრიდეს ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის მიღებულ ორმაგ მანძილს.

შენიშვნა: იმ რაიონებში, სადაც მეორეხარისხოვანი მიმართულების ქარები სუსტია, განივი ზოლების განლაგება დაიშვება ძირითადი ზოლების სამაგი მანძილის დაშორებით.

90. იმის გამო, რომ დაცვითი ტყის ზოლები დაკავშირებული უნდა იქნეს რელიეფის ამაღლებულ ელემენტებთან და, აგრეთვე, თესლბრუნვის მინდვრებთან, ბრიგადების ნაკვეთებთან, გზებთან, სამელიორაციო ქსელთან, ტყის კორომებთან და დეკორაციულ ნარგაობებთან, წყ 88 და 89-ში ნაჩენები ზოლებშორისი მანძილები, როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლებისათვის შეიძლება გადიდეს ან შემცირდეს ზემოდასახელებულ კულტურებისა და რაიონებისათვის, მაგრამ არა უმეტეს  $25^{\circ}/_{\text{o}}$ -ისა.

91. დაცვითი ტყის ზოლების სახეებისა და რაიონთა ჯგუფების მიხედვით, ზოლებში დაწესებულია რიგების შემდეგი რაოდენობა:

#### პირველი ჯგუფის რაიონებში:

- ა) მთავარი ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—6 რიგი  
ბ) დამატებითი ანუ განივი ზოლებისათვის —2 „

#### მეორე ჯგუფის რაიონებში:

- ა) მთავარი ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—4 რიგი  
ბ) დამატებითი ანუ განივი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—2 „

#### მესამე ჯგუფის რაიონებში:

- ა) მთავარი ანუ ძირითადი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—2 რიგი  
ბ) დამატებითი ანუ განივი დაცვითი ტყის ზოლებისათვის—2 „

დაცვითი ტყის ზოლების სიგანე და მათ მიერ დაკავებული ფართობი ყველა შემთხვევაში განისაზღვრება რიგთა რაოდენობით, რიგთაშორისების სიგანითა და ზოლის თავისუფალი ნაპირის სიგანით ზოლის ორივე მხარეზე საიზოლაციო არხებამდე.

92. ნიაღაგის უქეთ მოვლის უზრუნველყოფის მიზნით დაცვითი ტყის ზოლების რიგთაშორისების სიგანე დაწესებულია: 2,5 მ ნიაღაგის მექანიზებული წესით, ტრაქტორით, მოვლის შემთხვევაში, 1,5 მ—ცხენით და 1,0 მ—ნიაღაგის ხელით მოვლის შემთხვევაში დაცვითი ტყის ზოლების გვერდებზე მინდვრისაკენ ტოვებენ. 2 მეტრი სიგანის თავისუფალ ნაპირებს, რომელიც ხეთა რიგებით უშუალოდ დაკავებულ ფართობებთან და რიგთაშორისებთან ერთად ზოლის საერთო სიგანეს შეაღგენენ.

93. რიგთაშორისებისა და თავისუფალი ნაპირებისათვის მიღებული სიგანეების შესაბამისად დაცვითი ტყის ზოლების სიგანე შეადგენს:

#### რიგთა რაოდენობა ზოლში

ექვსი

ოთხი

ორი

#### ზოლების სიგანე შეტრებში

16.5

11.5

6.5

მანძილი მცენარეთა შორის რიგებში დაწესებულია: ყველა წიწვიანი და ფოთლიანი ჯიშებისათვის—2 მ, ვიწროვარჯიანი ჯიშებისათვის—1,5 მ.

94. იმ შემთხვევებში, როდესაც დაცვითი ტყის ზოლი განლაგებული უნდა იქნეს გზებისა და სამელიორაციო ქსელის გასწვრივ, მას ყოფენ ორ თანაბარ ნაწილად და მის ერთ ნაწილს მოათვესენ გზის ან არხის ერთ მხარეზე, მეორეს—მეორეზე (იხ. №№ 1—5 სქემები).

იმ შემთხვევებში, როდესაც არხების გაწმენდა იწარმოებს შექანიზმების საშუალებით, დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს არხის მხოლოდ ერთ მხარეზე, არხის იმ მხრის საწინააღმდეგოდ, რომელზედაც იწარმოებს მექანიზმების მოძრაობა.

95. ძირითადი და განვითი ზოლების გადაკვეთის ადგილას ისინი არ უნდა იქნეს ყრუდ მიჯრილი ერთმანეთთან, მათ შორის ტოვებენ 20 მეტრის სიგანის წყვეტილს, ზოლთაშორის სიგრცეებში პაერის მოძრაობის უზრუნველსაყოფად, ერთი მხრივ, და ერთი მინდვრიდან მეორეზე სატრანსპორტო საშუალებებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დაუბრკოლებელი მოძრაობისათვის—მეორე მხრივ.

შენიშვნა: წყვეტილების სიგანეს ანგარიშობენ არა ხეების ვარჯების პროცესის შორის მანძილით, არამედ მანძილით განაპიონა სარგავ ადგილებს შორის. ვარჯი წყვეტილების ზევიდან შეიძლება იქნეს შეჭრული, მხოლოდ დატოვებული უნდა იქნეს თავისუფალი გასაკლელი ტრანსპორტისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის.

96. ღელეებში, ხრამებში და ხევებში ცივი პაერის დაგუბების თავიდან აცილების მიზნით, ფერდობების გასწვრივ გაშენებული დაცვითი ზოლები არ უნდა იქნეს დაყვანილი ღელის, ხრამის, ან ხევის ფსკერამდე; ზოლი უნდა შეწყდეს მათი ფსკერიდან 20—30 მეტრის დაშორებით ღელის, ხევის ან ხრამის ფსკერის სიგანის მიხედვით.

97. დაცვითი ტყის ზოლები პირველ რიგში უნდა გაშენდეს მეურნეობების, თესლბრუნვათა მინდვრებისა და ბრიგადების ნაკვერცხის თების საზღვრების გასწვრივ.

დასერილი რელიეფის პირობებში დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს პირველ რიგში წყალგამყოფებზე და რელიეფის ამაღლებულ ელემენტებზე, წყალგამყოფების მიმართულებისა და ამ მიდამოში გაბატონებული ქარების მხედველობაში მიუღებლად. მაგალითად, შეიძლება მიღებულ იქნეს ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ყველა ზოლები განლაგებულია წყალგამყოფებზე ქარების მიმართულების მხედველობაში მიუღებლად და ჰქმნიან შესანიშნავ საცავს ყოველგვარი მიმართულების ქარებისაგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვითი ტყის ზოლი განლაგებულია წყალგამყოფზე, გზის ორივე მხარეზე, და ზოლის ქვედა ნაწილში გზა უხვევს წყალგამყოფისაგან გვერდზე, დაცვითი ტყის ზოლი გაგრძელებული უნდა იქნეს წყალგამყოფის გასწვრივ საჭირო მიმართულებით და ზოლის ორივე ნახევარი უნდა შეერთდეს და გაგრძელდეს წყალგამყოფზე.

98. თუ მეურნეობაში არ გამოიყენება ღელები, ხრამები და ფერდობები სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მათი ნიაღა- გობრივი პირობების უვარგისობის გამო, ისინი უნდა იქნეს გა- ტყიანებული. თუ ღელის ან ხრამის მიმართულება დაცვითი ტყის ზოლის მიმართულებას ემთხვევა, მაშინ ღელის თუ ხრამის გატყია- ნების მიუხედავად, მათ გასწვრივ, ფერდობის ზედა ნაწილზე, ღელის ან ხრამის ორივე მხარეზე უნდა გაშენდეს დაცვითი ტყის ზოლი სათანადო სქემის მიხედვით.

99. დასავლეთ საქართველოს პირობებში დაცვითი ტყის ზო- ლები უნდა გაშენდეს 4 სქემის მიხედვით თავისი ვარიანტებით.

100. პირველი სქემით დაცვითი ტყის ზოლები უნდა გაშენ- დეს რაიონებში, სადაც გაბატონებულია ძალზე ძლიერი ქარები, რომლებიც საგრძნობ ზიანს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულ- ტურებს და ნიაღაგისა და ნათესების გამოქარვას იწვევენ. ზოლები შენდება ექვსრიგიანი. პირველი ვარიანტით ეს ზოლები შედგება ორ რიგ ფოთლიანებიდან საქარე მხრით და 4 რიგ წიწვიანებიდან ქარის საწინააღმდეგო მხრით. მეორე ვარიანტით ზოლები შედგე- ბა მთლიანად ფოთლიანი ჯიშებისგან. იმ შემთხვევაში, როდესაც ზოლები გზების გასწვრივ შენდება, წიწვიანი ჯიშის ხეები ირგვება გზის ორივე მხარეზე, ფოთლიანები კი—მინდვრისაკენ. ფოთლიანი ჯიშის ზოლებში ნიაღაგის გამოქარვის თავიდან აცილების მიზნით, განაპირა რიგებში რგავენ ბუჩქებს (იხ. № I—ა და II—ბ სქემები).

ფოთლიანი ჯიშის ზოლები ირგვება სამიარუსიანი, ბუჩქნარების ქვეტყით.

პირველი სქემით გაშენებული 1 ჰა დაცვითი ტყის ზოლი, 2,5 მ რიგთაშორისებით, იკავებს 606 გრძივ მეტრს; ერთ რიგში დაირგვება 303 ნერგი; 1 ჰექტარ ზოლზე ირგვება ბუჩქნარების ჩაუთვლელად — 1818 ნერგი, ბუჩქნარების ჩათვლით — კი 2424 ცალი.

101. მეორე სქემით დაცვითი ტყის ზოლები შენდება რაიონებში, სადაც გავრცელებულია ძლიერი ქარები, რომლებიც სავრცნობ ზიანს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. ძირითადი ზოლები შენდება ოთხრიგიანი. პირველი ვარიანტით ძირითადი ზოლები მრავალწლიანი კულტურების დასაცავად შენდება მთლიანად წიწვიანი ჯიშებიდან. მეორე ვარიანტით, ერთწლიანი კულტურების დაცვისათვის დაცვით ზოლებს აშენებენ ფოთლიანი ჯიშებიდან. ეს ვარიანტი შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე მრავალწლიანი კულტურებისათვისაც. წიწვიანი ჯიშის დაცვით ზოლებში ბუჩქნარების ქვეტყი არ ირგვება. ფოთლიანი ჯიშის დაცვითი ზოლები შენდება სამიარუსიანი, ბუჩქნარების ქვეტყით (იხ. №№ II—ა და II—ბ სქემები).

მეორე სქემით გაშენებული 1 ჰა დაცვითი ზოლი, 2,5 მ სიგანის რიგთაშორისებით და 2 მ სიგანის თავისუფალი ნაპირით იკავებს 870 გრძივ მეტრს. ერთ რიგში ირგვება 435 ხე. 1 ჰექტარზე ირგვება 1740 ნერგი ბუჩქების ჩაუთვლელად და 2610 ნერგი ბუჩქების ჩათვლით.

102. მესამე სქემით დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში შენდება განივი დაცვითი ტყის ზოლები მეორეხარისხოვანი მიმართულების ქარების წინააღმდეგ. განივი ზოლები შენდება ორიგიანი, ვარიანტებით. პირველი ვარიანტით, განივ ზოლებს მრავალწლიანი კულტურების დასაცავად აშენებენ წიწვიანი ჯიშებიდან ქვეტყის დაურგველად. მეორე ვარიანტით, განივ ზოლებს აშენებენ ფოთლიანი ჯიშებიდან, სამიარუსიანს, ბუჩქნარების ქვეტყით (იხ. №№ III—ა და III—ბ სქემები).

მესამე სქემით გაშენებული 1 ჰა დაცვითი ტყის ზოლი 2,5 მ სიგანის რიგთაშორისებით და 2 მეტრის სიგანის თავისუფალი ნაპირებით იკავებს 1540 გრძივ მეტრს. 1 რიგში ირგვება 770 ხე. 1 ჰექტარზე ბუჩქების გამოკლებით ირგვება 1440 ხე, ხოლო ბუჩქების ჩათვლით — 2880 ხე.

103. მეორხე სქემით დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის ვაკე მასივებში აშენებენ ე. წ. „ტრაქტორით გასავლელი“ კონსტ-

რუქეციის დაცვითი ტყის ზოლებს იმ შემთხვევაში, როდესაც ზოლებს შორის მანძილები მცირეა (100, 150, 200 მეტრი) და დასაცავი კულტურების რიგები განლაგებულია გაბატონებული ქარების მიმართულებით. ზოლებს შორის მცირე მანძილი ძლიერ ამცირებს ტრაქტორის მწარმოებლურობას.

„ტრაქტორით გასავლელი“ კონსტრუქციის ზოლები შენდება ოთხრიგიანი 2,5 მ მანძილით რიგებს შორის ურწყავ მეურნეობის პირობებში და 1,5 მ—სარწყავი მეურნეობის პირობებში და 4—5 მეტრის მანძილით ხეებს შორის დასაცავი კულტურის რიგთაშორისი მანძილების მიხედვით (იხ. № IV სქემა).

იმ მიზნით, რომ არ დაბრკოლდეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გავლა ზოლებში, ხეები უნდა დაირგოს არა ჭაღრაკულად, არამედ ოთხეუთხად. დაცვითი ტყის ზოლების რიგები განლაგებული უნდა იქნეს დასაცავი კულტურის რიგებთან ერთ ხაზზე (იხ. № IV სქემა).

ამ კონსტრუქციის დაცვითს ტყის ზოლს აშენებენ ფართოვარჯიან სწრაფ ზრდად პირველი სიდიდის ჯიშიდან (ვერხვი კანადური, ვერხვი ბალზამური, ჭიდარი აღმოსავლეთის, ლირიოდენდრონი, ამბრის ხე, მუხა წაბლფოთოლა).

104. მეოთხე სქემით გაშენებული „ტრაქტორით გასავლელი“ კონსტრუქციის 1 ჰა დაცვითი ტყის ზოლი 2,5 მეტრის სიგანის რიგთაშორისებითა და 2 მეტრის სიგანის თავისუფალი ნაპირებით იქავებს 870 გრძივ მეტრს. ერთ რიგში ირგვება 218 ნერგი, 1 ჰექტარზე ეტევა 870 ხე.

შენიშვნა: „ტრაქტორით გასავლელ“ კონსტრუქციის დაცვითს ზოლში არ შეაქვთ ბუჩქნარები; გარდა ამისა, ხეების ლეროები უნდა გაიწმინდოს ტოტებისაგან 3—4 მეტრის სიმაღლეზე, რომ ხელი არ შევშლოს მანქანა-იარაღების გავლას.

105. იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული დაცვითი ნარგაობების ფესვთა სისტემის კონკურენცია დასაცავ კულტურების ფესვთა სისტემასთან, დაცვითი ზოლსა და დასაცავი კულტურის მახლობელ რიგს შუა, დაცვითი ზოლის განაპირა რიგიდან 2 მეტრის დაშორებით, გაყვანილი უნდა იქნეს 30—40 სმ სიგანისა და 70—80 სმ სიღრმის საიზოლაციო არხი, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაცვითი ზოლის ხეებს შეეტრას გვერდითი ზედაპირული ფესვები. რომ არ შევშალოს ხელი დასაცავ კულტურებში ნიაღავის მექანიზებულ დამუშავებას, არხებს ავსებენ მიწით. 4—5 წელიწადში ერთხელ არხს თხრიან ხელახლად იმავე ადგილას,

ქრიან ხეების წამოსულ ფესვებს და არხს ხელახლა ავსებენ მიწით. არხი რჩება ღია იმ შემთხვევაში, თუ ის საწრეტი არხის ფუნქციას ასრულებს.

106. დაცვითი ტყის ზოლები, დასაცავ კულტურაზე მდიდრებული დამზრდილავი და დამსახურავი მოქმედების თავიდან აცილების მიზნით, დასაცავი კულტურის უახლოეს რიგიდან დაშორებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 8 მეტრისა (ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის).

თუ დაცვით ზოლს დასაცავი კულტურის სამხრეთით აშენებენ, ეს მანძილი უნდა უდრიდეს არა ნაკლებ 10 მეტრს.

107. დაცვითი ტყის ზოლების შემადგენლობაში შესატანი ხისა და ბუჩქნარი ჯიშები უნდა განირჩეოდნენ სრული მდგრადობით მოცუმულ კლიმატის, ნიადაგისა და გრუნტის პირობებში, სწრაფი ზრდით, მაქსიმალური სიმაღლით, ხანგრძლიობით, ვარჯის კომპაქტურობით, არ უნდა იძლეოდნენ ამონაყარს (ფესვის), შათ არ უნდა ჰყავდეთ დასაცავ კულტურებთან საერთო მავნებლები და დაავადებანი.

დაცვითი ტყის ზოლების გასაშენებლად დასავლეთ საქართველოს პირობებში რეკომენდებულია ხისა და ბუჩქნარის შემდეგი ჯიშები:

## ჩვედა ზოდა 0-დან 500 მეტრამდე ზღვის დონიდან

### 1. ნეშობპალა-კარბონატულ ნიადაგებისათვის

წამყვანი. ჯიშები ძირითადი და განივი ზოლებისათვის: კვიპაროზი ჰიმალაის, კვიპაროზი ლუზიტანიის, კვიპაროზი არიზონის, კვიპაროზი მარადმწვანე (პირამიდალური და ჰიმიზონტალური ფორმები), ფიჭვი ბიჭვინთის, ფიჭვი შავი, ნაძვი ევროპული.

გარდა ზემოდასახელებული ჯიშებისა ერთწლიანი კულტურებისათვის რეკომენდებულია: ვერხვი კანადის, ალვის ხე, ჭადარი აღმოსავლეთის, ლირიოდენდრონი, ამბრის ხე, ცაცხვი.

განივი ზოლებისათვის, გარდა ზემოაღნიშნული ჯიშებისა შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე ქაგალი და თუთა.

როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლებისათვის ყველა შემთხვევაში ქვეტყის ჯიშებად შეიძლება გამოყენებული იქნეს: ტყემალი, ბროჭეული, წყავი, ხოლო განაპირა რიგებში—დაფნა კეთილშობილი, ზეთისხილი და ჯონჯოლი.

## 2. ალუგიურ, წითელმიწა, ყვითელმიწა, ეწერი და მურა ნიადაგებისათვის

წამყვანი ჯიშები როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლები-  
სათვის არის: კრიპტომერია, კვიპაროზი ლავზონის, კვიპაროზი  
ლუზიტანის, კვიპაროზი მარალმწვანე (პორიზონტალური და პი-  
რამიდული ფორმები), კვიპაროზი ჰიმალაის, კვიპაროზი ჭაობის,  
კვიპაროზი არიზონის, სოჭი დუგლასის, სექვოია მარალმწვანე,  
ფიჭვი ზღვისპირის, ფიჭვი ბიჭვინთის, ფიჭვი შავი, მუხა წაბლფო-  
თოლა.

გარდა ზემოაღნიშნული ჯიშებისა ერთწლიანი კულტურების  
დაცვისათვის რეკომენდებულია: ვერხვი კანალის, ალვის ხე, ლი-  
რიოდენდრონი, აბბრის ხე, ჭადარი ალმოსახლებული ჯიშებისა

შეიძლება რეკომენდებული იქნეს: წაბლი, კაქალი და კაქალი შავი,  
პექანი, თუთა.

ქვეტყის ჯიშებად ყველა შემთხვევაში რეკომენდებულია: ტყე-  
მალი, წყავი, ჯონჯოლი, ბროწეული, დაფნა კეთილშობილი.

შუა ჯოდა—500-დან 800 მმთაბლივ ჯლვის დოზიდან

### 1. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები

მთავარ ჯიშებად როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლები-  
სათვის მიღებულია: კვიპაროზი მარალმწვანე (პორიზონტალური  
და პირამიდალური ფორმები), ფიჭვი შავი, ნაძვი ევროპული, ნაძვი  
ჰიმალაის.

გარდა ზემოაღნიშნული ჯიშებისა ერთწლიანი კულტურების  
დაცვისათვის შეიძლება რეკომენდებული იქნეს: მუხა, იფანი, ჭადა-  
რი, ნეკერჩხალი მინდგრის.

განივი ზოლებისათვის გარდა ზემოდასახლებულ ჯიშებისა  
შეიძლება გამოყენებული იქნეს კაქალი და თუთა.

ქვეტყის ჯიშებად როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლები-  
სათვის ყველა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს: შინდი,  
ტყემალი, ჯონჯოლი, თხილი, წყავი.

## 2. ალუგიური, წითელმიწა, ყვითელმიწა, ეწერი და მურა ნიადაგებისათვის

ძირითადი ჯიშებია როგორც მთავარი, ისე განივი ზოლები-  
სათვის: კრიპტომერია, კვიპაროზი მარალმწვანე, ფიჭვი კავკასიური,  
ფიჭვი შავი, კვიპაროზი ლავზონის, ნაძვი ევროპული, ნაძვი ჰიმა-  
ლაის, სოჭი დუგლასის, სექვოია მარალმწვანე.

გარდა ზემოდასახელებული ჯიშებისა ერთწლიანი ქულტურების დაცვისათვის რეკომენდებულია: ერთხვი კანადის, ცაცხვი, ლორიოდენდრონი, ამბრის ხე, განივი ზოლებისათვის — კაკალი, თუფზული ჭაბლი.

ქვეტყის ჯიშებად როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლებისათვის ცველა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს: წყავი, ტყემალი, ჯონჯოლი, შინდი და თხილი.

### ჯელა ზონა — 800 მეტრზე ზღვით ზღვის დონიდან

ძირითადი ჯიშები როგორც მთავარი, ისე განივი ზოლებისათვის არის: ნაძვი ეგრობული, სოჭი კავკასიური, ხოლო ქვიან და სუსტად განვითარებულ ნიადაგებზე — ფიჭი კავკასიური. ფოთლიანი ჯიშებიდან: ალვის ხე და ვერხვი კანადური (1300 მეტრამდე ზღვის დონიდან), ცაცხვი კავკასიური, ნეკერჩხალი მახვილფოთოლა, ბოყვი.

გარდა ზემოჩამოთვლილი ჯიშებისა განივი ზოლებისათვის რეკომენდებულია აგრეთვე პანტა.

როგორც ძირითადი, ისე განივი ზოლებისათვის ქვეტყის ჯიშებად რეკომენდებულია: წყავი, თხილი, ტყემალი და ჯონჯოლი.

ამ ჩატარებული 1565 წ. როგორიცაა მეტა

### VII. დაცვითი ტაის ზოლების გაშენებისა და

მათი მოვლის აგრძოლებისა

მის მიზანი ჩატარებული ფორუმი სუბი.

108. დაცვითი ტყის ზოლების გაშენების უპირველეს და ძირითად სამუშაოს წარმოადგენს, ნიადაგის პირველადი დამუშავება, რომლის სწორად და გულმოდგინედ ჩატარებაზეც დამოკიდებულია ნარგაობების წარმაღლა, გახარება, კარგი ზრდა, და ამით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ქარების მოქმედებისაგან სწრაფი დაცვა.

109. ნიადაგის პირველადი დამუშავება წარმოებს არანაკლებ 45 სმ სიღრმეზე. ტენის დაგროვების და დარგული მცენარეების გახარებისა და შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

ღრმა საპლანტაცია ხენა უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევებში, როდესაც ნიადაგის სახნავი ჰორიზონტი ამის საშუალებას იძლევა. დანარჩენ შემთხვევებში ნიადაგი უნდა მოიხსნას იმ სიღრმემდე, სადამდეც საშუალებას იძლევა სახნავი ჰორიზონტი, შემდეგ კი უნდა მოხდეს დაბატებითი ჩაღრმავება 45 სმ-დე და ხნულის ფსკერის გაფხვიერება.

დაცვითი ტყის ნარგავების გაშენება ახლად მომზადებულ და  
ჰერელედ მოხსნულ ნიადაგებზე არ წარმოებს.

110. დაცვითი ტყის ზოლების გასაშენებლად დასამუშავებელი ფართობები იყოფა სამ ჯგუფად: ა) ნაკვეთები, რომლებიც აღრე გამოყენებული იყო სასოფლო - სამეურნეო სარგებლობისათვის, ბ) ყამირი მიწები, დაფარული ტყით ან ბუჩქნარით და საბალახოები, გ) ჭარბტენიანი მიწები.

111. პირველი ჯგუფის მიწები უნდა დამუშავდეს თავიდანვე 45 სმ სიღრმეზე.

ტყეეაფებზე ნიადაგის პირწმინდა დამუშავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჯირკების ამოძირების შემდეგ. ამოძირება შეიძლება წარმოებული იქნეს მექანიზმებით ან ხელით. თავი უნდა ავარიდოთ ჯირკების აფეთქებით ამოძირებას, რადგან ამის შედეგად წარმოშობილი ღრმა ორმოები ხელს უშლიან ხვნას.

ნიადაგის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია ჯირკების ამოძირების შემდეგ ტყეეაფი გამოყენებული იქნეს ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაზღაული, რომლებისთვისაც ნიადაგი არაღრმად უნდა დამუშავდეს. სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა დასაზევებია ერთიდან ხუთ წლამდე ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. ქვიშნარ და ქვიშიან ნიადაგებზე სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა დაუშევებელია, რადგან ნიადაგს ერთმევა საკვები შინერალური ნივთიერებები.

112. ყამირსა და ჭარბტენიან ნიადაგებზე დაცვითი ტყის ზოლების გაშენებამდე ერთი-სამი წლით აღრე, დაჭაობების სიძლიერისა და ნიადაგის მექანიკური შედგენილობის მიხედვით, აწარმოებენ ნიადაგის დაშრობას საწრეტი, ღია ან დახურული აჩხების საშუალებით. პირველ წელს, და თუ ნიადაგი მძიმეა— ძეორე წელს, აწარმოებენ ნიადაგის არაღრმა დამუშავებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ოესვას; მესამე წელს აწარმოებენ ნიადაგის ღრმა ხვნას და შემდეგ—კი დასავლეთ რაიონებში აწყობენ დამრეც-ოვალურ კვლებს ნიადაგის მექანიკური შედგენილობის მიხედვით 4-დან 10 მეტრამდე სიგანის და 40-დან 60-დე სმ სიმაღლის—მის შეა ნაწილში.

113. ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში ნიადაგის ღრმად დამუშავებას (გარდა კოლხიდის ზონისა) აწარმოებენ დარგვამდე 4—5 თვით აღრე, რათა ნიადაგი დაჯდეს და ოდნავ დაიტკებნოს.

დარგვამდე ორი თვით აღრე აწარმოებენ ნიადაგის გადახვნას, რის შემდეგ ნიადაგიდან ამოიღებენ და ნაკვეთიდან მოაკრილებენ ფესვებს, წვრილ ჯირკებსა და სხვ.

შემდეგ ნიადაგს დაამუშავებენ დისკურებით, მოაცილებენ ფეს-  
ვებსა და ფესურებს ზამბარიანი კულტივატორებით.

114. 50-ზე მეტ დაქანებებზე, ნიადაგის ჩამორეცხვის თავითან  
აცილებისათვის, ნიადაგს ამუშავებენ ზოლებად, თუ დაცვითი ზო-  
ლების ნარგაობების რიგები განლაგებული უნდა იქნეს ჰორიზონ-  
ტალურად, და ბაქნებად—როდესაც დაცვითი ტყის ზოლი გადის  
ფერდობზე ზევიდან ქვევით.

115. დარგვამდე ორი თვით აღრე დამუშავებულ ზოლზე  
აწარმოებენ ნაკეთის დაგეგმვას და პალოებით აღნიშნავენ ხისა და  
ბუჩქარი ჯიშების დარგის ადგილებს. მანძილები სარგავ ადგი-  
ლებს შორის როგორც რიგებზი, ისე რიგებს შორის წესდება თა-  
ნახმად ამ აგრომითოთებების წყ 68—69 და 92—93-ისა. სარგავი  
ადგილების დანიშვნა წარმოებს ჭარბაჯული წესით.

116. ადგილების დანიშვნისთანავე წარმოებს 60 სმ დიამეტ-  
რისა და 40 სმ სიღრმის ორმოების ამოლება. დარგვამდე ორი  
კვირით აღრე ორმოში ჰყონიან ჰუმურის მიწას.

117. დაცვითი ტყის ზოლებში დასარგავად გამოიყენება სა-  
ხელმწიფო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების სანერგებში  
და სატყეო მეურნეობებში აღზრდილი თესლნერგები და ნერგები.

დარგისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კარგად  
განვითარებული, ვარგისი თესლნერგები და ნერგები. განსაკუთრე-  
ბული ყურადღება უნდა მიექცეს მიწისზედა ნაწილისა და ფესვთა  
სისტემის ერთმანეთთან შეფარდებას. ყველა შემთხვევაში ფესვთა  
სისტემა უნდა იყოს კარგად განვითარებული, ფუნჯა და სიგრძით  
პროპორციული უნდა შეეფარდებოდეს თესლნერგის ან ნერგის  
მიწისზედა ნაწილს.

118. ფოთლიან ჯიშებს და აგრეთვე ჭაობის კვიპაროზს რგა-  
ვენ ერთ-ორწლიან თესლნერგებად ან ნერგებად შიშველი ფესვე-  
ბით. წიწვიანები—ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, სეჭვია, კედარი, კრიპტო-  
მერია და ქვიპაროზები, აუცილებლად მიწის გუნდათი, დაირგვება  
ერთწლიან ხავსში შეფუთულ ან სამ-ოთხ წლის გადასკოლებულ  
ნერგებად. ფიჭვებს და აგრეთვე კრიპტომერიას და ლავზონის  
კვიპაროზს—რგავენ აგრეთვე ორწლიან თესლნერგებად შიშველი  
ფესვებით იმ შემთხვევაში, როდესაც ფესვთა სისტემა კარგადაა  
განვითარებული, დარგის ადგილი არაა დაშორებული სანერგიდან  
და დარგვა უზრუნველყოფილია მორწყვით.

შენიშვნა: სარგავი მასალის ხნოვანება გაიანგარიშება თესლის  
ოქსიდი წლიდან.

ვერხვები დაირგვება კალმების დასაფესვიანებელ პლანტაცი-  
ებში აღზრდილ ერთ-ორწლიან ნერგებად.

119. დაცვითი ტყის ზოლებში სოკოვანი დაავადებებით და მაგნებლებით დაავადებული სარგავი მასალის დარგვის თავიდან აცილების მიზნით, რადგან ასეთმა მასალამ შეიძლება გამოიწვიოს დარგული მცენარეების საგრძნობი დანაჯლის (ჩაგარღა), ზოგჯერ კი. ტყის ზოლების მთლიანი დალუპვა, სანერგიდან მიღებული სარგავი მასალა აუცილებლად უნდა გატარდეს საქონტროლო კარანტინში.

იმ სანერგებმა, რომლებიც გასცემენ სარგავ მასალას დაცვითი ტყის ზოლების გასაშენებლად, სარგავი მასალის ამოღებამდე უნდა მიიღონ საკრანტინო ინსპექციიდან სათანადო საბუთი (სერტიფიკატი), რომლითაც საკრანტინო დაავადებისა და მავნებლების არ აღმოჩენის შემთხვევაში ნება დართულია სარგავი მასალის გაცემაზე.

120. მცენარეთა დარგვა დაცვითი ტყის ზოლებში რეკომენდებულია ჩატარდეს, ძირითადათ, ადრე გაზაფხულზე.

ტყის დარგვის საგაზაფხულო სამუშაოები უნდა დაწყებული იქნეს შეძლებისამებრ ადრე, როდესაც ამის საშუალებას იძლევა ნიადაგის მდგომარეობა და დამთავრდეს უმოკლეს ვალებში ვიზტაციის დაწყებამდე.

საშემოდგომო დარგვა შეიძლება წარმოებული იქნეს მხოლოდ როდესაც ნიადაგი საქმაოდ ტენიანია; მშრალ ნიადაგებში დარგვა დაუშვებელია.

ფოთლიანი ჯიშები შეიძლება დაირგას როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომას, დარგვის მყარი ყინვების დაწყებამდე დაანლოვებით ორი კვირით ადრე დამთავრებით; წიწვიან ჯიშებს, როგორც წესი მხოლოდ გაზაფხულზე რგავენ—გაშიშვლებული ფესვებით 15 მარტიდან 15 აპრილამდე; ხოლო მიწის გუნდათი 1 მარტიდან 15 აპრილამდე; ხავსში შეფუთული წიწვიანი ჯიშის ნერგის დარგვა შეიძლება 1 მარტიდან 1 მაისამდე.

ნაჩენები ვალები მოტანილია დასაყრდნობად და ზონალობისა, კლიმატური პირობებისა და მოცემული რაიონის თავისებურებების მიხედვით შეიძლება გადაწეული იქნეს 15 დღით ერთ ან მეორე მხარეზე.

ხისა და ბუჩქნარი ჯიშების თესლნერებებისა და ნერგების დარგვა წარმოებს როგორც ხელით, ისე სარგავი მანქანებით.

121. დარგვის დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი შოთხოვნები:

ა) სანერგებებიდან დარგვის სამუშაოების აღგილზე მიტანილი სარგავი მასალა მაშინვე უნდა იქნეს მიფლული. მიფლვის დროს

უურადლება უნდა მიექცეს იმას, რომ აცდენილი იქნეს ფესვებზე  
ქარისია და მზის მავნე მოქმედება;

ბ) არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული სარტყელის  
გავი მასალის ფესვთა სისტემის გამოქარება;

გ) სარგავი მასალის მიფლვის ადგილიდან დარგვის ადგილზე  
მიტანა უნდა მოხდეს კალათებით, ჯინით ან ჩვეულებრივი ვედ-  
როებით, თანაც ძლიერ ფრთხილად;

დ) დარგვის წინ სარგავი მასალა გულმოღინედ უნდა გაი-  
სინჯოს, დახარისხდეს, და მოსკილდეს დაზიანებული თესლნერგი  
და ნერგი;

ე) სარგავი მასალის მიტანის დროს თესლნერგისა და ნერგის  
ფესვები უნდა იყოს ტენიანი;

ვ) ოუ სარგავ მასალას (ფოთლიან ჯიშებს) ზედმეტად გრძე-  
ლი ფესვები აქვს, საჭიროა მათი შეკეცა ბასრი იარალით (სეკა-  
ტორით, ბასრი დანით ან კარგად გალესილი ცულით); არავითარ  
შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ფესვების დაწყვეტა ან დაჭიშვა;  
წიწვიან ჯიშებს შეიძლება შეეჭრას მხოლოდ ქვედა ტოტები;

ზ) წიწვიანი ჯიშების მიწის გუნდას შესაფუთ მასალას მოაც-  
ლიან დასარგავ ორმოსთან, უშუალოდ დარგვის წინ;

თ) განსაკუთრებული ყურადლება უნდა მიექცეს იმას, რომ  
თესლნერგისა და ნერგის ფესვები ჩაშვებული იქნეს ორმოში  
მთელ სიღრმეზე, რომ არ მოხდეს ფესვის დაკეცვა ან დახვევა და  
მჭიდროდ იყოს ჩაჭერილი მიწაში;

ი) დარგვისთანავე მცენარეები უნდა მოირწყას უხვად, მიუ-  
ხედავად ნიადაგის ტენიანობისა და, აგრეთვე, ჯამებს უნდა გადა-  
ეფაროს (დამულჩვა) მცენარეული მასალა, მიწა და სხვ., ამასთან,  
ჩატარდეს ნიადაგის გაფხვიერება ზოლის რიგთაშორისებში;

კ) დარგვის დროს ფესვის ყელი უნდა მოვაქციოთ ნიადაგის  
ზედაპირის კვევით: გაზაფხულზე 3—4 სმ სიღრმეზე, შემოდგომას  
4—5 სმ, ხოლო იმ რაიონებში, სადაც მოსალოდნელია ნიადაგის  
ზედაფენის გამოქარება, 7—8 სმ სიღრმეზე.

122. ნარგაობების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსა-  
ყოფად მათი მოვლა დაწყებული უნდა იქნეს დარგვიდან და გაგრ-  
ძელებული იქნეს ხეების ვარჯის სრულ შეკვრამდე როგორც რი-  
გებში, ისე რიგთაშორის, დაახლოებით 5—6 წლის განმავლობაში  
დარგვიდან—დასავლეთ რაიონებში და 8—10 წლის—აღმოსავლეთ  
რაიონებში.

დაცვითი ტყის ზოლების მოვლა მდგომარეობს ნიადაგის  
რიგებში და რიგთაშორისებში სისტემატურ გაფხვიერებაში საგა-

ზაფხულო-საზაფხულო პერიოდში არაღრმად, ხოლო საზამთრო-  
საგაზაფხულო პერიოდში უფრო ღრმად.

აღმოსავლეთ საქართველოს გვალვაინ რაიონებში დაცვითი  
ტყის ზოლების თავისუფალ ნაპირებზე რეკომენდებულია პირველ-  
ორ წელიწადს მაღალლერიანი კულტურების (სიმინდი, მზესუმზი-  
რა, სორგო) თესვა ამ კულტურების ლეროების დატოვებით თოვ-  
ლის დაგროვებისა და ახალგაზრდა მერქნიანი მცენარეების გაყინ-  
ვისაგან დაცვის მიზნით.

123. როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის ნარგაობებში  
ნიადაგის პირველი მოვლა პირველ სავეგეტიციო პერიოდში უნდა  
ჩატარდეს საგაზაფხულო დარგის დამთავრებისთანავე, 15 აპრი-  
ლიდან, სარეველების გამოჩენისაგან დამოუკიდებლად.

შემდეგი მარგვლა და გაფხვიერება გაზაფხულისა და ზაფხუ-  
ლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ამინდისა და სარეველების-  
გამოჩენის მიხედვით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ  
სარეველების განვითარება, რადგან შემდგომში ძლიერ გაძნელდება  
მათთან ბრძოლა. ნიადაგის გაფხვიერების დაგვიანება გამოიწვევს  
ნიადაგის ტენის ზედმეტად დაკარგვას და ახალგაზრდა ნარგაობე-  
ბის ზრდის შესუსტებას.

124. პირველ წელში უნდა ჩატარდეს არა ნაკლებ 5 გაფხვი-  
ერებისა რიგთაშორისებში და 3 გამარგვლა რიგებში, რადგან ამ  
დროს ნარგაობა არ არის მომარაგებული და მეტ მოვლას მო-  
ითხოვს.

პირველი და შემდგომი მოვლა უნდა ჩატარდეს დაახლოებით  
შემდეგ ვადებში, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება  
შეიცვალოს სარეველების განვითარებასთან და ნიადაგის მდგომა-  
რეობასთან დაკავშირებით:

- 1-ლი მოვლა—აპრილის მეორე ნახევრიდან შუა მაისამდე.
- შე-2 „ —მაისის ნახევრიდან შუა ივნისამდე,
- შე-3 „ —ივნისის ბოლოდან ივლისის ბოლომდე,
- შე-4 „ —აგვისტოს განმავლობაში,
- შე-5 „ —სექტემბრის განმავლობაში.

დაცვითი ზოლების წარმატებით ზრდისათვის რეკომენდებუ-  
ლია მეორე წლიდან ხეების ვარჯის შეკვრამდე ჩატარდეს არა-  
ნაკლებ ოთხი მოვლისა.

125. ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ნიადაგში ტენის დაგ-  
როვების მიზნით—აღმოსავლეთ რაიონებში და აგრეთვე ნარგაო-  
ბების საუკეთესო განვითარების მიზნით—ყველა რაიონში ყოველ-  
წლიურად, პირველ წლიდან ხეების ვარჯის როგორც რიგებში,

ოსე რიგთაშორისებში შეკვრის დაწყებამდე, უნდა ჩატარდეს ნიადაგის პირწმინდა დამუშავება რიგთაშორისებში 16—18 სმ სიღრღული მეტე, ამ სამუშაოს 15 მარტამდე დამთავრებით—დასავლეთ რაზმის აღმოსავლეთ რაიონებში. ამ 1 აპრილამდე—აღმოსავლეთ რაიონებში.

ნიადაგი ზოლებში მუდმივად უნდა იყოს შავი ანეულის მდგომარეობაში. ნიადაგის რიგთაშორისებში გაფხვიერების სიღრმე განისაზღვრება დასარეველიანობის სიძლიერით, მათი განვითარებით და ნიადაგის მდგომარეობით.

აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან პირობებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ დაცვითს ზოლებში სარეველების ზრდა და მით უმეტეს მათი მომწიფება მოსათიბად. ნიადაგი ზოლებში მუდმივად უნდა იყოს შავი ანეულის მდგომარეობაში.

126. თუ ნიადაგი ოდნავ დატკეპნილია და სარეველები სუსტადა განვითარებული, საქმარისია შედარებით თხლად—5—6 სმ სიღრმეზე გაფხვიერება, რაც სავსებით უზრუნველყოფს სარეველების მოჭრას და ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერებას; მიტოვებულ ნარგაობებში, სადაც ნიადაგი ძლიერ დატკეპნილია და სარეველები შძაფრადაა განვითარებული, საჭიროა უფრო ღრმა—8—10 სმ სიღრმეზე გაფხვიერება.

2 და 2,5 მეტრის სიგანის რიგთაშორისებში ნიადაგის დამუშავებას აწარმოებენ მექანიზებულად—ტრაქტორების საშუალებით; 1,5 მეტრის სიგანის რიგთაშორისებში—ცხენის კულტივატორებით, ხოლო 1 მეტრის სიგანისაში—თოხით.

127. დაცვითი ტყის ზოლის დარგვის მეორე წელს აწარმოებენ ნარგაობების რემონტს და დანაკლისის შევსებას. შევსებას აწარმოებენ პირველი სავეგეტაციო პერიოდის შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. შევსებას აწარმოებენ იმავე ჯამებით, რომლებიც დაიღუბა.

თუ ზოლის გაშენების დროს დაშვებულია გადახრა შერევის სქემებიდან ან ჯიშთა ასორტიმენტიდან, შევსება უნდა იქნეს წარმოებული ზოლის გაუმჯობესების შეტანის გზით და იქ კი, სადაც ეს საჭიროა, უნდა დაემატოს რიგები ერთრიგიან ან ორრიგიან ზოლებში.

შევსება უნდა ჩატარდეს ორ-სამ-ოთხწლიან კარგად განვითარებული ნერგებით, რომლებიც არ უნდა იქნეს შესავსებ ნარგაობებზე ნაკლები ზომისა.

შევსება უნდა ჩატარდეს ზოლის არა მარტო ერთ-ორწლიან ნარგაობებში, არამედ მეტი ხნის ზოლებშიაც (3—6 წლის), რომლიბიც არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და მოითხოვს

შევსებას. ასეთ ნარგაობებს მიეკუთვნება: ა) არადამაკმაყოფილებელი ჯიშთა შედგენილობის მხრივ, ბ) ერთმწერივიანი ზოლები, გ) ზოლები, რომლებშიც დიდი დანაკლისია და სხვ.

128. შესავსებად განკუთვნილი ზოლები უნდა წინასწრ იქნეს გაწმენდილი სარეველებისაგან და არასასურველი ჯიშების ამონაყრისაგან, აგრეთვე უნდა ჩატარდეს ნიადაგის პირწმინდა გადაბარვა ან ხენა, თუ ემატება რიგები, ან 1 კვ. მეტრ ბაქნების ან არანაკლებ 45 სმ სილრმის ორმოების მომზადება ( $60 \times 40$  სმ) შესავსებრიგებში.

ნიადაგის დამუშავებისა და ნერგების დარგის დანარჩენი სამუშაოები ჩატარდება ისევე, როგორც ახლად გაშენებულ ზოლებში.

იმ ზოლების შესწორება, რომლებშიც არ არის დარგული მთავარი ჯიშები ან მათი რაოდენობა არასაკმარისია, უნდა ჩატარდეს მოცემულ რაონინისათვის შილებული (ჭარების რეჟიმისა და ზრდის აღვილის მიხედათ) კონსტრუქციებისა და სქემების მიხედვით.

129. შეკრულ დაცვითი ტყის ზოლებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა ნაცვლად ტარდება სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები.


პირველ წლებში მოვლის მეტყეური ღონისძიებები გამოიხატება კორომების სწორ ფორმირებაში და მთავარი ჯიშების სიმაღლეზე ზრდისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფაში.

გამოწმენდის ჩატარების დროს ნარგაობებიდან გამოიღება პირველ რიგში გამხმარი, ხმობადი და დაზიანებული ეგზემპლარები. ამ ღონისძიებას ამავე დროს აქვს სანიტარული შნიშვნელობა.


როგორც გამოწმენდის, ისე განათების დროს შეაცრად უნდა მიექცეს ყურადღება, რომ არ იქნეს დარღვეული ზოლის შეკრულობა, რადგან გადამეტებით გათხელების შემთხვევაში წარმოიქმნება არასასურველი ფართო თაფისუფალი აღგილები, რომლებშიც შეიიტრება ქარი.



# დაცვითი გყის ზოგადის სენატი




8 ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՐԴՅՈՒՆԱՎՈՐ ԿԱՐԱՎԱՆ



8 հոգուած քառակու թյուն թուն  
եւ տունը առաջ է առաջան  
բարձրաց առաջ առաջան


3 թուն



8 հողաբույսերու ջրագում ջրահանձնությունը


շիճութաց և ջրահետաք

ջրագում առաջակա և ազատ ուղղությունը




8 հովընակ բարձունություն գրանցող  
պատճենագիր պահպանական  
համապատասխան մասնակիցների


652025



საქართველოს სამდგრავო  
მუნიციპალიტეტის მიერ  
8 მიმღები მუნიციპალიტეტის  
განვითარების და განვითარების  
მინისტრის მიერ




აღმოჩენა სამეცნიერო  
8 რიცხვითი გაზომითი ფურს ზოგი  
ყველაზე კონკრეტული




○ მოსახური  
30 მეტრი  
60%

○ მოსახური  
30 მეტრი  
40%




კომისადამ საქართველო  
ს გეოგრაფიული მუნიციპალიტეტის  
მუნიციპალიტეტის




- მ მთავარი პილი 40 %
- თ თანამდებობი პილი 20 %
- კ კურსარი 40 %

კომისადაც დაწყებული  
4 ნიმუში დაზღვითი ტყის ზოდი აუცილებელი



Ծ-III թերթ

ԿԸՀԱՌԱՎԱՐԱԿԱՆ ԱՌԵՎԵԼՈՎ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ  
4 հիմնացու մասու 8 տևողության ծառի հայտնաբերություն




- Յուշական ծովո 50%
- Դաճաթքաթան ծովո 17%
- Ծառաբան 33%


აღმისავლეთ საკართველო  
2 სიმაგრი დაზოგონი მყიდვების გორები


43285 ქ-511

შეცვლილებები




აღმოსავლეთ საქართველო  
2 აივნის დაცვითი ფიცის გონი  
გურებელის უკაფისი






2161363-ით საქართველო  
6 გიგანტი მარებული მყის გონი  
შეცვლის ვიზუალი (II ვარიაცია)

8-I ცხრა







ესავლეთ საფარისებრ

4 ჩიტიანი დასეიოთ ტყის ზორი ფორმის ფორმისან ვიშებოლა  
(I ვარიაციი) ართნებულ პურებულისათვის

გრად II-8



ესენის საკართველო  
2 გიგანტი ლაპეტი მყის 8000 (Pირვითადი და განვითარებული 3 გიგანტი (I ვარიაციი) მრავალდინარ 3 ჯიშუაბისათვეს




ესაველი საჭართველო

2 გიგიანი დაცვითი ფიცი ზოცი (განვით) ფოთისა  
ფურცელება (I ვარიაცია)

67225 III-8

ესაველი დაცვითი ფიცი ზოცი (განვით) ფოთისა  
ფურცელება (I ვარიაცია)

ტრაქის მისამართება  
ზოცი ეს ვარიაცია




ტრაქის მისამართება  
ვარიაცია

სიმძლელი

სიმძლელი

60 20 25 20 60



სიმძლელი

სიმძლელი

60 6.5 60


● — ფირთოვანი აკეთები მთავარი - 25%

○ — ფირთღიანი აკეთები თანამდებობი - 25%

— ბურაპარა - 50%

## 21623620 საქართველო

4 ა. გ. გუანი საზოგო ტუნი ზორი მრავალი სასახლი "კოსტაზების  
ვართიანი ვაკებისა და შემარტინი



## ს პ რ ჩ ე პ ი

### შესავალი

83-

I.	ზოგადი დებულებანი სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების გასაშენებ- ლად ფართობების გამოყოფის შესახებ . . . . .	7
II.	ზოგადი დებულებანი საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიო- ნებში სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების პროექტების შედგენის შესახებ . . . . .	10
III.	წესები საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების დაცვითი ტყის ნარ- გაობების განლაგების პროექტების შედგენისა, გაფორმებისა და ნატუ- რაში გადატანისა . . . . .	22
IV.	მავნე ქარების მიმართულების გახსაზღვრის ხერხები . . . . .	24
V.	ძირითადი დებულებანი დაცვითი ტყის ზოლების გაშენების შესახებ სა- ქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში . . . . .	26
VI.	ძირითადი დებულებანი საქართველოს დასავლეთ რაიონებში დაცვითი ტყის ზოლების გაშენების შესახებ . . . . .	37
VII.	დაცვითი ტყის ზოლების გაშენების აგროტექნიკა და მათი მოვლა . . 47 დაცვითი ტყის ზოლების სქემები . . . . .	57



ა გ რ მ მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი  
ხისა ღა გაჩენარი ჯიშვალის  
სარგავი მასალის აღზრდისათვის

## I. ზოგადი ცნობათი ტყის საცირკის შესახებ

1. იმ ფართობს, რომელზეც აღიზრდება შუდმივ ფართობზე რასარგავი მერქნიანი და ბუჩქნარი მცენარეები, ტყის სანერგე ეწოდება.

2. სანერგე შეიძლება იყოს დროებითი და მუდმივი.

მუდმივი—ეწოდება ისეთ სანერგეს, რომელმაც განუწყვეტლად, მრავალი წლის განმავლობაში უნდა მოგვცეს სარგავი მასალა სატყეო საკულტურო სამუშაოებისათვის.

3. დროებითი—ეწოდება ისეთ სანერგეს, რომელშიაც სარგავი მასალა აღიზარდება რამდენიმე წლის განმავლობაში, არა უმეტეს 5—6 წლისა. დროებითი სანერგე განკუთვნილია რომელიმე ობიექტისათვის; ამ ობიექტზე მუშაობის დამთავრების შემდეგ სანერგეც უქმდება.

სარგავი მასალის აღზრდის წესები, როგორც მუდმივი, ისე დროებითი სანერგებისათვის ერთი და იგვევა.

4. დროებითი სანერგისაგან განსხვავებით მუდმივი სანერგებისათვის მეურნეობის ორგანიზაციის დროს შედგენილი უნდა ჩქნეს სამეურნეო-საორგანიზაციო გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს უკილებელ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობას, ტერიტორიის შეღრძვას, წყალსაწრეტი და სარწყავი სისტემის მოწყობას, სათანადო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, ინვენტარის შეძენას და უზრუნველყოფდეს სარგავი მასალის გეგმაზომიერ გამოშვებას ნიაღავის გამოუფიტავად.

5. სანერგის მოწყობას წინ უნდა უსწრებდეს მისი ფართობის ვანგარიშება, ნაკვეთის შერჩევა და გამოკვლევა.

სანერგის ფართობის გასაანგარიშებლად საჭიროა ვიცოდეთ:

ა) ცალკეული წლების მიხედვით გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობა იმ ფართობზე, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ეს სანერგე;

ბ) მოთხოვნილება ცალკეული წლების მიხედვით ამა თუ იმ სახის სტანდარტულ სარგავ მასალაზე (თესლნერგი, ნერგი, კალმები) ჯიშებისა და ხნოვანების მიხედვით;

8) ფართობის ერთეულიდან სტანდარტული მასალის გამოხავალი ცალკე სახეების, ჯიშების და ხნოვანების მიხედვით.

6. სარგავ მასალაზე ყოველწლიური მოთხოვნილების და ფართობის ერთეულიდან გამოსავალის ცოდნა საშუალებას მოვცემს საჭირო თესლბრუნვის გათვალისწინებით გავიანგარიშოთ სანერგიის ძირითადი სამეურნეო ნაწილების ფართობი. სანერგიის საერთო ფართობი შედგება: ცალკეული სამეურნეო ნაწილებისგან, საკარმილამო ნაევეთისაგან საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, გზებისა და ქარსაფარი ზოლებისაგან.

7. მუდმივი სანერგიისათვის გამოყოფილი ფართობი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნილებებს:

ა) სანერგე მოთავსებული უნდა იყოს შეძლებისამებრ მომსახურეობის ფართობის ცენტრში, დასახლებულ ადგილთან ახლოს;

ბ) სანერგე დაკავშირებული უნდა იყოს სატყეო საკულტურო ფართობებთან გზებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სარგავი მასალის სწრაფ და იაფ გადაზიდვას;

გ) საჭიროების შემთხვევაში ნათესისა და ნარგავის მორწყვის მიზნით სანერგე უზრუნველყოლი უნდა იყოს სარწყავი წყლით;

დ) თავისი ფორმითა და სიდიდით უნდა აკმაყოფილებდეს გეგმით გათვალისწინებულ სანერგიის მოცულობას:

ე) ნიაღაგის მხრივ შესაფერისი უნდა იყოს გეგმით გათვალისწინებული ჯიშებისათვის;

ვ) ფართობი უნდა იყოს ვაკე, არა უმეტეს 5° დაჭანებისა; უპირატესობა ეძლევა სამხრეთ-დასავლეთის, დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის, ჩრდილოეთისა და ჩრდილო - აღმოსავლეთის ექსპოზიციებს; არ უნდა იყოს ნარგავ-ნათესის გაყინვის საფრთხე;

ზ) არ უნდა იყოს დაგუბებული წყალი და გრუნტის წყლის დონე არ უნდა ადიოდეს ნიაღაგის ზედაპირამდე 75 სმ ზევით;

თ) არ უნდა იყოს გავრცელებული მავნე მწერები (მაისის ღრაჭა, ბოსტანა) და დაავადებანი (ფუზარიუმი, სკლეროციუმი);

ი) სანერგიის ტერიტორია დაცული უნდა იყოს მავნე ქარებისაგან ბუნებრივი ან ხელოვნური ქარსაფარი ზოლებით;

კ) სატყეო სანერგიისათვის არ შეიძლება შეირჩეს ისეთი ფართობები, რომლებზედაც მოსალოდნელია აღრეული და გვიანი ყინვების გავლენა, მაგ.: მდინარის პირები, ტაფობები, ხევები და ღელებები, ველობები ტყეში და სხვა ასეთები,

8. დროებითი სანერგე უნდა გაშენდეს საკულტურო ფართობის მახლობლად. დროებითი სანერგიის შერჩევისას დაცული უნდა იქნეს იგივე მოთხოვნილებანი, რაც მუღმივი სანერგიისათვის.

9. სანერგისათვის საუკეთესო ნიადაგებად ითვლება მსუბუქი და საშუალო თიხნარები ფერდობის ძირებთან, აგრეთვე ლრმაზული ალუვიური, ჰუმუსის მძლავრი ჰორიზონტიანი, ადვილად დასამუშაოთა შავებელი ნიადაგები.

უნდა ვერიდოთ ძალიან ნოყიერ და, აგრეთვე, ბლანტ თიხა ნიადაგებს, რომლებიც დიდი წყალტევადობით, ცუდი წყალგამტარიანობით ხასიათდება და გაზაფხულის ყინვების დროს მცენარეთა „ამოწევას“ იწვევენ.

10. სანერგისათვის გამოუყენებელია: დაჭაობებული, ტორფიანი, ძლიერ გაეწერებული, მევრივი, უსტრუქტორო, მღლაშე და თხელი, ჩონჩხიანი, მწირი, ქვიშნარი და ჩამორეცხილი ნიადაგები. ქვიშნარი ნიადაგები, რომლებიც ტენს ზედა ჰორიზონტებში ნაკლებად აკავებენ, რის გამო ნიადაგის ზედაპირი სწრაფად გამოშრება და ხშირად მაისისა და იელისის ღრაჭების ბუდეს წარმოადგენენ, აგრეთვე გამოუყენებელია სანერგებისათვის.

11. სასურველია სანერგეს ჰქონდეს შეძლებისამებრ სწორი, კვადრატული ონ სწორკუთხედის ფორმა.

12. აღსაზრდელ მცენარეთა ასორტიმენტის მიხედვით სანერგე დაიყოფა სათანადო სამეურნეო ნაწილებად ან განყოფილებებად, რომლებზედაც აღიზრდება აღზრდისა და მოვლის მეთოდით და ჯიშთა მორიგეობით განსხვავებული კატეგორიის სარგავი მასალა.

13. ჩვეულებრივ სატყეო სანერგებში შედის შემდეგი სამეურნეო ნაწილები ან განყოფილებები:

1. სათესი განყოფილება;
2. სასკოლო განყოფილება;
3. დეკორაციული განყოფილება;
4. საბურებისა და კვალსათბურების განყოფილება;
5. საკალათე ტირიფის სადედე;
6. ვერხვის სადედე და
7. დენდროლოგიური განყოფილება.

14. სათესი განყოფილება განკუთვნილია სპეციალურად მოწყობილ სათეს კვლებში ან რიგებში დათესილ მერქნიან და ბუჩქნარ მცენარეთა თესლისგან მასობრივი სატყეო-საკულტურო სამუშაოებისათვის საჭირო წევრილი სარგავი მასალის აღზრდისათვის.

სათესი კვლებიდან, ჯიშის ზრდის ინტენსივობის მიხედვით, ვლებულობთ 1 ან 2 წლიან თესლნერგებს.

15. სასკოლო განყოფილება განკუთვნილია მსხვილი ზომის სარგავი მასალის აღსაზრდელია, რომელიც გამოიყენება სატყეო-

საკულტურო ფართობებზე, გზებზე და საკარმილამო ნაკვეთებზე დასარგავად, ბაღ-ბარების მშენებლობისა და სხვა დეკორაციული მიზნებისათვის. სასკოლო განყოფილებაში ირგვება სათეს განუოფილებაში აღზრდილი 1 ან 2 წლიანი თესლნერგები, აგრეთვე სარგავი პალოები, ყლორტისა და ფესვის ქალმები დასაფესვიანებლად და ფესვის ამონაყარი.

იმისდა მიხედვით, თუ რა ხნოვანებისა და ზომის ნერგის აღზრდა გათვალისწინებული, სასკოლო განყოფილებაში ნერგებს ტოვებენ განსაზღვრული წლების განმავლობაში.

16. დეკორაციული განყოფილება ემსახურება დეკორაციულ მერქნიან და ბუჩქარ მცენარეთა აღზრდას.

აღსაზრდელი მასალის ზრდის სისწრაფის, ადგილსამყოფელის პირობებისა და მცენარის მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ნერგები ამ განყოფილებაში რჩება 3—5 და 10 წლის განმავლობაში.

17. ტირიფის სადედებებს აშენებენ განსაზღვრული ჯიშის ტირიფის კალმების მიღებისათვის მუდმივ ფართობზე დარგვის ან გასაღების მიზნით და აგრეთვე ტექნიკური საჭიროებისათვის (სხვადასხვა წნულებისათვის).

18. ტირიფის სადედებისათვის გამოიყოფა სანერგის ის ნაკვეთები, რომლებიც სხვა სამეურნეო ერთეულებისათვის გამოუსადეგარია:

1). ნაკვეთები სანერგის ტერიტორიაზე არსებული წყალსა-ცავების, არხების, მდინარეების და დელების ნაპირების გასწვრივ, თუ ასეთები მოიპოვება სანერგის ფართობზე და ვერ გამოიყენება არასწორი ფორმის გამო სხვა სამეურნეო ნაწილისათვის,

2). ყველა, უსწორო ფორმის, განაპირა, სხვა სამეურნეო ნაწილებისათვის გამოუყენებელი კვარტალები,

3). სანერგის ის ნაკვეთები, რომლებშიაც გაზაფხულზე წყალი ჩადგება და ჭარბად ტენიანდება.

19. ვერხვის სადედებებს აშენებენ სკოლაში ან მუდმივ ფართობზე დასარგავი კალმების მიღების მიზნით. ვერხვისათვისაც სანერგის ისეთივე ნაკვეთები გამოიყენება, როგორიც ტირიფისათვის, გარდა იმ ნაკვეთებისა, რომლებშიც გაზაფხულზე ჩადგება წყალი და დროებით ჭარბად ტენიანდება.

20. დიდი მასშტაბის სანერგებში გამოიყოფა დენდროლო-გიური განყოფილება, რომელშიაც საკოლეჯიოდ დაირგვება ამ რაიონისათვის დამახასიათებელი შეძლებისამებრ ყველა მერქნიანი ან ხეხილის ჯიში ან ბუჩქი; აქვე ირგვება გამოსაცდელად ის უცხო

მცენარეები, რომელთა ნატურალიზაცია პრაქტიკულად საინტერესოა.

21. დიდ სანერგეებში, რომლებშიაც წარმოებს ევკალიფტურის ბის, დეკორაციული მცენარეების კალმებისა და იშვიათი თესლებისაგან აღმოცენებული მცენარეების აღზრდა, შენდება კვალსათბურები და სათბურები. მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ნაკვეთზე უნდა აშენდეს აგრეთვე დამხმარე ნაგებობანიც: ფარდულები სათბურების ჩარჩოების, ბალის მიწის, ნაკელისა და სხვათა შესანახავად, და სხვა დამხმარე ნაგებობანი.

22. სათბურები და კვალსათბურები შენდება მშრალ, ქარებისაგან კარგად დაცულ, ღრმად დაწრეტილ და სარწყავი წყლით უზრუნველყოფილ ადგილზე. საუკეთესო ექსპოზიციად უნდა ჩაითვალოს სამხრეთის ფერდობი; ამასთან, სათბური თავისი ღერძით მიმართული უნდა იყოს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ხოლო კვალსათბური დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

23. იმ ზოგადი მოთხოვნებების მხედველობაში მიღებით. რომლებიც წარედგინება სანერგისათვის ნაკვეთის შეჩერებას, და ადგილის ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე, წარმოებს სანერგის გაშენების პუნქტების პირველადი მონიშვნა, რის შემდეგ ხდება ნაკვეთის საბოლოო შეჩერება.

ნაკვეთის შეჩერების შემდეგ წარმოებს შისი საზღვრების დადგენა და დამაგრება, აგეგმვა, ნიველირება და ნიადაგური, ჰიდროტექნიკური და ენტომოლოგიური დეტალური გამოკვლევა; ამგვარი გამოკვლევების ჩატარებისა და საჭირო კარტოგრაფიული და საგეგმო მასალის მიღების შემდეგ, სდგება სანერგის ორგანიზაციის პროექტი, თანახმად არსებული ინსტრუქციებისა.

24. სანერგის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის დამტკიცების შემდეგ უნდა შევუდგეთ პროექტის ნატურაზი გადატანას.

სანერგის ფართობის დაყოფა უნდა წარმოებდეს ზუსტი გეოდეზიური ხელსაწყოებით.

სანერგის ტერიტორიის დანაწილება იწყება მთავარი გზების ადგილზე გადატანით. როდესაც მთავარი და მეორეხარისხოვანი გზების დანაწილება დამთავრებული და შემოწმებულია, სანერგის მთელი ფართობი ნაწილდება სწორკუთხედებად ან კვადრატებად—სამუშაო ნაკვეთებად (კვარტალებად). სანერგის სიდიდის მიხედვით, რამდენიმე კვარტალი შეადგენს სამუშაო ნაკვეთს ან თესლბრუნვის მინდორს.

25. სანერგის ტერიტორიის დანაწილების შემდეგ შეეუდგენით გზების და ღობეების მოწყობას და ქარსაფარი ზოლების გაუშენების მოსამზადებელ სამუშაოებს.

26. გრუნტის გზის მოწყობა იწყება გზის ღერძის განსაზღვრით, რომლის მდებარეობა მონიშნული უნდა იყოს პალოებით. პალოები დაისმება ყოველ ათ მეტრზე; პალის მიწისზედა ნაწილის სიმაღლე უნდა უდრიდეს 15 სმ. ამის შემდეგ გზის ღერძის პერპენდიკულარულად, პალის ორივე მხარეზე, რულეტით გადაიზომება მანძილი, რომელიც შეესაბამება ხაზის გზის შუა ნაწილის ყრილიდან მის დამთავრებამდე; იმ შემთხვევაში, თუ გზის სიგანე 8 მეტრს უდრის, ღერძიდან უნდა გადაიზომოს 2,5 მეტრი და წერტილები აღინიშნოს პალოების ჩასმით; ამის შემდეგ ამავე მიმართულებით, ღერძის ორივე მხარეს გადაიზომება 4 მეტრი. ბოლოები აღინიშნება ისევ პალოებით, რომლებიც აჩვენებს გზის წყალგამტარი თხრილების (კიუვეტების) მოწყობის ადგილს.

ამის შედეგად გზის ზედაპირზე გაყვანილი იქნება პალოების 5 რიგი: ერთი რიგი—გზის ღერძის გასწორივ და ორ-ორი რიგი მის ორივე მხარეზე.

27. გზის მოსაწყობი მიწის სამუშაოები იწყება იმით, რომ გზის ორივე მხარეზე ამოლებული უნდა იქნეს 20 სმ სილრმის წყალგამტარი თხრილები. თხრილებიდან ამოლებული მიწა უნდა გადაიყაროს გზის შუაგულზე; გზის ღერძის მიმართულებით თხრილი თანდათან მცირდება და შეწყდება პალოების მეორე რიგთან. თხრილის გარეთა ნაპირი ჩამოჭრილი უნდა იქნეს სუფთად; გვერდების შეფარდება უნდა იყოს 1:1 ან 1:1, 5. გზის შუაგულზე დაყრილი მიწა მოსწორდება გზის ღერძსა და პალოების მეორე რიგს შორის. გზის შუაგულზე მიწაყრილის სიმაღლე უნდა იყოს ღერძზე დასობილი პალოების დონეზე ე. ი. 15 სმ. ამაღლება თანდათან უნდა კლებულობდეს გზის კიდეებისაკენ. მიწაყრილი გულმოდვინედ უნდა მოიტკებოს და მოსწორდეს, რის შემდეგ დაიყრება ხრეში.

გრუნტის გზის მოწყობის დროს კარგი იქნება თუ გამოვიყენებთ საგზაო გრეიდერს ტრაქტორის წევით. თხრილის ამოლება გზის კიდეებზე შეიძლება წარმოებდეს გუთნით, რაც გააიაფებს სამუშაოს.

28. სანერგის ნაკვეთი უნდა შემოიღობოს. ღობე სხვადასხვა სახისა კეთდება, მისი შერჩევა და მოვიდებულია მეურნეობაში ამ სამუშაოსთვის გათვალისწინებულ სახსრებზე.

29. ღობეებისათვის უბირატესად გამოიყენება მუხის ან აკა-

ციის ბოძები, სიმაღლით 2—2, 25 მეტრი, სიმსხოთი კი 10 სან-ტიმეტრამდე ზედა გადანაჭერში. მიწაში მოსაქცევი ნაწილი ბოძებისა უნდა გაიფისოს ან გაირუჯოს. ბოძები დაისმება ერთბანერთო-საგან სამი მეტრის დაშორებით.

30. ლობის შიგნით შენდება ტრიფოლიატის, გლედიჩის ან სხვა ჯიშის ცოცხალი ლობე.

შემოდგომით ზოლი 1 მეტრის სიგანით და 25 სმ სიღრმით დაიბარება ან დაიხვნება. გაზაფხულზე ნიაღაგი ფხვევრდება და მოსწორდება, რის შემდეგ ჭადრაკულად ირგვება ცოცხალი ლობი-სათვის განკუთხნილი ნერგები ერთიმეორისაგან რიგში—20 სმ, ხოლო რიგებს შორის 25 სმ დაცილებით, ანდა ზოლებად ითესება თესლი.

უფრო ხშირი ცოცხალი ლობის მიღების შიზნით დარგვიდან მეორე გაზაფხულზე ნერგები უნდა დაიძირებოს, ე. ი. გადაიჭრას ფესვის ყელთან. ამონაყრიდან დატოვებული უნდა იქნეს მხოლოდ ორი ცალი.

შემდეგ ყოველწლიურად უნდა წარმოებდეს მცენარეების შეკრეჭა ბალის მაკრატლით. შეკრეჭის დროს იჭრება უკანასკნელი წლის ნაზარდი ყლორტის ზედა მესამედი ნაწილი. ცოცხალი ლობის გვერდებს უნდა მიეცეს დაქანება გარეთა მხრისავენ, ხოლო ქვედა ნაწილი უნდა იყოს უფრო ფართო, ვიღრე ზედა.

ცოცხალი ლობე უნდა შეიკრიჭოს აღრე გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებამდე—15 თებერვლიდან 15 მარტამდე. ლობის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 მეტრს.

31. ცოცხალი ლობის მოვლა, გარდა შეკრეჭვისა, ითვალისწინებს დარგული ზოლის რიგებში, ხოლო ზრდის პირველ პერიოდში, ვარჯის შეკვრამდე, აგრეთვე რიგებს შორის გამარგვლა—გაფხვიერებას.

32. სანერგის გამომშრობ ქარის მოქმედებისაგან დაცვის შიზნით მის საზღვრებზე (ცოცხალი ლობის შიგნით) შენდება დაცვითი ზოლები, რომელიც წარმოადგენს 2 ან 4 მწერიგად დარგული ხების (ჩვეულებრივი დაცვითი ტყის ზოლის ტიპის) ნარგავს. დიდი სანერგისათვის დაცვითი ტყის ზოლები შენდება აგრეთვე სანერგის შიგნითა ტერიტორიაზე და ამ შემთხვევაში შეიძლება გაშენებული იქნეს ორმწკრივი ხეივნის ტიპის ზოლი, რომელიც შენდება გზების ან სამელიორაციო ქსელის გასწვრივ.

33. სანერგის შიგნით გაშენებული დაცვითი ნარგაობები არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას მანქანებისა და საჭაპანო ტრანსპორტისათვის, აგრეთვე ნიაღაგის დამუშავებისათვის.

მანძილი ქარსათვრებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 200 მეტ-  
რისა, ხოლო მიმართულება — გაბატონებული მავნე ქარების პერ-  
პენდიკულარული.

## II. სარგებლის გასაღის აღზრდის ტექნიკა

### 1. ტყის ამოძირება და ნიადაგის დამუშავება

34. სანერგებები ნიადაგის დამუშავება დაწყებული უნდა  
იქნეს დარგვამდე ან დათესვამდე 2 წლით ადრე, თუ ნაკვეთი გა-  
მოსულია ამოშრობის სამუშაოებიდან, 1 წლით ადრე, თუ ნაკვეთი  
ეჭვა ტყეს, ბუჩქნარს ან ყამირს, ხოლო ნახევარი წლით ადრე,  
თუ ეს ნაკვეთი დაკავებული იყო სოფლის მეურნეობის კულტუ-  
რებით.

35. სანერგისათვის გამოყოფილი ფართობი უნდა გაიწმინ-  
დოს მერქნიანი ან ბუჩქნარი მცენარეებისაგან ამოძირებით, ჯირ-  
კების გატანით და ყველა ნარჩენების დაწვით. ჯირკების ამოძირ-  
ებისა და 35 სმ სიღრმეზე ყველა ფეხსის ამოღების შედეგად  
მიღებული ორმოები უნდა ამოიგხოს მიწით.

36. ჭარბად დატენიანებულ ნიადაგებზე, ფართობის გაწმენ-  
დასთან ერთად, გაყვანილი უნდა იქნეს საწრეტი ქსელი. ქსელის  
სიხშირე, სიღრმე და არხების მიმართულება ყოველი ცალკე ნა-  
კვეთისათვის სპეციალური გამოკვლევებით უნდა იქნეს დადგე-  
ნილი.

ნიადაგის დატენიანების, წყალგამტარიანობისა და მექანიკუ-  
რი შედგენილობის მიხედვით 1 ჰექტარ სანერგის ფართობზე  
გაყვანილ უნდა იქნეს 200-დან 600 გრძივ მეტრამდე წყალდამწრე-  
ტი თხრილი, რომლის სიღრმე 0,50—0,75 მეტრი უნდა იყოს,  
ხოლო სიგანე, როგორც თხრილის ზედაპირზე, ისე ძირზე, 30—40 სმ.

37. ამოძირების პირველსავე წელს სასურველია ამ ფართობზე  
დაითესოს სათოხი კულტურები (კარტოფილი, სიმინდი, სოია და  
სხვ.) ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და სარეველა ბალ-  
ხების მოსპობის მიზნით, ან დატოვებული იქნეს შავ ანეულად.

სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების მეორე წელს, ხოლო  
ამოძირებისა და გაწმენდის პირველ წელს, უსტრუქტურო, საკვები  
ნივთიერებით ღარის, განსაკუთრებით ეწერ ნიადაგებზე, ამ ნიადა-  
გების ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებისა და აზოტით გამდიდ-  
რების მიზნით, მაჩანშეწონილია სიდერატების დათესვა.

სიდერატებად შეიძლება გამოყენებული იქნეს: საშემოდგო-  
მო—ლურჯი ხანჭკოლა, თეთრი ხანჭკოლა, მრავალწლიანი ხანჭკო-  
ლა, იონჯა, ჩვეულებრივი ცერცელა, ბოსტნის და მინდვრის ზარ-  
და (ხანდური), ზაბდარი; საგაზაფხულო — სოია და ხაჭკოლა  
ცერცელი.

38. იმ მიზნით, რომ დაკავებული იქნეს საკმაო რაოდენობის  
ტენი, გაუმჯობესდეს წყლის და ჰაერის რეეიმი, აგრეთვე ხელი  
შეეწყოს მიუროორგანიზმების ბიოლოგიურ მოქმედებას და მოის-  
პოს სარეველა ბალახები, საჭიროა სანერგის ნიაღაგის ღრმად და-  
მუშავება.

დამუშავებული ნიაღაგის სიღრმე სანერგის სხვადასხვა სამე-  
ურნეო ნაწილისათვის უნდა იყოს არანაკლები: სათეს ნაწილში—  
25 სმ, სკოლაში—30 სმ, სადედე პლანტაციებში—35 სმ; მძიმე  
ნიაღაგებში დამუშავების სიღრმე სათანადოდ უნდა იზრდებოდეს.

ნიაღაგის დამუშავების სიღრმე დამოკიდებულია:

- ა) იმაზე, თუ რა სიღრმის ფესვი გვინდა ჰქონდეს თესლ-  
ნერგს ან ნერგს,
- ბ) მცენარის ჯიშზე,
- გ) იმ პერიოდზე, რა ხნითაც გათვალისწინებულია თესლნერ-  
გის ან ნერგის სანერგებში გაჩერება,
- დ) ნიაღაგის შექანიკურ შედგენილობაზე,
- ე) რაიონის კლიმატურ პირობებზე და
- ვ) ნიაღაგის დედაქანზე.

გვალვიან რაიონებში, ნიაღაგში ტენის დაგროვებისა და შე-  
ნარჩუნების მიზნით, უცილებელია ნიაღაგის ღრმა მზრალად ხვნა,  
ხოლო ანეულად დატოვებულ ნაკვეთებზე—საშემოდგომო ღრმა  
გაფხვიერება.

ნიაღაგის დასარეველიანობასთან ბრძოლის მიზნით აწარმოე-  
ბენ წინმხვნელიანი გუთნებით ხვნას, რაც უზრუნველპიოფს სარე-  
ველა მცენარეულობის უკეთ ჩახვნას და ნიაღაგის ზედა, გამტვე-  
რებული ჰირიზონტის კვლის ფსკერზე მოქცევას.

გაფხვიერებული ნიაღაგის ზედაპირი დამუშავების შემდეგ  
უნდა იყოს სწორი; ხოლო მზრალად ხვნის ღრმის გაღახნული მინ-  
დვრის ზედაპირი, საზამთრო ნალექების დაგროვების მიზნით, შეიძ-  
ლება დატოვებული იქნეს მოუსწორებლად.

## 2. სათესი განყოფილება

39. სანერგის სათეს განყოფილებაში მერქნიანი მცენარეების  
თესლის თესვა წარმოებს კვლებში, მწერივებად და ლენტისებრად.

ამისდა მიხედვით უნდა წარმოებდეს ნიადაგის თესვისათვის საშოლოო მომზადება. იმ ჟემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქს მცირესათვეს ფართობებთან, სადაც შეუძლებელია მექანიზაციის გამოყენება, თესვა უნდა წარმოებდეს კვლებზე.

კვლების მოწყობა საჭიროა უხვად დატენიანებულ, შედარებით მძიმე და მკვრივ ნიადაგებზე და, აგრეთვე, როდესაც ითესება თუთის, ჭადრის, ვერხვის, არყის, თხმელის და სხვა წვრილი თესლები. მწკრივებად და ლენტისებრი თესვა გამოიყენება დიდ სანერგებში, თუ ნიადაგი ჭარბად არ არის დატენიანებული. თესვის ასეთი წესი შეიძლება გამოვიყენოთ მცირე ფართობიან სანერგებშიც კვლებზე თესვის ნაცვლად.

40. ნიადაგის ძირითადი დამუშავების დამთავრების შემდეგ თესვამდე, დაახლოებით, 2—3 კვირით აღრე, წარმოებს ფართობის დანაწილება კვლებად და კვლების მოწყობა. კვლების მოწყობა რაიონის კლიმატური პირობების მიხედვით სხვადასხვა წესით ხდება.

აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან პირობებში კეთდება უარყოფითი (ჩაღრმავებული) კვლები; კვლის ჩაღრმავება ნიადაგის ზედაპირთან უნდა უდრიდეს 10—12 სანტიმეტრს.

იმ რაიონებში, სადაც ნალექების რაოდენობა საშუალოდ ნორმალურია (წლიურად 500—800 მმ, ამასთან თუ ნალექების მასის ძირითადი რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში მოდის), კვლები მოეწყობა ნიადაგის ზედაპირის დონეზე.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში კვლები კეთდება დადებითი (ამაღლებული), ნიადაგის ზედაპირთან შედრებით 10—20 სმ უფრო მაღლა (ნალექების რაოდენობისა და ნიადაგის წყალგამტარიანობის მიხედვით).

41. გვალვიან რაიონებში, სადაც შეუძლებელია სარგავი მასალის მოურწყველად აღზრდა, სათესი კვლის მოწყობამდე, სანერგიის კვარტალების გასწვრივ გაყვანილი უნდა იქნეს სარწყავი არხები, რომელთა ორივე მხარეზე კეთდება კვლები.

კვლების მოწყობა და ბილიკების გაყვანა უნდა წარმოებდეს პარალელურად გაჭიმული ლარების საშუალებით, რომელთა ბოლოები პალოებზე მაგრდება.

42. სათესი კვლები უნდა გაკეთდეს 1,2 მეტრი სიგანისა იმ ანგარიშით, რომ კვალზე ყველა სამუშაო ჩატარდეს ბილიკიდან, კვალზე ფეხის დაუდგმელად.

კვლის სიგრძე უნდა იყოს საშუალოდ 20 მეტრი, მაგრამ

შეიძლება ფართობის კონფიგურაციასთან დაკავშირებით 5—25  
მეტრამდე იცვლებოდეს.

სათეს კვლებს შორის დარჩენილი მანძილი გამოიყენება არა მარტივი  
გორუ კვალთაშორისი ბილიკები, რომელთა სიგანე 30—40 სმ არ  
უნდა აღმატებოდეს. მაღალი კვლების მოწყობის შემთხვევაში  
კვალთაშორისი ბილიკები იქნება მათ დონეზე უფრო დაბლა, ხო-  
ლო დაბალი კვლების შემთხვევაში — კვლების დონეზე უფრო  
მაღლა.

43. კვლების მოწყობის შემდეგ წარმოებს ნიადაგის გულმოდ-  
გინე გაფხვიერება თოხით და ზედაპირის მოსწორება ფოცხით.

კვლის საბოლოო დამუშავების შემდეგ ზედაპირი სწორდება  
ფოცხით, ან იტკეპნება მსუბუქი საგორავით. კვლის ზედაპირი  
უნდა იყოს შეძლებისამებრ ჰორიზონტალური, რათა მორწყვის  
დროს წყალი ზედაპირზე არ გადადიოდეს.

რაც უფრო წვრილია თესლი, მით უფრო გულდასმით უნდა  
მოსწორდეს კვლის ზედაპირი; იმ შემთხვევაში, თუ სანერგე ფერ-  
ობაბზეა მოთავსებული, კვლები კეთდება ჰორიზონტალური მიმარ-  
თულებით.

დიდ სანერგეში მწერივებად ან ლენტისებრად თესვის დროს,  
ნიადაგის პირველადი და რიგთაშორისებში დამუშავების მექანიზა-  
ციის მიზნით, თესვამდე ორი-სამი კვირით ადრე, ნიადაგის საბო-  
ლოო თესვისწინა დამუშავებისათვის წარმოებს მისი გაფხვიერება  
დისკოებიანი ფარცხით.

44. სანერგებში თესვა წარმოებს რამდენიმე წესით:

- თესვა პირწმინდად;
- თესვა კვლებზე ლარებში;
- თესვა მწერივებში და
- თესვა ლენტისებრად.

თესვა პირწმინდად წარმოებს მაშინ, როდესაც ითესება მერ-  
ქნიანი მცენარეების წვრილი და მსუბუქი თესლი. კვლის ზედაპირი  
უნდა მოიტკეპნოს მსუბუქი საგორავით, რას შემდეგ თესლი მოიბ-  
ნევა ნიადაგის ზედაპირზე; მობნეული თესლი უნდა დაიფაროს  
ფხვიერი, წმინდად გაცრილი მიწის თხელი ფენით და შემდეგ  
მოირწყას.

პირწმინდად თესვა წარმოებს შემდეგი ჯიშებისათვის: თუ-  
თის, ჭაღრის, ვერხების, არყის, მურყნის, პავლოვნის, თელის, კრიპ-  
ტომერიის, კვიპაროზისა და სხვა მცირე ზომის თესლის თესვის  
დროს.

ვერხვების, თელების, ჭაღრისა და პავლოვნის თესლის თეს-

ვის შემდეგ არ არის საჭირო მათი მიწით დაფარვა. მათი თესლი ითესება წინასწარ დატენიანებულ ნიადაგზე, რომელიც მოჩრდილული უნდა იყოს ფარებით, როგორც ზემოღან ისე გვერდებიდან, პირწმინდად თესვას აწარმოებენ ხელით ან სპეციალური სათესით.

45. კვლებზე გარდიგარდმო დასათვეად აკეთებენ ღარებს, რისთვისაც გამოიყენება სათესი დაფა, სათესი ჩარჩო ან ლარტყებიანი საგორავი.

თესლის თანაბარი რაოდენობით დასათვესად გამოიყენება წინასწარ გამორწყული, განსაზღვრული ტევადობის ჰურჭელი (ტოლჩი, ყანწი, პატარა ვედრო და სხვა), რომელიც საკმარისია ერთი კვლის ან განსაზღვრული ფართობის მოსათვესად.

წვრილი თესლის თანაბარი თესვის მიზნით ჩათესვა უნდა წარმოებდეს 2—3-ჯერად. თითოეულ გარდიგარდმო ღარში უნდა ჩაითესოს განსაზღვრული წონის ან რაოდენობის (თუ თესლი მსხვილია) თესლი.

ხელით თესვის შემთხვევაში ღარში ჩათესილი თესლი უნდა დაიფაროს მიწით, რომელიც აიღება მწკრივთაშორისი ფართობიდან, ან სპეციალურად გამზადებული რაიმე სხვა მასალით (გაცრილი ფხვიერი მიწა, მდინარის სილა—თუ კვლები გაკეთებულია თიხიან ან უფრო მძიმე ნიადაგებზე, ან ითესება წვრილი თესლი).

ჩათესილი ღარების დაფარვის შემდეგ საჭიროა კვლის ზედაპირის მოტკეპნა ხის სპეციალური საგორავით, რაც ხელს უწყობს აღმონაცენის სწრაფ და ერთოანად გამოჩენას.

46. კვლებზე გასწვრივ თესვისას ღარების მონიშვნა წარმოებს მარკერით—ხის ფოცხით, რომლის კბილები დაშორებული უნდა იქნეს ერთმანეთისაგან საჭირო მანძილზე (10—15—20 სმ). თვით ღარები კეთდება ხელით, თოხის კუთხით ან პალოთი.

როგორც გარდიგარდმო, ისე გასწვრივი თესვის დროს ღარებს შორის დაცული უნდა იყოს 10—15—20 სმ მანძილი, რაც დამოკიდებულია ჯიშის ზრდის სისწრაფეზე და იმ პერიოდზე, რა ხნითაც გათვალისწინებულია ამ ჯიშის დატოვება. სათეს განყოფილებაში. ღარის სიგანე უნდა იყოს 2—5 სმ, რაც დამოკიდებულია თესლის სიმსხოზე და ჩათესვის სიხშირეზე.

47. მწკრივებად მექანიზებული თესვა იმაში გამოიხატება, რომ იგი წარმოებს სათესი ღარების წინასწარი მომზადების გარეშე, ფართობის დაფარცხვისა და მოსწორების დამთავრებისთანავე, ერთ ან მრავალმწერივიან სასოფლო-სამეურნეო სათესი სახნისიანი დისკოიანი მანქანებით.

მწკრივთაშორისი მანძილი უნდა უდრიდეს 30—45—60 სმ,

რაც დამოკიდებულია ჯიშის ზრდის სისწრაფეზე, რიგთაშორისებრის დამუშავებისათვის გათვალისწინებული მანქანა-იარაღებისა და წევის სახეზე.

მწყრივების 60 სმ დაშორება საშუალებას იძლევა ჩატორებული იქნებს ნათესების მექანიზებული მოვლა ცხენისა და ტრაქტორის წევის სხვადასხვა კულტივატორებისა და გამაფხვიერებლების გამოყენებით და თესლნერგების ამოლება კი—ამომთხრელი გუთნებით.

მწყრივებად მექანიზებული თესვა მისაღებია მეტიწილი ჯიშებისათვის, გარდა ძალიან წვრილ და მსუბუქ თესლიანებისა, როგორც, მაგალითად: არყის, მურყნის, ვერხვის, ჭადრის, თელის, პავლოვნის და ფრთიანი თესლების—ნეკერჩხლების, იფნის, ლორიოდენდრონისა და, აგრეთვე, ძალიან მსხვილი თესლებიდან—კაქლისა და წაბლის.

48. თესლის ლენტისებრი თესვა გამოიხატება იმაში, რომ თესლი ითესება 2—3—4—6 მწყრივიან ლენტებად. ლენტისებრი თესვის შემთხვევაში შესაძლებელია ნერგების აღზრდის ყველა ძირითადი საშუალების—თესვის, მოვლის და ნერგების ამოლების მექანიზებული წესით შესრულება, რაც თესლნერგის გამოსავლიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა და ამასთან ერთად ამცირებს სარგავი მასალის თვითლირებულებას. ლენტისებრი თესვისათვის უნდა გვქონდეს კარგად დაწრეტილი, ფხვიერი და გულდასმით მოსწორებული ფართობი.

რიგთაშორისი მანძილის სიღიდე, მცენარეებისათვის საჭირო საკეთები ფართობის მხედველობაში მიღებით, შეფარდებული უნდა იყოს სახეზე არსებულ მანქანა-იარაღებთან, რომლებიც გამოყენებული იქნება მოვლისა და სხვა სამუშაოების წარმოების დროს.

49. იმ შემთხვევაში, თუ თესლნერგების მოვლისა და მოთხრისათვის გამოყენებული იქნება ტრაქტორი, ლენტის სიგანე უნდა იყოს 75 სმ, ხოლო რიგთაშორისი მანძილი 60 სმ. ამ შემთხვევაში უფრო მოსახერხებელია ლენტისებრი ოთხმწყრივი თესვა, თუ მწყრივებშორის მანძილად აღებული იქნება 25 სმ (60—25—25—25—60 სმ), ან და I და II მწყრივს შორის 20 სმ, II—III მწყრივს შორის 35 სმ, III—IV მწყრივს შორის 20 სმ (60—20—35—20 60 სმ). ასეთი წესით თესვისას ნათესის მოვლისა და მოთხრის დროს ტრაქტორის გუთნის გამოყენებით, ტრაქტორის ბორბლები გაიღლიან რიგთაშორისი მანძილის (60 სმ) შუაში, 13—15 სმ დაცილებით მცენარეთა ნაპირა რიგებიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც სანერგეში თესლნერგის ამოლება

წარმოებს ამომთხრელი რკალით და მოვლა კი—ცხენის წევის კულტივატორებით ან ტრაქტორით, მაშინ თესვა უნდა წარმოებ დეს ორმწერივიან ლენტებად. ამასთან ლენტის რიგებს შორის დაცილება უნდა იყოს 60 სმ, ხოლო ლენტებში მწკრივებს შორის დაცილება 15 სმ.

თესვისათვის მიღებულმა წესმა უნდა უზრუნველყოს ფარ-თობზე თესლის თანაბარი განაწილება, რათა თითოეული აღმო-ნაცენი უზრუნველყოფილი იყოს მისთვის საქმაო საკვები ფარ-თობით, რომელიც შეესაბამება ამა თუ იმ ჯიშის მოთხოვნას მო-ცემულ პირობებში.

50. ამა თუ იმ ჯიშის მერქნიანი და ბუჩქნარი მცენარის თესვის გადა დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, თესლის მომწი-ფების დროზე. თუ სხვა პირობები ხელს გვიწყობს, თესვის საუკე-თესო ვადად ჩაითვლება თესლის მომწიფების დრო. ამიტომ მერქ-ნიან მცენარეთა თესვა სხვადასხვა დროს წარმოებს.

თესვის საუკეთესო დროდ მეტიწილი მცენარეებისათვის მიჩნეულია შემოდგომა. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ჯიშების თესლს, რომლებიც ხანგრძლივ სტრატიფიკაციას მოითხოვს. ზოგი-ერთი მცენარეები, რომელთა თესლები ძნელად ღივდება, უნდა დაითესოს აღრე შემოდგომაზე ან გაზაფხულის ბოლოს, თესლის შეგროვებისთანავე. ასეთი ჯიშის მცენარეების თესლების გვიან შემოდგომაზე დათესვის შემთხვევაში ხშირად მომავალ გაზაფხუ-ლისათვის აღმონაცენს ან სრულიად არ ვლებულობთ, ან და აღმო-ნაცენი ძალიან თხელია. ასეთ ჯიშებს მიეკუთვნება: კუნელი, რცხი-ლა, ჭანჭუატი მეჭეჭიანი, ბალი, ალუბალი, ქლიავი, კვრინჩხი, ზინდი, ძახველა. უხრავი, კაკალი შავი, რუხი, მანჯურიის, ცაც-ხეი, წყავი და სხვა.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ჯიშების თესლების თესვა შეგრო-ვებისთანავე არ ხერხდება, მაშინ თესლი შენახული უნდა იქნეს სილაში და დაითესოს უფრო გვიან-შემოდგომაზე, ან გაზაფხულზე.

51. ზოგიერთი ჯიშის თესლის შემოდგომაზე თესვა არ არის მიზანშეწონილი იმის გამო, რომ თესლი მღრღნელებისაგან ისპონა; ეს გარემოებაც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში თესვის დროის შერჩევისას. თავები აზიანებენ შემდეგი ჯიშის თესლებს: ფიქების, ნაძვის, მუხის, წაბლის, თხილის, კაკლის, ხეხილისა და სხვ.

ისეთი ჯიშები, რომელთა თესლიც აღვილად ღივდება წინას-წარი მომზადების გარეშე, ან რომელთა აღმონაცენიც ზიანდება გაზაფხულის გვიანი ყინვისაგან, სასურველია დაითესოს გაზაფხულ-ზე. ასეთ ჯიშებს მიეკუთვნება: მუხი, წაბლი, აკაცია, გლედიჩია, ნაძვი, სოჭი, კვიარაროზი, ცუგა, თუია, კატალპა და სხვა.

օմ մերժնուն չօშտա տյըլցին, հռմլցինց գախացես ծու-  
լուս դա նացես լոմլցին միուցեցին, աշրջապա, հռմելու տյէ-  
լցին օգրե յարցաց ալմուցենցին սնարս, սնճա դաստիս մշցրկու-  
ցինտանապա. այստ չօշեցին մոյցուառնեցին: զերիչո, ուղա, տաշտա,  
վուուլու և զերլունուացին ենցըրիենալու և սեցա.

գախացես տյէցա սնճա վարմուցինց հաւ մշումլցին օգրե,  
վեմշութրուցինց զագցին.

Մշումլցունուս տյէցու զագցին լավեցուցինց սնճա օյնես օմ զա-  
րայցու, հռմ տյէլու մոասթրուս մշումլցումա-ֆամտրուս պերուումի  
հուալցին մոմինցին դա յրտունաւ ամուցուցին գախացես լունին.

52. դասաւուս տյէլու սնճա ոյուս մալալու լուրսեցին, յարցո  
ալմուցենցին սնարս և զուլմուցունց զանուացեցուլու, դախարու-  
նեցուլու, զանուացուսուցուլունց նապոցու հօնուուլունուսացան.

մրացալու մերժնուն դա ծուինարու մւրենարու տյէլու, տոնճաւ  
զալուցցին սապացու նորուցինց մոտացեցեցուլու, դատուցու մշումլցին  
մամոնց ար լուցուցին, այստու չօշին տյէլու, գախացես լունին  
տյէցու մշումտեցու մուն, ալմուցունց յրտու ան որու վլուս մշումլցին  
ոյունու, վանքուրու, գլուցունու, ստեռցարու, կյունը և սեցա. ամուրու  
այստու տյէլուցին սմբացլցունու ոտյէցին մշումլցումանին, եռլու  
նոցուրու մատցանու—նացես լունին, ովլուսին ան ացցուսթունին, օմ անցա-  
րունուտ, հռմ ալմուցունց մոմացալ գախացես լունին.

53. օմ մոնինու, հռմ դաինարուց այստու տյէլուցին ալմուց-  
նեցին, սապուրու ամ տյէլուցին սատանաւու վիսու վոնասթարու մոմին-  
ցին սրուաթուցուպուու:

- ա) Երնուն սուլանին,
- բ) Որու վյուլուն դալինուու ան
- ց) Համուցուլուրուու.

Սրուաթուցուպուու Երնուն գամուսեաթուն մշումլցին: յրտ վուլ  
տյէլունին ալցուլու սնճա օյնես մծունարու գարցէիլու և գապուուլո  
սամու վուլու սուլու, տյէլու սնճա մշումուս ամ սուլանին դա դասցու-  
ցին վուլու սրուլ գայլունուամց. օմ մոնինու, հռմ յարցալ մոսցուց  
տյէլուս գայունայց զացին, սունես Եր դապուլու սնճա օյնես 4—8 դլուս գան-  
մացլունանին. գայունայց զացուլու տյէլուալ ոտցլուն օւստու, հռմլուս շուլո  
յլաս բուրուու և գաթուն դրուս ար օտացնեցին. ու սրուաթուցու-  
պուուսատցու օլուց ածրաւ մոյրուցու տյէլուս, մամոն ար արուս սապուրու  
գամուցուրուցու դա Երնուն զոնաւուն ան տաւու տյէլու սակմաւ հառու-  
նուն Երնուն մշումլցին. օմուս մշումլցին, հռմցուս պուսցու տյէլուս գա-  
յունայց զացին, տյէլուս դա սուլուս նարցու գամլուն տերել ոյենաւ նումերու  
Երնուն մուսապուլուցու պուրուն պուսցու և դա դցամեն սարգագունին. սար-

დაფუში დაცული უნდა იქნეს თანაბარი ტემპერატურა  $2-8^{\circ}\text{C}$ , ყუთები სტრატიფიკაციისათვის უნდა იყოს  $30-35$  სმ სიღრღის, ძრეზე უნდა ჰქონდეს ნახვრეტები ზედმეტი წყლის გასასვლელად ყუთის სიგრძე და სიგანე ისეთი უნდა იყოს, რომ ორ კაცს შეეძლოს სავსე ყუთის აჭევა და გადატანა.

სტრატიფიკირიბული თესლისათვის საჭიროა თანაბარი ტენიანობის დაცვა, რისთვისაც  $20-30$  დღეში ერთხელ უნდა წარმოებდეს მათი დასველება. თანაბარი დატენიანების მისალჟვად მიზანშეწონილია დასველების დროს თესლისა და სილის ამოღება ყუთებიდან, დასველების შემდეგ არევა და შემდეგ ისევ ყუთებში ჩაყრა.

იმ შემთხვევაში, თუ სტრატიფიკირებული თესლი დათესვის დროზე უფრო ადრე დაიწყებს გაღივებას, საჭიროა ტემპერატურის დაწევა  $1-2^{\circ}\text{C}$ , რისთვისაც ყუთები უნდა გადავიტანოთ თოვლევეში, ანდა გარეთ, ფარდულის ქვეშ, და აქ, თხრილში, რომლის სიღრმე უნდა იქნეს  $0,5-1,0$  მეტრი, მიეყაროს მიწა.

თოვლის მოსვლის დროს ყუთები უნდა გამოვიტანოთ სარდაფიდან. ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ ზომები თოვლის დნობის შესანელებლად, რომ არ მოხდეს თესლის ნააღრევი გაღივება. ამისათვის ყუთებზე თოვლს უმატებენ და ზემოდან აფარებენ ნამჯას, წიწვიანი ხის ტოტებს, ან ნახერს.

დიდი რაოდენობის თესლის სტრატიფიკაციის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი სტრატიფიკაცია ღია აღგიღზე, თხრილებში. სტრატიფიკაცია თხრილებში წარმოებს შემდეგი წესით: ჩრდილო ექსპოზიციის დაჩრდილულ და ამაღლებულ აღგიღს ამოიღება თხრილი და გადაისურება ფარდულით. თხრილის სიღრმე უნდა იყოს  $60$  სმ, სიგანე  $1$  მ, ხოლო სიგრძე ნებისმიერი, იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობის თესლის სტრატიფიკაციაა საჭირო. წყლის ჩადგომის თავიდან ასაცილებლად თხრილის ძირში  $25-30$  სმ სიმაღლეზე უნდა დაიფინოს ფიცრები. ამ ფიცრებზე დაიყრება ჯერ ტენიანი სილა, შემდეგ თესლისა და სილის წინასწარ გამზადებული ნარევი  $30-40$  სმ სიმაღლეზე. ნარევს, გამოშრობის თავიდან ასაცილებლად, ზემოდან უნდა გადაეფაროს  $30-40$  სმ სისქეში ტენიანი ხავსი ან ნამჯა, ხოლო ზამთარში  $25-30$  სმ სისქეში მიწა, ბორცვისებრად.

შემოდგომაზე, ყინვების დადგომამდე, სტრატიფიკირებულ თესლს განსაკუთრებული თვალყური უნდა გადევნოთ. უკეთესი აერაციისა და ნორმალური ტენიანობის დაცვის მიზნით საჭირო ყოველ  $20-30$  დღის შემდეგ მისი გადანიჩბარია. თხრილში წყალის

ჩადგომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ირგვლივ წყალამრიდი თხრილის გაკეთება, ძირში — კი იერაციისათვის, თაგვებისაგან ბარით დაცული ხვრელისა.

სტრატიფიკაცია საჭიროა არა მარტო იმ თესლისათვის, რომელსაც აქვს ხანგრძლივი სვენების პერიოდი; მოკლე ვაღიანი სტრატიფიკაცია საჭიროა ყველა თესლისათვის, რადგანაც იგი:

ა) აჩქარებს და ხელს უწყობს ერთდროულ თანაბარ გაღივებას,

ბ) ზოგიერთი ჯიშისათვის აღიდებს გრუნტული გალივების უნარს,

გ) აღიდებს სარგავი მასალის გამოსავლიანობას და

ე) აჩქარებს ზოგიერთი ჯიშის ზრდას.

მთელი რიგი წიწვიანი ჯიშების თესლის თესვის წინ 1—5 დღემდე მდინარის წყალში დალბობა, მშრალი თესლის დათვებასთან შედარებით, საგრძნობლად ზრდის გრუნტული გაღივების უნარს და ხელს უწყობს ერთდროულ აღმოცენებას.

მთელი რიგი პარკოსანი მცენარეების, როგორიცაა — თეთრი აკაცია, გლედიჩია და სხვა, გაღივების დასაჩქარებლად გამოიყენებენ თესლის დამდუღვრას. დამდუღვრა წარმოებს შემდეგი წესით: თესლი დათვევის წინ უნდა მოთავსდეს ხის კასრებში და დავასხათ მდუღარე წყალი; წყლის დასხმის პროცესში თესლი უნდა აირიოს. ამის შემდეგ, ამავე ჰურგელზე თესლს ვტოვებთ 1—2 დღის განმავლობაში. ამ პერიოდში ხდება თესლის გაჯირჯვება. ასეთი თესლი მზად არის დასათესად.

54. ამა თუ იმ თესლის თესვის ნორმები დამოკიდებულია თესლნერგის კვების ფართობზე, მის აღზრდის ტექნიკაზე და სათესი მასალის ხარისხზე.

დასათესად განკუთვნილი თესლი უნდა იყოს კარგი ღირსების, უპასუხებდეს სტანდარტის მოთხოვნილებას, შემოწმებული უნდა იყოს თესლის საკონტროლო ლაბორატორიაში და უნდა ჰქონდეს სათანადო პასპორტი — სერტიფიკატი.

თესვის ნორმის გაანგარიშების ღროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ თესლის საგრუნტო აღმოცენების უნარი ყოველთვის ნაკლებია ლაბორატორიულზე, განსაკუთრებით კი წვრილი თესლებისა; ამიტომ თესვის ნორმა ფართობის ერთეულზე სათანადო უნდა იქნეს გადიდებული (თესვის ნორმა 1 გრძივ მეტრზე მოცემულია დანართში).

55. თესლის ჩათვესვის სიღრმე დამოკიდებულია თესლის სიმსხოზე და ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე. მსხვილი თესლი ითე-

სება შედარებით უფრო ღრმად ვიდრე წვრილი. მსუბუქ და საკმაოდ ფხვიერ ნიადაგებზე, იმის გამო, რომ ასეთი ნიადაგის ზედაპირი ადგილად გამოშრება, თესლი ითესება მძიმე წიაღაგებთან შედარებით უფრო მეტ სიღრმეზე. როგორც წესი, მშრალ ნიადაგებში ჩათესვის სიღრმე თღნავ გადიდებული უნდა იქნეს.

56. ისეთი თესლის ჩათესვის ღროს, რომელსაც ლებნები ზემოთ ამოსდევს (წიწვიანები და ზოგიერთი ფოთლიანი ჯიში), მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ლებნის ქვემთა მუხლის სიღიდე. ასეთი თესლის ჩათესვა მუხლის საშუალო სიგრძეზე უფრო ღრმად არ არის დასაშვები.

ჩათესვის სიღრმე ცალკეული მერქნიანი ჯიშების თესლისათვის მათი ზომისადა მიხედვით საშუალოდ შემდეგი უნდა იყოს:

ა) ყველაზე წვრილი თესლი: ოელა, პავლოვნია, არყი, ვერხვი, ჭადარი, თხმელა, ტირიფი—ითესება კვლის ზედაპირზე მიწის მიუყრელად, ან თღნავ უნდა გადაეყაროს სილა;

ბ) წვრილი თესლი: თუთა, თრიმლი, ჭაცვი, ბზა, კოწახური, კრიპტომერია, საქვია, კვიპაროზი, თუთა გიგანტური და დასავლეთის—ითესება 0,5—1,0 სმ სიღრმეზე. ფიტვები—ჩვეულებრივი. ვეიმუტის, ყირიმის, ელდარის, ზღვისპირის, ნაძვი, თუთა, ასკილი, თუთუბო—1,0—2,0 სმ სიღრმეზე;

გ) საშუალო ზომის თესლი: თეთრი და ყვითელი აქაცია, იუდას ხე, მაჯალო, პანტა, ჭანჭუარი, შინდანწლა, ცაცხვი, კატალ-ზა, სოჭი, კედარი, კვიდო, ძელქვა, კუნელი 2—3 სმ სიღრმეზე;

დ) ფრთიანი თესლი: ნეკერჩალი, იფანი, რცხილა, ხეტიოტა (ტიულპანის ხე) და შედარებით მსხვილი თესლი: გლედიჩია, ფშატი, ალუბალი, ბალი, ხურმა, სოფორა, ქაფური, შინდი, უხრავი, ძელქვა, აკაკი, ირალიური ფიტვი, დათვთხილა, ჭაობის კვიპაროზი, წყავი 3—4 სმ სიღრმეზე;

ე) მსხვილი თესლი: ჭერამი, ატამი, ალუჩა, კვრინჩი, თხილი, დაფნა, წიფელი უნდა ჩაითესოს 5 სმ სიღრმეზე,

ვ) რკო, წაბლი, კაკალი, პეკანი 6—8 სმ სიღრმეზე.

გვალვიან ადგილებში და, აგრეთვე, ქვიშნარ ნიადაგებზე, საღაც გაზაფხულის პერიოდში სწრაფად ხდება ნიადაგის ზედაპირის გამოშრობა და ჭარის მიერ ნიადაგის გადატანა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ჩათესვის სიღრმე შედარებით უნდა გადიდდეს.

იმ ნაკვეთებზე, საღაც შემოღებულია ნათესის დამულჩა, ამათუ იმ თესლის ჩათესვის სიღრმე დაუფარავ ადგილთან შედარებით უნდა შეცკირდეს.

57. მშრალ პირობებში ნათესის მოვლა მიმართული უნდა იყოს უმთავრესად იქითკენ, რომ რაც შეიძლება მომჭირნეობით დაიხარჯოს ნიაღაგის ტენი და მოისპოს სარეველა ბალახები. ტენიან და შედარებით გრილ რაიონებში დიდი მნიშვნელობა აქვს სითბოს რეეიმის წესიერ რეგულირებასა და ნიაღაგში აერაციის გაუმჯობესებას, რაც მიღწეული იქნება ჭარბი ტენის მოცილებით. ეს ხელს შეუწყობს აგრეთვე მიკრობიოლოგიური პროცესების განვითარებას და სარეველებთან ბრძოლას.

ქლიმატურ-ნიაღაგურ პირობებთან, და ამა თუ იმ ჯიშის თავისებურებასთან შეფარდებით, გამოყენებული უნდა იქნეს მოვლის შემდეგი სახეები:

1. გამარგვლა-გაფხვიერება;
2. ნიაღაგის დაფარვა (დამულჩვა);
3. აღმონაცენის მოჩრდილვა;
4. თოვლის დაკავება;
5. მორწყვა;
6. გამოხშირვა;
7. ყინვის მიერ ამოწნევისაგან დაცვა და
8. ნიაღაგში სასუქის შეტანა.

ნიაღაგის გამარგვლა-გაფხვიერება ნათესის მოვლის ძირითადი ლონისძიებაა. როგორც წესი, ფართობი ნათესის მწერივებს შორის უნდა იყოს გაწმენდილი სარეველა ბალახებისაგან და გაფხვიერებული.

ერთწლიან ნათესებში მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში გამარგვლა-გაფხვიერება უნდა ვაწარმოოთ 5—6-ჯერ, ხოლო ორწლიანში, არა ნაკლებ 4—5-სა.

განსაკუთრებით გულმოღინე მოვლა უნდა წარმოებდეს ზაფხულის პირველ ნახევარში, როდესაც ინტენსიურად ვითარდება სარეველა ბალახები და ნიაღაგის ზედაპირზე წარმოშობილი ნიაღაგის ქერქი დამლუპველ გავლენას ახდენს ახლად აღმოცენებულ მერქნიან და ბუჩქნარ მცენარეებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სარეველა ბალახეულის დროულად მოისპობას. გამარგვლა უნდა ჩატარდეს სარეველების აღმოცენებისთანავე, ე. ი. არ უნდა მიექცეს ბალახეულს განვითარების საშუალება. სარეველების მარგვლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სარეველებთან ერთად არ მოითხაროს, ან არ დაზიანდეს დათესილ მცენარეთა აღმონაცენი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ნიაღაგის ზედაპირზე წარმოშობილი ქერქის გაზაფხულის პერიოდში დროულად გაფხვიერებას, განსა-

კუთრებით იმ ფართობებზე, რომლებზედაც თესვა ჩატარებული იყო შემოდგომით. თესლის გაღივების პროცესში, თუ აღმონაცენს ზედაპირზე დახვდება ქერქი, შეიძლება მან ვერ გაქვეთოს. ქმრქი და ჩარჩეს აღმოუცენებლად. წვრილი თესლით (წიწვიანების, თუ-თის, ჭადრის, პავლოვნიის და სხვა) დათესილი კვალის ზედაპირის გაფხვიერება უნდა წარმოებდეს მსუბუქი თოხით ან ფოცხის ზურ-გით. იქ კი, სადაც თესლი ჩათესილია მნიშვნელოვან სიღრმეზე (მუხა, კეკალი, წაბლი, იფანი, ალუჩია, ფშატი და სხვა), ქერქის გაფხვიერება შეიძლება ვაწარმოოთ სპეციალური საგორავებით, ცხენის ფოცხებით და მსუბუქი კბილებიანი ფარცხით. ქერქის ამ საშუალებებით გაფხვიერებების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რათა თესლი არ იქნეს ამოყრილი. წვიმის ან მორწყევის შემდეგ ნიადაგის ზედაპირზე წარმოშობილი ქერქი მაშინვე უნდა გაფხვიერდეს.

უკვლებოდ, მწკრივებად წარმოებული თესვის პირობებში რიგთაშორის ფართობზე ნიადაგის გაფხვიერება ტრაქტორის ან ცხენის კულტივატორის საშუალებით წარმოებს.

58. ნიადაგის დაფარება (დამულება). რიგი ჯიშებისათვის, დროული აღმოცენებისა და აღმონაცენის ზრდის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით წვრილთესლიანი ჯიშებისათვის, გამოყენებული უნდა იქნეს ჩათესვის შემდეგ ნიადაგის დაფარვა რაიმე მკედარი საფარით, რომელსაც მიეკუთვნება: ხავსი, ტორფი, ნამჯა, მულჩქალდი და სხვ.

საფარის დადებით მხარეებად უნდა ჩაითვალოს:

- ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლების შემცირება;
- სარეველა ბალახების განვითარების შემცირება, რის შედეგადაც თავიდან აცილებული იქნება ზედმეტი მარგვლა;
- ნიადაგის ზედაპირის დაცვა გადარეცხვისაგან და ქერქის წარმოშობისაგან;

დ) ნიადაგში სითბოს რეჟიმის თანაბრობის დამყარება.

საფარის სისქე მეტი უნდა იყოს შემოდგომის ნათესებისათვის.

გაზაფხულზე საჭიროა საფარის სისქის რეგულირება, მისი გათხელება, განსაკუთრებით ცივ და წვიმიან ამინდებში, ვინაიდან დატექნილი, გამკვრივებული საფარი ნიადაგის ტემპერატურას დაბლა სწევს, რაც აბრკოლებს აღმოცენებას.

აღმოცენების დაწყებისთანავე საფარი თანდათან უნდა მოვა-ცილოთ მწკრივებს. მწკრივებიდან საფარის მოცილება უნდა წარ-მოებდეს თავის დროზე და არ უნდა დაგუშვათ, რომ აღმონაცენი

ამოვიდეს საფარში. ასეთი აღმონაცენი არასაიმედოა და მზის სხივების გავლენით ადვილად იღუპება.

მას შემდეგ, როდესაც აღმონაცენი მომაგრდება, საფარო უნდა გადაიწიოს რიგთაშორისში ან მთლიანად მოცილდეს. იმ მერქნიანი ჯიშებისათვის, რომლებსაც ნაზი აღმონაცენი და პირველ პერიოდში სუსტი დაფესვიანება ახასიათებს (ფიჭვი, კრიპტომერია, კვიპაროზი, ცაცხვი, ჭანჭყატი და სხვა), საფარის შეკრივთაშორისში გადატანა ხელს უწყობს აგრეთვე აღმონაცენის დაცვას მზის სხივებისა და მშრალი ქარების მავნე მოქმედებისაგან (თუ საჩრდილავი ფარები არ არის გამოყენებული).

59. ნათესის მოჩრდილვას მიმართავენ იმ მიზნით, რომ თესლ-ნერგს ცხელ და მშრალ დღეებში არ მოეწვას ფეხვის ყელი.

მოჩრდილვას აწარმოებენ ტკეჩის, ტირიფის ჭნელის, ლერწ-მის და სხვა ასეთი მასალისაგან გაკეთებული ფარებით, რომლებ-შიაც ჩრდილისა და სინათლის შეფარდება უნდა იყოს 1:1-თან.

ფარების უქონლობის შემთხვევაში მოჩრდილვისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფოთლიანი ან წიწვიანი ჯიშების შეფოთლილი ოოტები; აქაც დაცული უნდა იყოს სინათლისა და ჩრდილის იგივე შეფარდება, ე. ი. 1:1-თან, თუმცა ასეთი მოჩრდილვა იმის გამო, რომ ოოტებზე სწრაფად ხდება ფოთლების შეხმობა და ჩამოცვინა ნაკლებად ეფუძნულია.

ფარები დაყრენებული უნდა იქნეს ჰორიზონტალურად 4 საყრდენზე 20—30 სმ სიმაღლის დაცილებით კვლის ან დათესილი ლენტის ნიაღავის ზედაპირიდან; ფარები საყრდენებზე უნდა მიეზაგროს, რომ ქარმა არ ჩამოაგდოს.

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროება მოითხოვს აღმონაცენის გვერდითს დაჩრდილვას სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, ფარები დაყრენებული უნდა იქნეს 45° დახრით.

აღმონაცენის მოჩრდილვას მიმართავენ შემდეგი ჯიშებისათვის: ფიჭვის, არყის, ვერხვის, ჭაღრის, ცაცხვის, ჭანჭყატის, კრიპტომერიის, კვიპაროზის, სოჭის, ნაძვის, სექვოიას, პავლოვნიას, გიგანტურ და დასავლეთის ტუიასთვის.

მოჩრდილვა აღმონაცენს ყველაზე უფრო მეტად ესაჭიროება იმ პერიოდში, როდესაც აღმონაცენი ჯერ კიდევ არ არის მომაგრებული და ფეხვის ყელზე ქერქი ჯერ არ გახევებულა. ამ პერიოდის ხანგრძლიობა სხვადასხვა ჯიშისათვის უდრის 20-დან 50 დღემდე. უნდა გვახსოვდეს, რომ მოჩრდილვის ხანგრძლიობა შედლებისამებრ მოქლე უნდა იყოს, ვინაიდან მოჩრდილვა ასუსტებს

შცენარის განვითარებას. ღრუბლიან ამინდში ფარები უნდა მოიხსნას.

ზემოაღნიშნული მოჩრდილვის პერიოდის შემდეგ მცენარე დღის სრულ სინათლეს უნდა შევაჩვიოთ თანდათანობით; ამ მიზნით ფარები პერიოდულად უნდა იხდებოდეს დილით 11 საათამდე და ნაშუადღევს 16—17 საათიდან. მოჩრდილვის პერიოდი თანდათან უნდა მცირდებოდეს. ასეთი მოჩრდილვის 7—10 დღის შემდეგ ფარები სრულიად მოიხსნება.

60. კვლებზე თოვლის დაკავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ველიანი და ტყეველიანი ზონისათვის, სადაც მშრალ შემოდგომაზე თოვლის საფარი თხელია და იცის ყინვები. ამ პირობებისათვის თოვლის საფარის გადიდება და მისი დონობის პერიოდის გახანგრძლივება ხელს შეუწყობს ნათესის დათბუნებას და ძლიერი ყინვებისაგან დაცვას.

სანერგებში თოვლის დაკავება ხდება სანერგის ტერიტორიაზე განლაგებული ქარსაფარი ზოლების ქსელის საშუალებით; თოვლი შეიძლება დავაკავოთ აგრეთვე ქარის მოძრაობის საწინააღმდეგოდ დროებითი წინაღობების დადგმით. წინაღობებად შეძლება გამოვიყენოთ ფარები, მცენარეთა მაღალი ღეროები, ნამჯის კონები, თოვლის გროვები და სხვა. ერთ პექტარ სანერგეზე უნდა დაიდგას, დაახლოებით, 100 ფარი, რომლებიც თოვლის დაგროვების შემდეგ გადაიდგმება მეორე ადგილას.

61. რწყვა ტყის სანერგებში, როგორც წესი, არ არის მიღებული და უნდა შეიცვალოს ნიადაგის გათხვიერებით, ვინაიდან რწყვა იწვევს სარგავი მასალის განახებას.

რწყვა გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში ზოგიერთ მერქნიან მცენარეთა აღსაზრდელად, განსაკუთრებით მშრალ და გვალვიანი რაიონების სანერგებში, სადაც ნიადაგი ნაკლებ ტენიანია.

რწყვა წარმოებს სპეციალური მაწვიმარი დანადგარებით, წყლის მიშვებით და სარწყავების საშუალებით.

ტყის სანერგებისათვის გამოსაყენებელია მოძრავი სატრაქტორო მაწვიმარი აგრეგატი DDII—30-c.

62. მიშვებით რწყვა უნდა წარმოებდეს სარწყავი რუების საშუალებით. რუებით რწყვა წარმოებს მცირე დაქანების თიხნარ ნიადაგებზე (0.002-დან 0.02%-მდე).

ასეთი რწყვის ღრუს წყალი სარწყავ ფართობზე ნაწილდება რუების საშუალებით, რომლებიც იქვებება განმანაწილებელი არხიდან.

მანძილი სარწყავ რუებს შორის განისაზღვრება ნიადაგის

შექანიური შედგენილობითა და მუშაობის შექანიზებული წესით ჩატარების შესაძლებლობით: ქვიშნარ ნიაღაგებზე მანძილი რუებს უდიდეს 70 სმ, ხოლო თიხნარ ნიაღაგებზე გადაკიცებული უნდა იქნეს 80 სმ-დე.

რუების სიგრძე დაქანებასთან და ნიაღაგის წყალგამტარიანობასთან დაკავშირებით უნდა იყოს 50—100 მეტრამდე; რაც უფრო ნაკლებია ნიაღაგის წყალგამტარიანობა და დაქანება, მით უფრო გრძელი უნდა იქნეს სარწყავი რუ. მცენარეთა რიგებს შორის 12—20 სმ სიღრმის რუ ამოიღება ცხენის „მიწის მიმყრელით“ ან „რუს მქეთებლით“. წყლის დინების სისწრაფე არ უნდა აღემატებოდეს 0.3 მეტრს წამში.

63. რწყვის ნორმები და გადები დამოკიდებულია ნიაღაგის ჰიდრო-ფიზიკურ თვისებებზე, გამოყენებულ აგროტექნიკაზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე და ნათესი ჯიშების ბიოლოგიურ თვისებებზე.

რწყვას აწარმოებენ:

- დათესვის წინ,
- დათესვის შემდეგ და
- მასობრივი აღმოცენების შემდეგ, ენერგიული ზრდის პერიოდში.

თესვისწინა რწყვა, რომელიც გამოიყენება მშრალ რაიონებში, ხოლო წვრილი თესლისათვის კი ყველგან, უნდა ჩატარდეს იმ ანგარიშით, რომ ნიაღაგის ფენა 30 სმ სიღრმემდე დასველდეს.

თესვის შემდეგ მორწყვის მიზანია ნათესის ერთოდროული აღმოცენებისათვის ხელის შეწყობა; ასეთი მორწყვა ხასიათდება წყლის ნაკლები ხარჯვით, მაგრამ მეტი სიხშირით (2—3 დღეში ერთხელ). ამ შემთხვევაში მაწვიმარებისა და სარწყაფებისათვის გაანგარიშებული უნდა იყოს წყლის ის რაოდენობა, რომელიც საკმარისია ნიაღაგის 10 სანტიმეტრამდე დატენიანებისათვის.

მორწყვა აღმონაცენის გამოჩენის შემდეგ, თესლნერგის ზრდის პერიოდში, წარმოებს შედარებით იშვიათად, მაგრამ უფრო მაღალი ნორმებით, იმ ანგარიშით, რომ ნიაღაგი დატენიანდეს 30 სმ სიღრმეზე, ე. ი. ფენის იმ სიღრმეზე, საღაც გვერდითი ფესვების ძირითადი მასა ვითარდება.

მორწყვა აუცილებელია შემდეგი ჯიშების აღზრდის დროს: არყის, წიწვიანების, თელის, ვერხვის, ჭაღრის, პავლოვნის, ცაცხვის, ჭანჭყარის და სხვა წვრილთესლიანების. მორწყვის საუკეთესო დროთ თვლება დილა—9 საათამდე. არ არის კარგი ცივი ჭის

წყლით მორწყვა. უნდა გამოყენებული იქნეს მზისაგან გამთბარი, წვრილ წყალსატევებში ან კასრებში დაგროვებული წყალი. ქვემოთ მოგვყავს სხვადასხვა მექანიკური შეღვენილობის ნიაზ დაგებისათვის მორწყვის სავარაუდო ნორმები:

	მორწყვის ნორმა კუბურ მეტრებში 1 ჰექტარზე ნიადაგის დატენიანები- სათვის სილრმით:		
	10 სმ-დე	20 სმ-დე	30 სმ-დე
ქვიშნარი . . . . . . . . . . . .	100	150	230
მსუბუქი თიხნარი . . . . . . . .	130	270	360
საშუალო თიხნარი . . . . . . . .	170	290	430
მძიმე თიხნარი . . . . . . . .	250	400	500

64. ნათესების გამოხშირების მიზანია მათი დროულად და- უვანა სიხშირის ოპტიმუმამდე, რომლის დროსაც ისინი უკეთესად ვითარდება და ადრე აღწევენ გამერქნებას.

ნათესის გამოხშირება უნდა წარმოებდეს თანდათანბით, ორ ვადაში, მას შემდეგ, რაც წიწვიანები განავითარებენ პირველ გან- შტოებას (ეს პერიოდი დგება, დაახლოებით, აღმოცენებიდან 1—1,5 თვის შემდეგ), ხოლო ფოთლიანები—პირველ ორ წევილ ნორმალურ ფოთლოლს.

გამოხშირება წარმოებს იმ ანგარიშით, რომ ნათესის მწკრი- ვის ერთ გრძივ მეტრზე დატენება 40—100-მდე ყველაზე უფრო გან- ვითარებული წიწვიანი მცენარე, ხოლო ფოთლიანი 20—50, ზოგი კი 100 ცალამდე (მაგ. არყი), რაც დამოკიდებულია ზრდის სის- წრაფეზე და ჯიშის ბიოლოგიურ თვისებებზე.

გამოხშირების დროს მოცილებული უნდა იქნეს სუსტი და ნაკლებად განვითარებული აღმონაცენი. გამოხშირება უნდა დაუ- კავშირდეს ნიადაგის გაფხვიერებას.

სათეს განცოფილებაში თესლნერგი რჩება 1 ან 2 სავეგეტა- ციონ პერიოდში, რაც დამოკიდებულია მცენარის ზრდის სისწრა- ფეზე და სარგავი მასალისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე. ამ პერი- ოდის შემდეგ თესლნერგი ამოითხრება მუდმივ ფართობზე ან სა- ნერგის სასკოლო განცოფილებაში გადასატანად.

65. ნათესის დაცვა ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში. ზამთარ- გაზაფხულზე სანერგებში ხშირად აღილი აქვს ყინვისაგან თესლ- ნერგის ნიადაგიდან ამოწევებას; ასეთი მოვლენა ხშირია დატენია- ნებულ და მექანიკური შეღვენილობით მძიმე ნიადაგებზე.

ამ მოვლენის ასაცდენად საჭიროა:

ა) პირებულყოვლისა სანერგეში სათესი განყოფილება არ უნდა მოეწყოს ისეთ ადგილებში, სადაც თესლნერგის ამოწნევის საშიშროებაა; ასეთ ადგილებს მიეკუთხნება: ჩადაბლებული, ჭარბად დატენიანებული, მექანიკური შედგენილობით მძიმე ნიადაგებიანი ფართობები;

ბ) მაღლობ და ღია ადგილებზე მიღებული უნდა იქნეს ზომები სანერგის ტერიტორიაზე თოვლის დასაკავებლად;

გ) ოქტომბერში გაღრმავებული უნდა იქნეს კვალთაშორისი ბილიკები იმგვარად, რომ კვალი 20 სმ-ით უფრო მაღლა იყოს. ეს ლონისძიება ხელს შეუწყობს კვალიდან ჭარბი წყლის დაწრეტას;

დ) გაყინვის შედეგად ნიადაგის ამოწნევის (რასაც თესლნერგის ამოწნევაც მოსდევს) ასაცდენად ჭარბი წყლის დაწრეტის გარდა, სექტემბერში კვალი უნდა დავტოვოთ გაუმარგლავად; დარჩენილი სარეველების ხშირი ფესვები შეაჩერებს ნიადაგის და, მაშასადამე, თესლნერგის ამოწნევას;

ე) კვალთაშორისი ბილიკების გაღრმავების შედეგად მიღებული მიწა უნდა დაიყაროს კვალზე სათეს მწერივებს ზუა 2—3 სმ სისქით, მწერივებს შორის ჩამატებული მიწა დაცილებული უნდა იყოს თესლნერგების მწერივებიდან 2—3 სმ-ით ორივე შხრიდან;

ვ) თუ აღნიშნული ლონისძიებების ჩატარება ვერ მოესწრო, ან არ ხერხდება, და მოსალოდნელია თესლნერგის მასობრივი ამოწნევა, მაშინ თესლნერგი უნდა მოითხაროს მთლიანად ნოემბერში და მიიფლას სპეციალურად შერჩეულ ფართობზე.

66. სანერგის ნიადაგში სასუქის შეტანა. სანერგეში აღზრდალი მცენარეები (თესლნერგები ან ნერგები) ნიადაგიდან ყოველწლიურად მნიშვნელოვანი რაოდენობით იღებენ მინერალურ ნივთიერებებს: კალიუმს, ფოსფორს, აზოტს, კალიუმს და სხვ.

ერთიდამავე ფართობზე რომელიმე ჯიშის ხანგრძლივად აღზრდის გამო ნიადაგის გამოფიტვა რომ არ მოხდეს, მიზანშეწონილია, განსაკუთრებით მუდმივ სანერგებში, თესლბრუნვის ან ჯიშთა ცვლის (სხვადასხვა კულტურების მორიგეობა) შემოღება, ფართობის ანეულად დატოვება და ფართობში სასუქის შეტანა.

ნიადაგის ანეულად დატოვება იმაში გამოიხატება, რომ სანერგის სათესი ან სასკოლო განყოფილებიდან, თესლნერგების ან ნერგების მოთხრის შემდეგ, ამ ფართობს ერთი ან ორი წლით ტოვებენ ანეულად, ან გასცემენ სასოფლო-სამეურნეო სათოხი კულტურებისათვის გამოსაყენებლად.

ჯიშთა ცვლა ან კულტურების მორიგეობა იმაში მდგომა-  
რეობს, რომ სანერგიის ერთსა და იმავე ფართობზე რამდენიმე ხნის  
განმავლობაში არ უნდა ითესებოდეს ერთი და იგივე ჯიში; არა-  
მედ უნდა წარმოებდეს საკეთი მასალის და ტენის სხვადასხვა მო-  
თხოვნის ჯიშების მორიგეობა.

ნიადაგის განაყოფიერებისა და მისი ფიზიური თვისებების  
გაუმჯობესების ღონისძიებად ითვლება, აგრეთვე, თესლბრუნვა  
ანუ ჯიშთა ცვლა აზოტის შემგროვებელი (სილერატი) ბალახეული  
მცენარეების შეტანითაც.

67. თესლბრუნვა ყოველი სანერგიისთვის შემუშავებული უნდა  
იქნეს გამომდინარე სარგავი მასალის აღზრდის საგეგმო დაგალე-  
ბიდან და ადგილობრივი ნიადაგისა და ჰავის, სამეურნეო, და სხვა  
პირობათა მხედველობაში მიღებით.

თესლბრუნვის სქემების შედგენისას დაცული უნდა იქნეს  
შემდეგი ძირითადი დებულებები:

1. განვითარების პირველ წელიწადში შედარებით მოკლე-  
ფესვის გამტანი ჯიშები უნდა მოთავსდეს სუფთა ანულებზე, ხო-  
ლო გრძელი ფესვის გამტანი—ბალახოვან ბელტზე;

2. ერთი და იგივე ჯიში განმეორებით არ უნდა დაითესოს  
ერთი და იმავე ნაკვეთზე თესლბრუნვის პერიოდში;

3. თესლნერებების დაავადების თავიდან აცილების მიზნით,  
ერთი და იგივე ჯიშის ნათესები (განსაკუთრებით წიწვიანებისა),  
რამდენადაც შესაძლებელია, უნდა მოვათავსოთ იმ ადგილიდან  
მოშორებით, სადაც წარმოებდა თესვა წინა წელს;

4. მოხერხებული მომსახურების მიზნით ერთი და იგივე  
ხნივანებაში ამოსალები ჯიშების (ერთი ან ორწლიანი) ნათესები  
უნდა იქნეს მოთავსებული ერთ ადგილას;

5. ნიადაგისა და ქლიმატური პირობების მიხედვით თესლ-  
ბრუნვა ახლად ათვისებულ ფართობებზე უნდა დავიწყოთ პარკო-  
სანი და მარცვლეული, მრავალწლიანი ან ერთწლიანი ბალახების  
თესვით.

68. ტყის მუდმივ სანერგებში გამოიყენება: მინერალური,  
ორგანული და შერეული სასუქები. მინერალური სასუქებიდან  
გამოიყენება: ამონიუმის გვარჯილა, ამონიუმის სულფატი, სუპერ-  
ფოსფატი, ფოსფორიტის ფქვილი, კალიუმის მარილი და აგრეთვე  
ნაცარი, კირი, მერგელი, თომასის წილა, კაინიტი და სხვ.

მევე ნიადაგებში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი კირი  
ძირითადი მზრალი ხვნის წინ. ამისათვის ნაკვეთზე მოაპნევენ

დამტვრეულს ან დაფქულ კირქვას ან ფხვიერ კირს. კირის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება ნიადაგის ჰიდროლიტური სტრუქტურის ანალიზით. საშუალოდ 1 ჰეტარზე შეტანილი უნდა იქნეს 7 ტონამდე კირქვა. კირის შეტანა უნდა გამოირდეს 6—8 წლის შემდეგ.

ნიადაგის ნაყოფიერებისა და კულტურების მინერალური ნივთიერებების მოთხოვნის მიხედვით, თესლნერგების აღზრდის დროს 1 ჰეტარ სანერგის ფართობზე შეტანილი უნდა იქნეს: № — 80—120 კგ. P<sub>2</sub>O<sub>5</sub> — 70—100 კგ და K<sub>2</sub>O — 50—75 კგ (გოგირდმეავა ამონიუმი 400—600 კგ, სუპერფოსფატი 275—400 კგ, ქლორიანი კალიუმი 125—200 კგ).

მინერალური სასუქები შეტანილი უნდა იქნეს ორჯერად: დათესვამდე 10 სმ სიღრმეზე (ნახევარი ნორმა) და აღმოცენების შემდეგ მუქრივებს შორის ნიადაგის ზედაპირზე.

ფოსფორმეავას და კალიუმის მინერალური სასუქები ნიადაგში შეაქვთ შემოდგომით, ვინაიდან მათ ახასიათებთ ნიადაგში სუსტი გადასვლა და საჭიროა მათი ღრმად შეტანა, რათა ფევებმა ადვილად შეითვისონ.

აზოტოვანი მინერალური სასუქები შეაქვთ მხოლოდ გაზაფხულზე და ორჯერად: 50—60% თესვის წინ, ხოლო დანარჩენი 40—50% ერთი-ერთნახევარი თვის შემდეგ თხევადი საკვების სახით, ეს იმ პერიოდში, როდესაც აღმონაცენს განსაკუთრებით ესაჭიროება ადვილად ასათვისებელი საკვები ნივთიერება.

ნიადაგში ორგანული სასუქების საკმაო რაოდენობით შეტანის შემთხვევაში მიზანშეწონილია დამატებით შევიტანოთ სრული მინერალური სასუქების შემდეგი დოზა: ეწერი ნიადაგებისათვის 80—100 კგ ერთ ჰეტარზე, ხოლო სხვა ნიადაგებისათვის 60—70 კილოგრამიმდე.

მშრალი მინერალური სასუქები ნიადაგში შეაქვთ სპეციალური სასუქის საპრენერი მოწყობილობით ან, ასეთის უქონლობის შემთხვევაში, და აგრეთვე კვლებზე—ხელით.

ფართობზე სასუქის თანაბარი განაწილების მიზნით მოპნევის წინ მინერალური სასუქი უნდა დაითშვნას და გაიცრას 0.5 სმ დიამეტრის. ნახვრეტებიან საკერში.

69. მინერალური სასუქის თხევად მდგრმარეობაში შეტანის შემთხვევაში უნდა მომზადდეს ხსნარი: სასუქის წყალში ხსნადობა დამოკიდებულია სასუქის თვისებებზე და წყლის ტემპერატურაზე. მაგ., ამონიუმის გვარჯილის გასახსნელად სასუქის ერთ წონითს

ჭილზე, ტემპერატურის მიხედვით, ალებული უნდა იქნეს 0,5—1,2-მდე წილი წყალი.

გოგირდმეული ამონიუმის ხსნაღობა შედარებით უფრო დაბაზულია, რისთვისაც ერთ წილ გოგირდმეული ამონიუმისათვის იღებენ 1,3—1,5-მდე წილ წყალს. კალიუმის სასუქის ხსნარის მისაღებად (40—30% კალიუმის მარილი) ერთ წილ სასუქზე იღებენ სამ წილ წყალს.

იმის გამო, რომ სუპერფოსფატი წყალში მთლიანად არ იხსნება, ხსნარის დასამზადებლად საჭიროა ამ სასუქიდან ამოლებული იქნეს წყალში ხსნადი ფოსფორმეული, რისთვისაც შემდეგნაირად იქცევანან. სუპერფოსფატის ერთ წონითს წილზე იღებენ ორ წილ წყალს, სამი წუთის განმავლობაში ხსნარს ურევენ, რის შემდეგ წყალს მოაცილებენ. ჭურჭლის ძირზე დარჩენილ სასუქს უმატებენ წყალს უწინდელი რაოდენობით, კვლავ სამი წუთის განმავლობაში ურევენ და შემდეგ გადაწურავენ. ასეთი ოპერაცია უნდა ჩატარდეს ხუთჯერ. ამის შედეგად სასუქიდან წყლის საშუალებით ამოიღება წყალში ხსნადი ფოსფორმეულის თითქმის მთელი რაოდენობა.

ასეთივე წესით წარმოებს ჩვეულებრივი ნაცრიდან კალიუმის და ფოსფორმეულის გამოცლა.

ხსნარების „მცენარმჴვებავებით“ შეტანის დროს, რომ არ მოხდეს ოქინის მილების და მფრქვეველების ხვრეტების დაცვა, საჭიროა მათი გაფილტრა სპეციალურ ბადეებში ან სატომრო ტილოში. ხსნარები შეფრქვევის წინ უნდა განზავდეს წყალში მოცემული კულტურებისათვის საჭირო ნორმისა და „მცენარმჴვებავების“ მწარმოებლობის მიხედვით.

71. ორგანულ სასუქებს მიეკუთვნება: ნაკელი, ტორფი, წიწვები, ფოთლები, წუნწუხი (ნაკელის ხსნარი), მწვანე სასუქი და სხვ.

ნაკელი ნიადაგში შეაქვთ შემოღვომაზე და გაზაფხულზე. როგორც წესი, გადამწვარი ნაკელი ნიადაგში შეაქვთ გაზაფხულზე, ხოლო ნახევრად გადამწვარი—შემოღვომაზე.

მძიმე და ტენიან ნიადაგებში ნაკელის შეტანა უნდა წარმოებდეს შედარებით ნაკლებ სილრმეზე, ვიდრე მშრალ და მსუბუქ ნიადაგებში. ნაკელის შეტანის ნორმა განისაზღვრება თვით ნაკელის ხარისხითა და იმ ნიადაგების და კულტურის ტიპით, სადაც შეგვაქვს ეს სასუქი; ამისდა მიხედვით ერთ ჰექტარზე შეიტანება 20—30 ტონამდე ნაკელი.

ნაკელი შეტანილი უნდა იქნეს სუფთა ან დაკავებულ ანეულში იმის გამო, რომ ეს სასუქი ხელს უწყობს მცენარის ფოთლების

ზედაპირის განვითარებას და ახანგრძლივებს ულორტების მომწიფების პერიოდს, როს გამო მცენარეს უქმნის შემოდგომის ყინვებისაგან დაზიანების საშიშროებას.

წუნწუხი გამოიყენება კომპოსტის დასამზადებლად და ვეგეტაციის პერიოდში მცენარის კვების გასაძლიერებლად. ნიადაგში უკეთ შეღწევის მიზნით და იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი კონცენტრაციის უარყოფითი გავლენა მცენარის ფოთლის ზედაპირზე და ფესვთა სისტემაზე, წუნწუხი ნიადაგში შეტანის წინ განხავებული უნდა იქნეს წყალში (ერთ წილ წუნწუხზე 4—5 წილი სუფთა წყალი).

72. შერეულ სასუქებს მიეკუთვნება კომპოსტის დასამზადებლად გამოიყენება ორგანული და მინერალური ნარჩენები და ნაყარები, რომლებიც მიიღება სოფლისა და ტყის მეურნეობაში, ქალაქებში და სამრეწველო საწარმოებში, წამხდარი საკები, სარეველა ბალახები, ფოთლები, პირუტყვის ნაყარები და სხვ. კომპოსტში იყენებენ ნარჩენებს, როგორიც არის: ეზოს ნაგავი, ლუმელის ნაცარი და მური, კირის ნაგავი, სამზარეულოს ნარჩენები, ნარეცხი და სხვ., და აგრეთვე საპირფარეშოს შიგსათავსს, თუ მეურნეობაში არ შეძლება სპეციალურად განაგლის კომპოსტები. ან ნაყარების გარდა კომპოსტის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს ორგანული ნივთიერებებით მდიდარი მიწა ან ტორფი წარმოადგენს.

კომპოსტის ხურგისათვის შერჩეული ადგილი უნდა იყოს რდნავ ამაღლებულ და დაჩრდილული, რათა არ მოხდეს კომპოსტის გამორეცხვა და გამოშრობა. ხურგის სიგანე უნდა იყოს 2—4 მეტრამდე, სიმაღლე 1,5—2,0 მეტრამდე, სიგანე—ნებისმიერი.

მოსწორებულ და მოტკეპნილ ადგილზე იყრება ნებომპალიანი ან კორდიანი მიწა, ან ტორფი 15—20 სმ სიმაღლეზე. ამის შემდეგ იყრება საკომპოსტე ნაყარი 20 სმ სიმაღლით, შემდეგ 7 სმ სისქით მიწა, შემდეგ ისევ საკომპოსტე ნაყარი და ა. შ.

კომპოსტის გამოშრობისა და მის მიერ გახრჭნის დროს გამოყოფილი ამიაკის დაკარგვის ასაცდენად ხურგი დამზადების შემდეგ ზემოღან დაითარება მიწის ან ტორფის ფენით.

კომპოსტის ხურგის შემდგომი მოვლა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შენახული უნდა იქნეს ნოტიო მდგომარეობაში, რისთვისაც დროგამოშვებით უნდა მოირწყას უბრალი წყლით ან წუნწუხით. 2—3 თვეში ერთხელ უნდა აინიჩოს. 6—12 თვის გავლის შემდეგ კომპოსტი გარდაიქმნება ერთგვაროვან მასად, რის შემდეგ შესაძლებელია მისი გამოყენება.

შერეული სასუქის შეტანა შეიძლება უგამონაკლისოდ ყველა ქულტურებში. კომპოსტის შეტანის დოზა დამოკიდებულია კომპოსტში შემავალი ნივთიერებისა და ნიადაგის ნაყოფიერებაზე.

73. თესლნერგების მოთხრა მუდმივ ფართობზე ან სკოლაში გადასარგავად წარმოებს შემოდგომით ან გაზაფხულზე. თესლნერგის მოთხრას შემოდგომით აწარმოებენ ტყის საკულტურო სამუშაოების დაწყების წინ, რაც მცენარეთა ვეგეტაციის დასასრულის პერიოდს ემთხვევა.

გაზაფხულზე თესლნერგის მოთხრა უნდა წარმოებდეს კვირტების გაჯირჯვებამდე.

თესლნერგის მოთხრა უალრესად ფაქტიზი და მნიშვნელოვანი სამუშაოა და დიდ დაკვირვებას მოითხოვს. ამ სამუშაოს წესიერად შესრულებაზეა დამოკიდებული კულტურების გახარება და მათი შემდგომი ზრდა-განვითარება.

იმ მიზნით, რომ ფესვებს შეძლებისდაგვარად მეტი ბუსუსები შერჩეს და მთავარი ფესვი დაუზიანებელი ამოჰყვეს, თესლნერგი უნდა მოითხაროს არა ნაკლებ 25 სანტიმეტრის სიღრმეზე.

თესლნერგის მოთხრა შეიძლება როგორც ხელით, ისე შექანიზებული წესითაც.

თესლნერგის ხელით მოთხრა შემდეგი წესით წარმოებს: კვლის თავში ორივე მხარეზე დგება ორი მუშა და პირველი მწერივის წინ ბასრი ნიჩბით თხრის 30—40 სმ სიღრმის თხრილს; თხრილი კარგად უნდა ამოიწმინდოს. შემდეგ, ნიჩბით, რომლის ზურგის მხარე მიმართული უნდა იყოს ზემოთ, თხრილის ძირიდან ამოიჭრება თესლნერგიანი ნიადაგის ფენა. ამის შემდეგ ნიჩაბი დაყნებულ უნდა იქნეს შვეულად ნათესის პირველსა და მეორე მწერივს შუა. ამ მდგომარეობაში ნიჩაბს ჩაასობენ მთელ შის სიღრმეზე და ნიჩბის ფრთხილი მოძრაობით თესლნერგებიან ბელტს გადმოაწვენენ თხრილში. ამის შემდევ თხრილი ხელმეორედ უნდა ამოიწმინდოს მიწისაგან. ასეთივე წესით უნდა შეიჭრას და გადმოწვენილი იქნეს მეორე მწერივის თესლნერგების ბელტი, და ა. შ. უნდა ვეცადოთ ნიადაგის ფენის იმ სიღრმეზე შეჭრას, რომ მასში მთავარი ფესვი მთელი სიგრძით მოყვეს.

მოთხრის დროს გადმოწვენილ თესლნერგებიან ბელტს მუშები მაშინვე იღებენ, არჩევენ თესლნერგებს, იქვე ახარისხებენ და ჰერავენ 100-ცალიან კონებად. მოთხრა-დახარისხებისა და კონებად შეკვითს დროს უნდა ვეცადოთ თესლნერგების ფესვებს არ შევეხოთ ხელით, რათა არ მოხდეს ნაზი ფესვების მოჭყლეტა, რაც იწვევს

შათ ხმობას. როგორც წესი, თესლნერგის ხელში აღების დროს, მას ხელი უნდა მოვყიდოთ ფესვის ყელთან.

ხშირთესლნერგიან მწერივში, ფესვები ხშირად გადახლართულია ერთმანეთში; ასეთ შემთხვევაში ბელტის დანაწილება უნდა ვაწარმოოთ თანდათანობით, თესლნერგის ჯერ დიდ, ხოლო შეძლებ მცირე ჯგუფებად; ამის შემდეგ კი მცირე ჯგუფებიდან ხდება თესლნერგების განცალკევება. თესლნერგის ბელტიდან ამოგლეჯა დასაშვები არ არის.

თესლნერგის მოთხრის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს:

- თესლნერგის წესიერ, ფესვის დაუზიანებლად მოთხრას და
- მოთხრილი თესლნერგის სწრაფად მიფლვას, განსაკუთრებით გაზაფხულზე—მზიან და ქარიან ამინდში.

74. თესლნერგის იარაღებით მოთხრის ტექნიკა. თესლნერგის მექანიზებული წესით მოთხრა წარმოებს გუთნით ან რკალებით, ტრაქტორის ან ცხენის წევით, შემდეგი პირობების დაცვით:

1). მანქანით თესლნერგიანი ბელტი უნდა მოიჭრას 25 სმ სიღრმეზე ოდნავი გადაადგილებით;

2) მოტორილი თესლნერგიანი ბელტი უნდა დაიშალოს, არ გადაბრუნდეს, რათა თესლნერგის ფესვები ამოღების დროს ნაკლებად დაზიანდეს;

3). მანქანის ჩარჩომ ან ტანმა არ უნდა დააზიანოს თესლნერგის ღრეული.

75. იმ შემთხვევაში, თუ გუთნის წევისათვის ვიყენებთ ტრაქტორს, რეკომენდებულია თესლნერგების მოსათხრელად გამოყენებული იქნეს ამომთხრელი გუთანი ВПН—2.

სარგავი მასალის ამომთხრელი გუთანი ВПН—2 განკუთვნილია ხეხილის ორწლანი ნერგების ამოსათხრელად. ტყის სანერგებებში ის შეიძლება გამოყენებული იქნეს სასკოლო განყოფილებაში ნერგების ამოსათხრელად. ამოთხრის სიღრმე სანტიმეტრები: მაქსიმალური—40, მინიმალური—20; სახნისის მოღების სიგანე—55 სმ; წევისათვის ხმარობენ DT—54—A მარკის ტრაქტორს.

ნაკვეთს, საღაც გათვალისწინებულია ნერგების ამოთხრა, მოღებებში უნდა ჰქონდეს თესლნერგებისაგან და ნერგებისაგან, თავისუფალი, არა ნაკლებ 10 მ სიგანის ზოლი გამოთიშული გუთნიანი ტრაქტორის მოსაბრუნებლად. აგრეგატის (გუთანმიბმული: ტრაქტორის) მობრუნება უნდა მოხდეს მიწიდან ამოღებული გუთნით.

ВПН—2 მარკის გუთნით სარგავი მასალის ამოღებისას ტრაქ-

ტორმა უნდა გაუაროს თესლნერგებისა და ნერგების რიგებს თავისუფალ მხარეზე. ამოთხრილი სარგავი მასალა მაშინვე უნდა იქნეს ამოღებული, გადარჩეული და წაღებული მიფლვის აღგიღწე, რომ განთავისუფლდეს აღგილი აგრეგატის განმეორებით მისვლისათვის.

სარგავი მასალის ამოთხრა უნდა წარმოებდეს ნაკვეთის ორავე მხრიდან, რომ ადგილი არ ექნეს გაცდენას და რომ შესაძლებელი იქნეს ნერგების მოცილება.

მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს რკალის პირს, რაღან ბლიგვი რკალი არა მარტო მალე იცხება მიწით, არამედ სჭორად არ სჭრის ფესვებს, გლეჯს მათ, რაც დაუშვებელია.

ფესვთა სისტემის მოჭრის სიღრმე რეგულირდება ჰორიზონტალური ხრახნილი მექანიზმებით, ხოლო ნიადაგის გაფხვიერებისა — სახნისის ნიადაგში შეღწევის კუთხის შეცვლით. რამდენადაც დიდია ნიადაგში შეღწევის კუთხე, იმდენად უკეთესად აფხვიერებს სახნისი. მსუბუქ ნიადაგებზე სახნისის ნიადაგში შეღწევის კუთხე უნდა იყოს მინიმალური.

76. სარგავი მასალის ამომთხრელი ცხენის გუთანი — რკალი KCK განკუთვნილია ერთწლიანი თესლნერგებისა და ზოგიერთი ჯიშების ორწლიანი ნერგების ამოსათხრელიად, რომელთა სიმაღლე 70 სმ არ აღემატება.

ამომთხრელ KCK გუთანს აქვს ჩარჩო, რომლის მოხრილი ბოლოები გამოიყენება ორი ბორბლის ღერძად. გუთნის სამუშაო ორგანოს წარმოადგენს გამაფხვიერებლებით აღჭურვილი სახნისი.

გუთანი გათვალისწინებულია ცხენისა და ტრაქტორის წევით მუშაობისათვის. მსუბუქ ნიადაგებზე ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხენის წევით, ხოლო უფრო მძიმე ნიადაგებზე, ტრაქტორზე ორი ცალის მიბმით.

გუთნის მოღების სიგანე 40 სმ. სარგავი მასალის ფესვების მოჭრა წარმოებს კვლის ძირში ორივე მხრიდან, ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება როგორც ერთმწერივიან, ისე ორმწერივიან შემდეგი სქემების ნათესებში:  $15 \times 60 \times 15 \times 60 \times 15$ ;  $10 \times 60 \times 10 \times 60 \times 10$ ;  $20 \times 60 \times 20 \times 60 \times 20$ .

თუ თესვის სქემები არ თავსდება გუთნის მოღების სიგანეში, ამ გუთნით ნერგების ამოღება არ შეიძლება.

ნიადაგის სხვაობის, ამოთხრის სიღრმის და სარგავი მასალის სიღიდის მიხედვით, ამომთხრელ გუთანს შეუძლია იმუშაოს 2 ან 4 ცხენით.

77. მოთხრილი თესლნერგი ჩვეულებრივად სამ ჯგუფად ხარისხდება. პირველ ხარისხს მიეკუთვნება უფრო განვითარებული

და ფესვებ კარგად შებუსვილი თესლნერგები, მეორე ხარისხს საშუალოდ განვითარებული, ფესვებ საქმაოდ შებუსვილი თესლნერგები, ხოლო მესამე ხარისხს მიეკუთვნება განუვითარებული, წვრილი და აგრეთვე დაზიანებული ან დაავადებული თესლნერგები.

პირველი და მეორე ხარისხის ნორმალურად განვითარებულ თესლნერგებს უნდა ჰქონდეთ მიწის ზედა ნაწილის და ფესვთა სისტემის სწორი შეფარდება.

პირველი და მეორე ხარისხის თესლნერგები იგზავნება მუდმივ ან სასკოლო ფართობებზე დასარგავად, ან უნდა მიიღლას ზამთრის პერიოდში შესანახად, ხოლო მესამე ხარისხისა უვარგისია და არ გამოიყენება.

78. თესლნერგების შენახვა. ზამთრის პერიოდში თესლნერგები ინახება სარდაფებში, ფარდულებს ქვეშ ან გარეთ, ჭების ჩრდილის ქვეშ.

სარდაფში და ფარდულის ქვეშ თესლნერგების შენახვის დროს, იყრება მდინარის სუფთა სილა ან ზღვის გარეცხილი სილა, რომელშიც თესლნერგი იფლება დახრილ მდგომარეობაში, იმგარად, რომ ღეროს ნახევრამდე დაიფაროს სილით. ზამთრის პერიოდში თესლნერგების სილაში შენახვის დროს, ეს უკანასკნელი თუ გამოშრა, უნდა ირწყვებოდეს.

თესლნერგის ღია გრუნტში შესანახავად შერჩეული უნდა იქნეს ხეებით დაჩრდილული, ფხვიერნიადაგიანი ნაკვეთი, 5—10 გრადუსამდე ჩრდილოეთის ან ჩრდილო-დასავლეთის დაქანების, გაბატონებული ქარებისაგან დაცულ ფერდობზე.

თესლნერგის მისაფელელად ამოჭრილი უნდა იქნეს 20—25 სმ სიღრმის თხრილი. თხრილს ერთი გვერდი უკეთდება დახრილი. ამ დახრილ გვერდზე თესლნერგი ისე უნდა დაავაწყოთ, რომ ფესვები თხრილის ფსკერს ეყრდნობოდეს. თესლნერგი იწყობა 2—5 სმ სისქის ფენად.

ამგვარად ჩაწყობილ თესლნერგს ღეროს ნახევრამდე უნდა მიეყაროს მეორე თხრილიდან ამოღებული ფხვიერი მიწა (წიწვიანებს—წიწვებს ქვემოდ). ასეთი წესით ხდება შემდეგი ფენების მიუვლაც. ამ სამუშაოს შესრულების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მიწა მჭიდროდ მიეკრას ფესვებს, თესლნერგის ფესვებში მიწის მიყრის შემდეგ არ დარჩეს სიცარიელე, რისთვის საჭიროა მიყრილი მიწის მიტკება.

თითოეულ თხრილში ჩაიწყობა თესლნერგების განსაზღვრული როცენობა, რომ მათი გადათვლა გაცემის დროს საჭირო არ შეიქნას. ყოველ ცალკე რიგს უკეთდება ეტიკეტი, რომელზედაც

ალინიშვილის მიფლული თესლნერგის რაოდენობა, ჯიში და ხა-  
რისხი.

თესლნერგის მიფლევის შემდეგ ამ ფართობს ირგვლივ უნდა  
გაუკეთდეს 0.4 მ სიღრმის წყალამრიდი არხი. მიფლული ნერგები  
დაცული უნდა იქნეს საქონლისაგან. ზამთარში პერიოდულად უნდა  
შემოწმდეს თესლნერგის მდგომარეობა, რათა თესლნერგის დაზია-  
ნების ან დაავადების შემთხვევაში დროულად იქნეს მიღებული  
სათანადო ზომები.

79. სარგავი მასალის შეფუთვა. თესლნერგების შორი მან-  
ძილზე გადატანის დროს საჭიროა მათი შეფუთვა. შესაფუთ მასა-  
ლად იხმარება ჭილოფი, ლერწამი ან ნამჯა.

შეფუთვის დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) თესლნერგის ფესვები კარგად უნდა იყოს დატენიანებული  
და დაცული გზაში გამოშრობისაგან,

ბ) შეფუთული თესლნერგი არ უნდა ჩახურდეს (შეფოთლილ  
თესლნერგებს ფოთოლი უნდა მოსცილდეს),

გ) ფუთა უნდა იყოს კომპაქტური და მისი წონა არ უნდა  
აღმატებოდეს 65 კილოგრამს.

80. ჭილოფში შეფუთვა (ხელით) შემდეგნაირად უნდა წარ-  
მოებდეს: გაშლილი ჭილოფის შუა ადგილზე იფინება სველი ნამჯა;  
რომელზედაც ერთ რიგად ეწყობა თესლნერგის კონები იმგვარად,  
რომ ფესვები მოხვდეს სველ ნამჯაზე, ხოლო ლერო მიმართული  
იყოს ჭილოფის გრძელი მხრისაკენ. შემდეგ ასევე ეწყობა მეორე  
რიგი, ლეროებით პირველის საწინააღმდეგოდ. ამის შემდეგ თესლ-  
ნერგის ფესვები ზემოდან იფარება სველი ნამჯით, შემდეგ ასეთივე  
წესით ზემოდან და დაწყობა თესლნერგის კონების შემდეგი ფენა.  
შეფუთვის წინ თესლნერგის ფესვები ამოვლებული უნდა იქნეს  
მიწის ხსნარში. 3—4 რიგად თესლნერგის კონების დაწყობის შემ-  
დეგ ჭილოფის გრძელი მხარეების ბოლოები უნდა გადმოიხვიოს  
და ფუთა ამ მიმართულებით ორ ადგილას გადაიკრას თოვით ან  
მავთულით. ფუთის ორივე გვერდზე დარჩენილი ლია ადგილი უნდა  
ამოიკეროს კანაფით.

თესლნერგის ახლო მანძილზე გადატანის შემთხვევაში (რო-  
დესაც თესლნერგი გზაში რამდენიმე საათის განმავლობაში იმყო-  
ფება), დასაშვებია ფესვების გამოშრობისაგან დაცვა შეუფუთავად,  
მარტივი წესით. ავტომანქანზე ან ურემზე იფინება სველი ნამჯა,  
ტორფი, ხავსი ან ნახერხი, რაზედაც ეწყობა თესლნერგის კონები  
ერთმანეთისაკენ მიმართული ფესვებით. ასეთი წესით დაწყობილი  
სარგავი მასალის პირველ ფენაზე ხელახლად იფინება სველი ხავსი,

ნამჯა ან სხეა საფარი. ამის შემდეგ დაიწყობა მეორე და შემდეგი ფენები ამგვარადვე. ზემოდან შედარებით სქელი ფენით დაეფინება ისეთივე საფარი, რომელსაც გადაეფარება დასველებული ბრეზენტიან ტომრები და გადაიკვრება თოკით.

### 3. სანერგის სასკოლო განყოფილებაში აღიზრდება მოზრდილი სარგავი მასალა კარგად განვითარებული ლეროთი და ფესვთა სისტემით.

ორ-სამწლიანი ნერგი აღიზრდება ტყის კულტურებისა და ქარსაფარი ზოლების, ხოლო 4—5 წლის და მეტი ხნოვანების ნერგები ხეივნებისა და ბალ-პარეკების გაშენებისათვის.

82. სანერგის სასკოლო განყოფილებაში, დარგვამდე ორი კვირით ადრე, თოხით ან ფარცხით ნიადაგი უნდა გაფეხიერდეს და მოსწორდეს, რის შემდეგ გამოიყოფა ე. წ. მოედნები.

იმ შემთხვევაში, როცა სასკოლო განყოფილებაში ნიადაგი ჭარბადა დატენიანებული და არსებობს ნერგების ზამთრის პერიოდში ზედმეტი ტენის გამო ამოლპობის საფრთხე, ან სასკოლო განყოფილება გვირე ზომისაა და მისი მექანიზებული წესით დამუშავება ვერ ჩატარდება, სკოლის ფართობზე მოეწყობა კვლები.

კვლების მოწყობა წარმოებს ისეთივე წესით, როგორც სათეს განყოფილებაში (იხ. წე 39—42).

მოედნები, რომლებიც მზადდება რიგშორისი ფართობის მექანიზებული წესით დამუშავებისათვის, იმავე დროს წარმოადგენს კვარტალებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დაცილებულია ბილიკებით ან გზებით.

რიგთაშორისი ფართობის მექანიზებული წესით დამუშავების მიზნით, კვარტალებს უნდა მიეცეს შეძლებისამებრ სწორკუთხი ფორმა. მცენარეები იჩვევება რიგებად სწორკუთხედის გრძელი მხარის მიმართულებით. ერთი მეორის მომდევარ კვარტალებში მცენარეთა რიგები უნდა გრძელდებოდეს, რათა შესაძლებელი იქნეს მთელი ფართობის მექანიზებული დამუშავება.

საწრეტი ქსელი შეძლებისამებრ გაყვანილი უნდა იქნეს კვარტალის გრძელი მხარის მიმართულებით.

84. თესლნერგების დარგა რიგთაშორისი ფართობის მექანიზებული წესით დამუშავების გათვალსწინების შემთხვევაში უნდა წარმოებდეს შემდეგ მანძილებზე დაშორებით: სწრაფმზარდი ჯიშებისათვის რიგში—0,4—0,5 მ. რიგებს შორის—0,8—1,0 მ. ნელა

შზარდი ჯიშებისათვის — რიგში 0,3 მ. რიგებს შორის — 0,6—1,0 მ.

კვლებში დარგვის დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი მანძილები: ნელა მზარდი ჯიშებისათვის — 0,2 მ რიგში, რიგებს შორის — 0,25 მ; სწრაფმზარდი ჯიშებისათვის რიგში — 0,3—0,4 მ. რიგებს შორის კი 0,4—0,5 მ.

შენიშვნა: მანძილები რიგებს შორის გაზრდილი უნდა იქნეს იმ ვადისადა მიხედვით, რა ხნითაც გათვალისწინებულია სარგავი მასალის გაჩერება სანერგეში მეორეთ გადასკოლების გარეშე.

სარგავი რიგების მონიშვნა უნდა წარმოებდეს გაჭიმული ლარის დახმარებით. დარგვის წინ კვარტალის მოპირდაპირე მხარებზე გარდიგარდო, თავსა და ბოლოში, უნდა გაიჭიმოს ორი ლარი, რომლებიც მაგრდება პალოებით.

ამ ლარებს კვარტალზე დარგვის დამთავრებამდე გაბმულს სტოვებენ, ხოლო დარგვას აწარმოებენ კვარტალის გრძელი მხრის მიმართულებით გაბმული გადასატანი ლარის გასწვრივ.

თესლნერგების დარგვა სკოლაში წარმოებს გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, გაჭიმული ლარის გასწვრივ, ბარით.

დარგვის დამთავრებისთანავე საჭიროა უხვად მორწყვა, რათა მიწა დაჯდეს და დარგული მცენარის ირგვლივ ამოივსოს ყველა სიცარიელე.

85. დარგვის წინ წიწვიანი ჯიშის თესლნერგებს უნდა შეეჭრას მთავარი ფესვის წვერი და აგრეთვე დაზიანებული ფესვები, ფოთლოვანი ჯიშის თესლნერგებს კი უნდა შეეჭრას ყველა გრძელი და აგრეთვე მოთხრის დროს დაზიანებული ფესვი.

უშუალოდ დარგვის წინ თესლნერგის ფესვები უნდა ამოივლოს მიწის სსნარში, რაც ხელს შეუწყობს მათ ნიადაგთან მიკერას და დაიცავს გამოშრობისაგან, და შემდეგ შეირხეს მათი გასწორების მიზნით.

თესლნერგების დარგვის დამთავრების შემდეგ დარგვის პროცესში მოტკეპნილი რიგებშორისი ფართობი უნდა გაფხვიერდეს კულტივატორით ან თოხით და ჩატარდეს მცენარეთა ირგვლივ ნიადაგის დამულჩა.

ზრდის დაწყებიდან 5—10 დღის შემდეგ დარგული მცენარები შემოწებული უნდა იქნეს, გამხმარი (გაუხარებელი) უნდა შეიცვალოს ამ მიზნისათვის სანერგეში კვლებზე მოტოვებული ან მიფლული თესლნერგებით.

86. სკოლაში მცენარეთა მოვლა გამოიხატება: ნიადაგის გაფხვიერებაში, სარეველა მცენარეების გამარგვლაში, მორწყვაში, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლაში, საწრეტი ქსელის,

სარწყავი სისტემის გაწმენდა — შეკეთებაში და ახალგაზრდა ნერგების საზამთროდ დაცუაში.

ნიადაგის მოვლა გამოიხატება სავეგეტაციო პერიოდში 5—6 კვერცხებით ირგვლივ გამარგვლაში და რიგებშორისი ფართობის გაფხვიერებაში კულტივატორით, რიგებში კი თოხით.

კვლებზე დარგვის შემთხვევაში გაფხვიერება წარმოებს მცირებობის თოხით.

იმ მიზნით, რომ ნერგებს არ დაუზიანდეს ფესვთა სისტემა, ნიადაგის გაფხვიერება მოვლის დროს უნდა წარმოებდეს 5—6 სმ სიღრმეზე.

ნიადაგის მოვლა უნდა ჩატარდეს თავის დროზე და განსაკუთრებით გულმოდებინედ აპრილის შეორე ნახევრიდან ივნისის ბოლომდე, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ნერგები სიმაღლეზე ინტენსიურად იზრდება და ძალზე საჭიროებს ნიადაგის ტენს.

ნიადაგის მოვლის გამეორება განისაზღვრება სარეველა ბალახების გამოჩენისა და განვითარების სისწრაფით და, აგრეთვე, წვიმების შემდეგ ნიადაგზე ქერქის წარმოშობით.

სანგრძლივ გვალვიან ამინდებში, განსაკუთრებით ფესვების წარმოშობის პერიოდში (აპრილ-მაისი), აუცილებელია ნერგების უხვი მორწყვა. შეძლებისამებრ მორწყვას უნდა ვერიდოთ და შეცვალოთ ნიადაგის გაფხვიერებით.

სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში საჭიროა სამჯერ ჩატარდეს საწრეტი და სარწყავი ქსელის შეკეთება და გაწმენდა: პირველი — ივნისში, მეორე — აგვისტოში და მესამე — ოქტომბერში. თხრილების გაწმენდისას ამოლებული მიწა და ბალახი გატანილი უნდა იქნეს საკომპოსტე ხურგებში.

87. სანერგიის სასკოლო განყოფილებაში ნერგების მოთხრა უნდა წარმოებდეს შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. ნერგების მოთხრის დროს უნდა ვეცადოთ, რომ ნერგს შერჩეს რაც შეიძლება მეტი ფესვები და განსაკუთრებით ბუსუსები.

ნერგების მოთხრა შეიძლება ბარით ან რკინის ნიჩბით, ან კიდევ ტრაქტორის ან ცხენის წევის გუთნით. ნერგების ბარით ან ნიჩბით მოთხრის ტექნიკა შემდეგნაირია: ნერგების რიგიდან 30—35 სმ მოცილებით იღებენ 30—45 სმ სიღრმის თხრილს, რომლიდანაც ამოიწმინდება მიწა. ამის შემდეგ ნიჩბით, რომლის ზურგის მხარე მიმართული უნდა იყოს ზემოთკენ, თხრილის ძირიდან 20—30 სმ სიღრმეზე უნდა შეიჭროს ბელტი. შეჭრის სიღრმე დამკიდებულია ფესვთა სისტემის განლაგებაზე.

მიწის ფენის (ბელტის) შეჭრა ისე უნდა წარმოებდეს, რომ

არ გადაიჭრას მთავარო ფესვი. წიწვიანი და მარადმწვანე ფოთლოვანი ჯიშის ნერგების მოთხრა უნდა წარმოებდეს ბელტით. ორ წლიანი ნერგის ბელტის ზომა უნდა იყოს 20—25 სმ, სამწლიანის 25—30 სმ, ოთხწლიანის 30—35 სმ, ხუთწლიანის 35—40 სმ; ბელტის სისქე უნდა იყოვ ზომის, რაც სიგანე.

თითოეული ნერგის ღეროდან, მისი ხნოვანების შესაბამისად, 10, 12, 16, 18 და 20 სმ მოკილებით ნიადაგი უნდა ჩაიჭრას ბასრი ნიჩბით, შეძლებისამებრ მეტ სიღრმეზე. ამის შემდეგ ბელტიანი ნერგი ფრთხილად (ბელტის დაუშლელად) უნდა გადავაწვიოთ თხრილში.

თხრილში გადაწვენილი ბელტიანი ნერგი, ფესვის ყელთან ხელის მოკიდებით, ბელტის დაუშლელად ამოღებული უნდა იქნეს თხრილიდან; ამის შემდეგ თხრილი ამოიშმინდება და იმავე წესით მოითხრება ნერგების შემდეგი მეორე რიგი.

მოთხრილ ნერგებს სტანდარტების მიხედვით, სპეციალური დანით გულმოდგინედ შეუსწორდება ბელტი, ხოლო ბელტიდან გამოშვერილი ფესვები შეიკვეცება ბასრი დანით ან ბალის მაკრატლით, რის შემდეგ ნერგი იფუთება დანიშნულების ადგილზე გადასატანად.

ფოთოლმცვივნი ფოთლოვანი ჯიშის ნერგის მოთხრის შემთხვევაში, მიწის ბელტის ქვემოლან შეჭრის შემდეგ, ნერგების მეორე მხრიდან მიწა უნდა ჩაიჭრას შვეულად, შეძლებისამებრ მეტ სიღრმეზე. ამის შემდეგ ნერგი ბელტიანად ნიჩბის ტარით გადაწვენილი უნდა იქნეს თხრილში. დასასრულ ნერგის ღეროზე ფესვის ყელთან ხელის მოკიდებით ნერგი ფრთხილად ამოიღება მიწიდან.

მარადმწვანე ფოთლოვანი და წიწვიანი ჯიშის ნერგების მოთხრა წარმოებს აუკილებლად ხელით, რათა ბელტი შენარჩუნებულ იქნეს დაუშლელად.

ფოთოლმცვივნი ნერგების გუთნით მოთხრის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ნერგებს ფესვები შეეჭრას არანაკლებ 35 სმ სიღრმეზე. ამასთან ბელტი უნდა მეტად გაფხვიერდეს, ხოლო ბუსუსები ნაკლებად დაზიანდეს.

88. მოთხრის შემდეგ ნერგები ხარისხდება დადგენილი სტანდარტების მიხედვით. დასარისხებული წიწვიანი და მარადმწვანე ფოთლოვანი ჯიშის ბელტიანი ნერგები მაშინვე უნდა შეითუთოს დანიშნულების ადგილზე გადასაგზავნად, ფოთოლმცვივნი ჯიშის უბელტო ნერგები კი დასარისხების შემდეგ მიწაში უნდა მიიფლას.

